საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№296 (12 366)

19 დეკემბერი ოთხშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტოპმიოლერს კაიზერის მწვრთნელობას სთავაზობენ

თვეზე მეტია საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი მეორე ბუნდესლიგის "კაიზერსლაუტერნში" საპატიო სპორტულ მრჩევლად დაინიშნა. ახლა მას კიდევ ერთ ახალ პოსტს სთავაზობენ. ხმებმა "ლაუტერნის" მთავარ მწვრთნელად ტოპმიოლერის მოვლინების შესახებ, ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ გაიჟღერა.

2

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ ნახავთ, რა შეუძლია იაშვილს

გერმანიაში სეზონის პირველი ეტაპი დასრულდა და „კარლსრუეს" 30 წლის შემტევი **ალექსანდრე იაშვილი** შვებულებას თბილისში ატარებს.

იაშვილმა მიმდინარე ბუნდესლიგაში თორმეტჯერ ითამაშა, ორი საგოლე გადაცემა შეასრულა, გოლი კი არ გაუტანია - მისი ასეთი შედეგი მოულოდნელი გამოდგა, რამეთუ იაშვილისგან უფრო მეტს ვართ ნაჩვევნი.

თუმცა ის პირველ სეზონს ატარებს „კარლსრუეში" და ეს რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია. ბოლო ორ შეხვედრაში კი მან ძლიერად ითამაშა - „ბოხუმთან" (2:2) და „ჰამბურგთან" (1:1). ბოხუმელებთან მატჩის შემდეგ იაშვილი „კიკერმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა.

ბოლო სანაკრებო შეხვედრებში **კლაუს ტოპმიოლერმა** იაშვილს არ დაუძახა, მისი შესაძლებლობები უკვე შევისწავლე და ამ ფეხბურთელის კიდევ მიწვევას არ ვაპირებო.

იაშვილი კი არ თმობს და საქართველოს ეროვნულ გუნდში კიდევ აპირებს თავისი სიტყვის თქმას...

ინტერვიუ 3

კალაძე კრაუჩისა და სისოკოს სანაცვლოდ?

რაფაელ გენიტესი მზადაა ორ ფეხბურთელს შეელიოს, ოღონდ კი თავის გუნდში საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე იხილოს. მიუხედავად იმისა, რომ კალაძე შესანიშნავად გრძნობს თავს „მილანში", კლუბთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ხაროობს და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარს არ იტყვის, ბრიტანულ პრესაში გრძელდება სპეკულაციები, რომლის მიხედვითაც იანვრიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანს „ლივერპულის" წითელი მაისურით ვიხილავთ.

2



ზაზა ფაჩულია ყველა საძმეს ხალისით, იუმორით უდგება და შეიძლება სწორედ ამიტომ სეზონის დასაწყისში მიღებულ სამ ტრავმას იოლად გაუმკლავდა და ჩვეულ ფორმას იბრუნებს: „ტრავმებმა უკან დამხია, მაგრამ ცხვირის ჩამოშვებას არ ვაპირებ, კარგად მესმის, რომ ასეთია ყველა სპორტსმენის კარიერა - ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა. აქამდე ამდენი მატჩი და ვარჯიში ერთად არ გამიცდენია, მაგრამ ამ პროგლემამ დიდი გამოცდილება შემძინა, ამის შემდეგ კიდევ უფრო მონდომებით ვვარჯიშობ, რათა ფორმაში შევიდე და მალე ვაჩვენო „ზაზას თამაში", რომელსაც ძომაგი ჩემგან ელის."

11

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კლაუს ტოპმიოლერი

ეროვნული ნაკრები

ტოპმიოლერს კაიზერის მწვრთნელობას სთავაზობენ

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ კლაუს ტოპმიოლერს კლუბის ხელმძღვანელებისგან მწვრთნელის პოსტზე ოფიციალური შეთავაზება არ ჰქონია, არაერთხელ საჯაროდ დააფიქსირა, რომ საქართველოს ნაკრებს წვრთნის და ამ ეტაპზე მის ინტერესებში სხვა გუნდის გაწვრთნა არ შედის. ასეა თუ ისე სულ მალე შესაძლოა "ლაუტერნის" თავკაცის პოსტი შეიქმნას ვაკანტური. მეორე ბუნდესლიგაში ბოლოს გამართული ტურიც ნარუმატებელი აღმოჩნდა "კაიზერსლაუტერნისთვის". **კიეტილ რეკდალის** გუნდი ამჯერად "კიოლნთან" სტუმრად 1:2 დამარცხდა. მანამდეც იყო ვერსია და ამ წაგების შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა აზრი, რომ რეკდალს მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება მოუწევდა.

გუშინ გერმანული პრესა წერდა, ნორვეგიელ მწვრთნელს, რომელსაც მომავალი წლის მაისის ბოლომდე აკავშირებს კონტრაქტი "კაიზერსლაუტერნთან", დიდი შანსია ხელშეკრულება ნაადრევად შეუწყვიტონ. რეკდალი შვებულებით ნორვეგიაში მიდის და შესაძლოა "ლაუტერნთან" აღარც კი დაბრუნდესო. ამასთან ერთად, გაჩნდა ვერსია, რომ რეკდალს სწორედ კლაუს ტოპმიოლერი შეცვლის.

გუნდის ფანები კლაუსში მხსნელს ხედავენ. ტოპმიოლერმა გუშინწინ, „კიოლნთან" მატჩის დამთავრებისთანავე უარყო მოვლენათა ასეთი განვითარება და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრებს წვრთნის და ამ ეტაპზე სხვა ინტერესები არ აქვს. მიუხედავად ამისა, გერმანული პრესა კვლავაც ვარაუდობს, რომ "ლაუტერნის" თავკაცობა კლაუს ტოპმილერთან მოლაპარაკებებს მაინც დაიწყებს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

რაფას გული კალაძისაა

კახა კრაუჩს და სისოკოს ერთად უდრის?

პირველი გვერდიდან

კახა კალაძე და პაოლო მალდინი მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობენ

კახამ **ალესანდრო ნესტასთან** ერთად „მილანის" დაცვის ცენტრი შეადულაბა, „ახლა ის ფაქტობრივად გაუვალია", - წერენ იტალიური გაზეთები.

ამასობაში რაფაელ ბენიტესსა და „ლივერპულის" ამერიკელ მფლობელებს შორის არსებული დაძაბული სიტუაცია კიდევ ერთხელ შეიცვალა. ჯერ კალაძის საკარაუდო ტრანსფერმა, ლამის ესპანელი მწვრთნელის კარიერა დაასრულა „ლივერპულში", შემდეგ ურთიერთობა ბენიტესის გუნდის საჩემპიონთალიგო წარმატებამ დაათბო და, თითქოს, გადაწყდა, რომ ბენიტესს იანვარში ცენტრალური მცველის საყიდლად ფულს გამოუყოფდნენ. ახლა კლუბის მეპატრონეებმა ახალი პირობა დათქვეს - ბენიტესმა უნდა გაყიდოს, რომ ყიდვის უფლება მოიპოვოს. სხვათა შორის ესპანელ მწვრთნელს ეს ამბავი არ სწყენია, პირიქით - ის თანახმაა ერთბაშად ორი ფეხბურთელი გაყიდოს კალაძის შესაძენად, **პიტერ კრაუჩი** („ასტონ ვილა „ იყო დაინტერესებული, ახლა „მანჩესტერ სიტი" დაინტერესდა) და **მომო სისოკო** („ევერტონს" და „იუვენტუსს" სურთ).

ჯაკობია ვორსკლაში, გიგიაძე ზარიაში

რა პრობლემა აქვს დემეტრაძეს?

ლაშა ჯაკობია

უკრაინის ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა და მალე სატრანსფერო პერიოდიც დაიწყება. ტრანსფერები კი ამ ქვეყანაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებსაც შეეხებათ.

გუშინ პოლტავის „ვორსკლას" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა ცნობა, რომლის თანახმადაც კლუბმა მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ქართველ ფორვარდ **ლაშა ჯაკობიასთან**. დღე-დღეზე (ახალ წლამდე) მასთან კონტრაქტიც გაფორმდება - ეს კი ფაქტობრივად ზამთრის პირველი ქართული ტრანსფერია. ჯაკობიამ უკრაინაში კიევის „არსენალის" და ხარკოვის „მეტალისტის" რიგებში ითამაშა, პირველი წრე მან ხარკოვში გაატარა, თუმცა ძირითადად - დუბლებში. „ვორსკლას" კი ტოვებენ „შახტიორიდან" იჯარის წესით მოთამაშე **რუსლან ლევიგა** და **ადრიან პუკანიჩი**.

დეკემბერში ლაშა ჯაკობიამ „მეტალისტში" თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო, რის გამოც მისი სავარაუდო ტრანსფერი „ვორსკლაში" სავსებით რეალურია, მით უფრო, რომ ეს უკვე პოლტაველთა ოფიციალურმა საიტმა გაახმოვანა.

უკრაინული წყაროები სხვა ქართველთა მოსალოდნელ თუ სავარაუდო ტრანსფერებზეც წერენ.

"ვასილ გიგიაძემ ვერ გაამართლა "ნეფტიანიკის" ხელმძღვანელთა იმედები. ის ამ კლუბში განათხოვრების წესით იყო და საიჯარო კონტრაქტის ვადაც ამოინურა. შესაბამისად გიგიაძე კვლავაც "კრივბასის" უფლებებში გადადიუს, სავარაუდოდ არც ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას", - წერენ უკრაინელები.

დაბოლოს, **გიორგი დემეტრაძეზეც** ვთქვათ, რომლისთვისაც კიევურ "არსენალში" გატარებული პირველი წრე შთამბეჭდავი ნამდვილად არ ყოფილა. ბუნებრივია ამან "არსენალის" თავკაცები არ დააკმაყოფილა.

"... რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, პირველ წრეში მის ასპარეზობას ჩვენს კლუბში დადებითად ნამდვილად ვერ შევაფასებთ. მას პირისპირ აუცილებლად გავესაუბრები. შესაძლოა რამე პრობლემა აქვს. დემეტრაძესთან საუბარს აუცილებლად ვთვლი", - განუცხადა კლუბის პრეზიდენტმა ვადიმ რაბინოვიჩმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

დავით ცაბაძე
ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერი

კვირკველია მეტალურგს იცვლის?

საქართველოს ნაკრების მცველ **დავით კვირკველიას** კარგი სეზონი ჰქონდა უკრაინაში ზაპოროჟიეს „მეტალურგის" რიგებში, ასევე კარგად ასპარეზა მან სანაკრებო მატჩებშიც. უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ მან შესაძლოა კლუბი შეიცვალოს, სავარაუდო ვარიანტად ინგლისური „სანდერლენდიც" სახელდება. უკრაინულ „სპორტ ექსპრესსთან" საუბარში კი დონეცკის „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი იაშჩენკომ** გამოთქვა სურვილი, რომ ყოფილ შეგირდ დავით კვირკველიასთან კვლავ ითანამშრომლოს, ამჯერად დონეცკში: *„ჩვენი პრიორიტეტი ფლანგის ფეხბურთელებია. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს დავით კვირკველიამ ჩემთან ითანამშრომლოს, თუმცა ჯერ ნაადრევია ქართველზე საუბარი, როგორც დონეცკის „მეტალურგის" შესაძლო ახალწვეულზე. ერთს ვიტყვი, ის მართლა შედის ჩვენი კლუბის ინტერესთა სფეროში, ახლა მთავარია, როგორ ვიმუშავებთ მის ტრანსფერზე".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

დავით კვირკველია

მარკა: არველაძე ჯანმრთელია

ესპანური „მარკა" წერს, რომ პრიმერადივიზიონის აუტსაიდერ „ლევანტეს" ლაზარეთს შემორჩენილი უკანასკნელი ფეხბურთელიც უბრუნდება: ***„შოთა არველაძეს***

უკვე აღარ სჭირდება ექიმთა დაკვირვება, ქართველი ფორვარდი ჯანმრთელია. თუ როდის ითამაშებს არველაძე ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოკლე ხანში აღიდგენს ფორმას და რას გადაწყვეტს მწვრთნელი **ჯოვანი დი ბიაზი**". შეგახსენებთ, რომ „ლევანტეში" გადასვლის შემდეგ ქართველმა ფორვარდმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და პრიმერა ლიგაში დებიუტს ჯერაც ელის. „ლევანტე" 16 თამაშის შემდეგ უიმედო აუტსაიდერია (7 ქულა). წლეულს კლუბს მხოლოდ ერთი მატჩი დარჩა გასამართავი, 23 დეკემბერს ვალენსიური გუნდი „დეპორტივოს" უმასპინძლებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

შოთა არველაძე ლევანტეს ვარჯიშზე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

გამოწვევა საქართველოსთვის და გერმანიისთვის

კიდევ ნახავთ, რა შეუძლია იაშვილს

პირველი გვერდიდან

„კარლსრუემდე“ ცხრა წელი „ფრაიბურგში“ იყავი და არ გქონია ძირითადში დამკვიდრების პრობლემა. ალბათ ამან შეგიშალა ხელი იმაში, რომ ბოლო მატჩებამდე „კარლსრუეში“ ფეხის მყარად მოკიდება გაგიძნელდა...

- არა მგონია, ყოველივე ამის ბრალი იყოს. „დინამოშიც“ და „ფრაიბურგშიც“ ძირითადში მოსახვედრად საკმაო ჯაფა მიწევდა და მაშინაც არ იყო ადვილი გუნდში ადგილის დამკვიდრება. „კარლსრუეში“ რომ გადავედი სულ სხვა ატმოსფეროში მოვხვდი, თანაც ისეთ გუნდში, რომელიც „კარლსრუეზე“ მკვეთრად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. არ მეგონა, თუ „კარლსრუეში“ ასე გამიჭირდებოდა ადაპტაცია, ასე კი მოხდა. რაც მთავარია, ბოლო ორ შეხვედრაში კარგად ვიამაშე და ჩემით ყველა კმაყოფილი დარჩა.

- „კარლსრუეს“ მწვრთნელი ედე ბეკერი რას გეუბნებოდა, რამეთი ცდილობდა შენს გამხნევებას?

- ბოლო ორ მატჩში ისე ითამაშე, როგორი წარმოდგენაც მქონდა შენზე - მითხრა მან. ისედაც, ყველა იმ თამაშის წინ, რომელშიც სასტარტოში არ მაყენებდა, სულ იმას ცდილობდა, მისი ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის აეხსნა, მაგრძნობინებდა, რომ ვჭირდებოდი.

- ბეკერის CV-ში წერია, ძალიან კომუნიკაბელურია და გუნდის გულშემატკივრებთანაც კი ბევრს საუბრობსო.

- ფოლკერ ფინკეს თუ შევადარებთ, ბეკერი საერთოდ არ ლაპარაკობს. თუ „ფრაიბურგში“ ფინკეს თეორიული მეცადინეობა ერთ საათს გრძელდებოდა, „კარლსრუეში“ ამას ათიოდე წუთი ეთმობა.

- ფინკესთან ალბათ გაქვს კონტაქტი და მისი ახლანდელი ავან-ჩავანიც გეცოდინება...

- ფინკე შვეიცარიაში მუშაობს, ერთ-ერთ იქაურ ტელეარხზე ჩემპიონთა ლიგის თამაშების ექსპერტია. ის სამი დღით იყო ჩემთან სტუმრად ჩამოსული კარლსრუეში. მას აქვს შემოთავაზება „არმინიადან“, ფინეთის, უნგრეთის და კამერუნის ნაკრებიდან. ფინკე ზამთარში აფრიკის ერთა თასზე მიდის განაში და შესაძლოა, მაშინ გადაწყვეტოს რამე.

- კარსრუეც ფრაიბურგის დარად ბადენის მხარეშია და ალბათ იქ თავს ისე გრძნობ, როგორც საკუთარ სახლში...

- კი იმ მხარეშივეა, მაგრამ იქ ამის გამო არ წავსულვარ. მწვრთნელმა და კლუბის ხელმძღვანელებმაც მითხრეს, ძალიან გვჭირდებიო, დამარწმუნეს, რომ მათ მართლაც ძალიან უნდოდათ ჩემი გადაბირება.

- ვინ არის შენი მთავარი კონკურენტი „კარლსრუეში“? რა სპეციფიკა აქვს კონკურენციას ამ გუნდში?

- „კარსლრუე“ ოთხი შემტევით თამაშობს, სულ კი გუნდში ექვსი ფორვარდია. პირველ წრეში ტამაშ ჰაინალს განაღდებული ჰქონდა ადგილი ძირითადში, რადგან ის მართლაც საუკეთესო იყო წინა ხაზში. დანარჩენ სამ პოზიციაზე კი ხუთი კაცი ვიბრძოდით. ბოლო ორ მატჩში კარგად რომ ვითამაშე, ეს ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. კიდევ რომ ყოფილიყო დარჩენილი თამაში პირველ წრეში, შეტევის მარცხენა ფლანგზე გარანტირებული მექნებოდა ადგილი. თანაგუნდელებმაც მითხრეს, ბოლო ორ მატჩში კარგად გაისარჯეო და ჩემთვის ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

- პირველი წრე მეექვსე ადგილზე ჩაამთავრეთ - „კარლსრუეს“ მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა?

- ბუნდესლიგის ზედა ნახევარში ყოფნა - ასეთი იყო მიზანი სეზონის დაწყების წინ და ჯერჯერობით „კარსლრუეს“ მიზანი იგივეა - ერთციფრიანი ადგილით უნდა ჩავამთავროთ ბუნდესლიგა. თუმცა „ჰამბურგისთვის“ რომ მოგვეგო, მე-3 - მე-4 ადგილზე ვიქნებოდით. „კარლსრუეს“ ერთ-ერთმა მესვეურმა გვითხრა, თუ მეორე წრეში 38 ქულას მოვაგროვებთ, ეს ჩინებული შედეგი იქნებაო. ნინა სეზონის მეორე წრეში „ფრაიბურგმა“ 41 ქულა მოაგროვა, „კარლსრუემ“ ამ სეზონის პირველ ეტაპზე - 28. ჰოდა მე 2007 წელს 69 ქულა დამიგროვდა და „კარლსრუეს“ ამ მესვეურს ვუთხარი, თუ 38 ქულას ვარაუდობთ, უკეთესი წლიური შედეგი უკვე მაქვს-მეთქი. ვერაფერი მითხრა, მხოლოდ გაეცინა.

- რამდენიმე გერმანულ კლუბში რუსული კაპიტალი მივიდა - მაგალითად, „შალკეს“ მთავარი სპონსორი „გაზპრომი“ გახდა. რა ტენდენცია იკვეთება გერმანიაში, რუს ან სხვა ოლიგარქებს უხსნიან მანდ გზას?

- „ჰანოვერის“ პრეზიდენტმა მარტინ კინდმა მოითხოვა, ბუნდესლიგაში უცხოელი ინვესტორები მოვიდნენ და ჩვენს ფეხბურთს მნიშვნელოვნად წაადგებაო. მაგრამ მას მხარი არავინ აუბა, გერმანიის უმრავლესი გუნდები, „ბაიერნი“, „ვერდერი“ და „დორტმუნდი“ ასეთი იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ, არ უნდათ, რომ კლუბი ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული და ბუნდესლიგაში ოლიგარქების მოსვლაც ამიტომ არ სურთ. ამ დროისთვის ბუნდესლიგის არც ერთი კლუბი არ არის ერთი ადამიანის საკუთრება. ყოველ კლუბს ჰყავს საბჭო, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს.

- კარლსრუეში რა დოზით უყვართ ფეხბურთი?

- ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია, ყველა ფეხბურთზე ლაპარაკობს, სეზონის ყველა საშინაო მატჩზე ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. კარლსრუეს სტადიონი ახლა 30 ათასს იტევს, 2009 წლისთვის კი გუნდს განახლებული, უფრო დიდი სტადიონი ექნება.

- ნაკრებზეც ვთქვათ. სასტარტოში არმოხვედრის გამო სანაკრებო შეკრებიდან თავის დროზე შოთა არველაძე და შენ წამოსულხართ, ახლა კი ეს ზურაბ ხიანიშვილმაც გააკეთა ლიტვასთან მატჩის წინ. ასეთ დროს შეკრებიდან წასასვლელად გამზადებულ ფეხბურთელთან რატომ არ მიდიან თანაგუნდელები და რატომ არ ცდილობენ, მას განზრახვა გადააფიქრებინონ, რატომ ძლევს გუნდურობას სხვა ფაქტორები? ეს კითხვა ზოგადი ხასიათისაა, თორემ შენი წასვლა სანაკრებო შეკრებიდან განსაკუთრებული შემთხვევა იყო...

- წინა შესარჩევში უკრაინა-დანიის მატჩების წინ იმიტომ წავედი შეკრებიდან, რომ მწვრთნელმა მითხრა, არც ერთ ამ შეხვედრაში არ გათამაშებო. ჩემთან კალაძე, ცქიტიშვილი და კობიაშვილი მოვიდნენ, მაგრამ როცა ავუხსენი სიტუაცია, ველარაფერი მითხრეს. მიმაჩნია, რომ მაშინ აბსოლუტურად მართალი ვიყავი. ზოგადად კი, პროფესიონალმა ფეხბურთელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს.

- როგორ ფიქრობ, კლაუს ტოპმოლერმა რატომ დაგიკეტა ნაკრების კარი?

- ამაზე ბევრი ვიფიქრე. შოთა არველაძის მერე გასულ შესარჩევში ყველაზე მეტი გოლი მე და სირაძემ გავიტანეთ - 3-3. საქართველოს ნაკრებში შოთას და ქეცბაიას შემდეგ ყველაზე მეტი, 12 გოლი მე და დემეტრაძემ გავიტანეთ. ვიყავი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელიც. საქართველოს ნაკრებში არა მგონია სამ კაცზე მეტი იყოს ისეთი, ვინც ჩემზე უკეთეს ჩემპიონატში და გუნდში თამაშობს. მწვრთნელი არ არის ვალდებული, ფეხბურთელს აუხსნას, თუ რატომ არ იძახებს ნაკრებში, მაგრამ ნაკრებში არიან ისეთი ფეხბურთელები, როცა მათ არ გამოიძახებენ ნაკრებში, ეს პრესიდან არ უნდა გაიგონ. გული დამწყდა, რომ არ დამიძახეს და არ მითხრეს, რომ ნაკრებში გამოძახებული არ ვიყავი.

- საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს თითქოს სულ უჭირდათ იაშვილისთვის შეერჩიათ პოზიცია ნაკრებში და უჭირდათ იმის მოფიქრება თუ როგორ გამოეყენებინათ იაშვილი. ეთანხმები ამას?

- ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები რაზეც ნაკრებში ჩატარებული მატჩების და გოლების რაოდენობაც მეტყველებს. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა რა პოზიციაზე ვითამაშებ. "ფრაიბურგში" ხშირად მიცვლიდნენ პოზიციას და ასევეა "კარლსრუეშიც". ჩემთვის ეხლა მთავარია "კარლსრუეში" სტაბილურად ავთამაშდე. ჩემი ოცნება იყო და არის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშო და არავის მივცემ უფლებას ოცნება ჩამიშალოს. არა მგონია საქართველოს იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავდეს, რომ იაშვილს ნაკრებზე უარი ეთქვას. კიდევ ნახავენ რა შეუძლია იაშვილს გერმანიაში და საქართველოს ნაკრებში.

დავით თავართქილაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოლომდე სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გუნებლად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. მერანი

სტაბილურობის მოლოდინში

წლევანდელი და შარშანდელი „მერანი“ ერთმანეთისგან ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება. გუნდის ბირთვი ჯერაც შეუკვრელია, მთავარი მიზანი კი კვლავ უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. წინა სეზონში დედაქალაქურმა კლუბმა ეს ამოცანა შეასრულა, ამ ჩემპიონატში კი ამის გაკეთება ერთიორად გაუჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ პირველ ლიგაში ამჯერად უფრო მეტი გუნდი ვარდება.

ამის მიუხედავად, „მერანს“ არცთუ ურიგო შანსი აქვს. ბუნებრივია, ბევრი რამ მეორე წრისთვის მოსამზადებელ პერიოდზე იქნება დამოკიდებული. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი წრის მიწურულს გუნდმა სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. როგორც გახსოვთ, ჩემპიონატის მსვლელობისას „მერანის“ მთავარმა მწვრთნელ თამაზ კოსტავას ინსულტის შეტევა მოუვიდა და მისი ადგილი დავით ეჯიბიშვილმა დაიკავა. პირველი წრეც მასთან საუბარში შევაჯამეთ.

დავით ეჯიბიშვილი მწვრთნელი

„ჩემპიონატის პირველი ნახევარი არცთუ სახარბიელოდ ჩავატარეთ. გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს ვართ, აქედან გამომდინარე, კმაყოფილები ვერ ვიქნებით“.

საუკეთესო მატჩი

„ოლიმპთანაც“ დავმარცხდით და „ზესტაფონთანაც“, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ მატჩებში ჩვენმა გუნდმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„ბუნებრივია, ყველაზე ცუდად „ამერთან“ ვითამაშეთ, გლდანში 0:7 გავნადგურდით“.

პლუსი

„პირველი წრის მიწურულს ასე თუ ისე, გუნდის ბირთვი გამოიკვეთა, იმედია, მეორე წრიდან უფრო ძლიერი და სტაბილური გუნდი გვეყოლება“.

მინუსი

„90 წუთის განმავლობაში მობილიზება გვიჭირდა, თუმცა ბოლო შეხვედრებში ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ჩვენი უარყოფითი მხარე კიდევ ის იყო, რომ პირველი წრეში „მერანის“ ღირსება უამრავმა ფეხბურთელმა დაიცვა“.



მერანმა ჩემპიონატი თამაზ კოსტავას ხელმძღვანელობით დაიწყო...

პროგრამა მინიმუმი პროგრამა მაქსიმუმი

„რასაკვირველია, ამ სეზონში მიზნად მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ვისახავთ. ნამდვილად გვაქვს იმის რესურსი, რომ ეს ამოცანა წარმატებით შევასრულოთ, თუმცა საამისოდ მაქსიმალურად დახარჯვა დაგვჭირდება, თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს“.

მზადება საკადრო პოლიტიკა

„იანვრის პირველ რიცხვებში შევიკრიბებით, კლუბის ხელმძღვანელობასთან საკმაოდ ბევრი რამაა გასარკვევი. მზადების კონკრეტული გეგმა ამის შემდეგ გახდება ცნობილი“.

რჩეული შეგირდები

„გამოვარჩევდი **თენგიზ კობიაშვილსა** და **ვლადიმერ გოჩაშვილს**. ისინი გუნდის უდავო ლიდერები არიან, მათი გამოცდილება, პიროვნული თვისებები და პროფესიონალიზმი ყველასთვის მისაბაძი მაგალითია. პირველი წრე კარგად ჩაატარა **ლაშა ჯანგიძემაც**. აქვე **ლევან გრიგალაშვილზეც** ვიტყვი ორიოდე სიტყვას. მას ტრავმების გამო საკმაო დრო გაუცდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს“.

პირველი წრის რჩეულნი

1. შოთა გრიგალაშვილი (გორგჯომი)
2. დიდიე ოვონო (დინამო)
3. დავით დევდარიანი (ოლიმპი)

მერანი და ქომაგები

„გვსურს, უბნის გუნდად ჩამოვყალიბდეთ. ჯერჯერობით, ჩვენს სტადიონზე ცოტა გულშემატკივარი დადის, მაგრამ იმედი მაქვს, მათი რაოდენობა გაიზრდება. საამისოდ უფრო წარმატებული ასპარეზობაა საჭირო“.

ორი ჩემპიონატის შედარება

„ვფიქრობ, მიმდინარე ჩემპიონატი უფრო ძლიერია, თუნდაც იმიტომ, რომ აუტსაიდერებიც კი საკმაოდ ძლიერები არიან. გაისად უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდება და ამით დონე კიდევ უფრო ამაღლდება“.

მსაჯობა

„გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, საკმაოდ ნორმალური მსაჯები გვყავს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ობიექტურები იყვნენ“.

სკანდალები

„ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, უსიამოვნო სიტუაციები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. მიზეზი კი ბევრი შეიძლება იყოს, მსაჯი ქვეცნობიერად შეიძლება ძლიერ გუნდს მიემხროს, სიმპათიები არსებობს ორი ძლიერი გუნდის მატჩის დროსაც“.

პროგნოზები

„ჩემპიონობას „დინამოს“ ვუწინასწარმეტყველებ, თასის მოპოვების შანსი კი რამდენიმე გუნდს აქვს“.

ლევან ჯანეზაშვილი

მერანი | წრეში

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. გორგჯომი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლეები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. ბათუმი	13	1	1	11	5:28	4

ბომბარდირები

	გოლები			
სარალიძე	13	13	-	4	-
გიგაური	13	12	-	2	-
ტყეშელაშვილი	12	10	1	1	-
თ. კობიაშვილი	11	11	-	1	1
ვ. გოჩაშვილი	11	11	3	-	-
ლომაშვილი	10	9	-	2	-
თევდორაძე (მეკ.)	9	9	-13	3	-
ლოლაძე	9	9	-	2	-
ჯანგიძე	9	8	-	2	1
ბ. ნოზაძე	7	7	-	1	-
ბ. ჭლენტი	7	6	-	1	-
ფურთუხია	6	4	-	1	-
ზ. ავალიანი	6	3	-	-	-
ქემაშვილი	6	2	-	-	-
ბისარაშვილი	5	4	-	-	-
ა. კალაძე	5	2	-	-	-
სეფიაშვილი (მეკ.)	4	4	-10	1	-
ი. შინგელია	4	3	-	1	-
ჯოხერიძე	4	2	-	-	-
სევასტოპულო	3	2	-	-	-
ბურჯანაძე	3	2	-	1	-
იაგო დიისაძე	3	2	-	1	-
ხუჭუა	3	-	1	-	-
წიქარიშვილი	2	2	-	-	-
კ. ავალიანი	2	2	-	-	-
კილასონია	2	1	-	-	-
იაკობ დეისაძე	2	1	-	-	-
ქოგალია	2	-	1	-	-
გ. ძორიძე	1	1	-	-	-
ლ. გრიგალაშვილი	1	1	-	-	-
სირგილაძე	1	-	-	-	-
ქოქიაშვილი	1	-	-	-	-
ციხარაული	1	-	-	-	-

I ტური

12.08	ს	გორგჯომი	0:1

II ტური

17.08	ს	მგლეები	0:1

III ტური

24.08	შ	სპარტაკი	0:1

IV ტური

3.09	ს	დინამო	0:3

V ტური

15.09	შ	ბათუმი	2:1

გოლები: გოჩაშვილი, ხუჭუა

VI ტური

23.09	ს	ამერი	0:7

VII ტური

28.09	შ	ვიტ ჯორჯია	0:3

VII ტური

5.10	ს	მესხეთი	1:2

გოლი: ქობალია

IX ტური

21.10	შ	ზესტაფონი	0:1

X ტური

28.10	ს	ლოკომოტივი	2:0

გოლები: გოჩაშვილი, ტყეშელაშვილი

XII ტური

24.11	ს	ოლიმპი	0:2

XIII ტური

2.12	შ	სიონი	1:1

ავტოგოლი: ოქროპირიძე

XI ტური

6.12	შ	დილა	1:0

გოლი: გოჩაშვილი

ინტერვიუ კახა ალადაშვილთან

ალადაშვილი მენეჯერების პასუხს ელის

ოთარ მარცვალაძემ და კახა ალადაშვილმა მხოლოდ ნახევარი სეზონი ითამაშეს უჟგოროდის „ზაკარპატიში“, მაგრამ უკრაინული „სპორტ-ექპრესის“ შეფასებით, გუნდთან სწრაფი ადაპტაცია და თავის გამოჩენაც შეძლეს.

აღნიშნულ ფეხბურთელთა ტრანსფერს კიევის „დინამო“ ფლობს. გაზეთის ინფორმაციით, კიეველთა ახალი გენერალური მენეჯერი რევაზ ჭოხონელიძე და მთავარი მწვრთნელი იური სიომინი განათხოვრებულ ქართველებს ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე წაყვანას უპირებენ. ეს მათთვის ბოლო შანსი იქნება.

თუმცა კახა ალადაშვილი ამბობს, რომ კიევისკენ გული აღარ მიუწევს და სხვა გეგმები გააჩნია. კახას გუშინ ვესაუბრეთ და სიახლეები გაგვიმხილა.

- კახა, კიევის „დინამოში“ ახალი შანსი გიჩნდება. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს უკრაინული „სპორტ-ექპრესი“. საკითხი საბოლოოდ გადაწყდა?

- ეს გამორიცხულია, მე ამ გუნდში დაბრუნება აღარ მინდა, ძალით დაბრუნებას კი არ ვაპირებ. როცა სურვილი მქონდა, შანსი მაშინ უნდა მოეცათ, მაგრამ არ ისურვეს. ორ-სამჯერ ათ-ათი წუთით თამაში შანსი არაა.

- აბა, რას აპირებ?

- ჩემს მენეჯერებს, მამუკა ჯუღელსა და ახრიკ ცვეიბას ველოდები. ისინი უგუნდოდ არ დამტოვებენ. უფრო სწორედ, ახლა ნაღდად ვიცი, რომ საინტერესო წინადადებები არის და მალე ახალი კლუბის სახელი მეცოდინება. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს.

- კიევის „დინამოს“ საწინაღმდეგო რა უნდა გქონდეს?

- იქ დაბრუნებას არ ვაპირებ.

- წინადადებები ისევ რუსეთიდან გაგაჩნია?

- რუსეთიდანაც და უკრაინიდანაც. ახლა მიდის მოლაპარაკებები.

- ზაფხულში გვითხარი, რომ „მოსკვაში“ მაინც დაბრუნდებოდი. ამას გულისხმობ?

- არა, ეს გამორიცხა.

- გეგმები იქ მწვრთნელად ოლეგ ბლოხინის დანიშვნამ აგირია? მას გუნდში ქართველი არასდროს არსად აუყვანია.

- არა, ეს არაფერ შუაშია. აღარ მინდა წინასწარ ვარიანტებზე საუბარი. რამდენჯერაც ვთქვი, იმდენჯერ ჩამეშალა და ჯობია ჯერ კონტრაქტი გავაფორმო და მერე ვისაუბრო.

- რეზო ჭოხონელიძის დანიშვნის მიუხედავად, კიევის დინამოსადმი დამოკიდებულებას მაინც არ იცვლი?

- მე ამ კაცს არც ვიცნობ და ერთხელაც არ გვისაუბრია. გუნდში დღემდე არეული ვითარებაა, ვინ ვის რას უჩალიჩებს, ვერ გაიგებ. ასეთ პრიობებში წასვლა არ მიღირს. რამდენი მწვრთნელიც შეიცვლება, არეულობა თავიდან დაიწყება და რაღა დამრჩენია.

ხომ ხედავთ რა დღეშია „დინამო“ ლიგაში ყველა თამაში წააგო და ბურთების სარეკორდო რაოდენობა გაუშვა. არაჯანსაღი ვითარებაა.

- მით უფრო გასაკვირია, ასეთ გუნდში ამბიციურმა ფეხბურთელმა როგორ ვერ ითამაშე?

- ყველა მწვრთნელს თავისი ფეხბურთელები მოჰყავდა და ვის რაში სჭირდებოდა იაფად შეძენილი ალადაშვილი.

- შენ საბოს ფეხბურთელი არ იყავი?

- არა, რა საბოსი. საქმეც მაგაშია, რომ არავის ფეხბურთელი არ ვიყავი და იმიტომ დავიჩაგრე. მე გასინჯვაზე ცვეიბამ და ჯუღელმა წამიყვანეს და პირველივე შეკრების შემდეგ კონტრაქტი მოვიპოვე.

- ერთხელ ანატოლი ბიშოვეცმა გულახდილად ბრძანა, თავმოყვარე ფეხბურთელი გასინჯვაზე არ უნდა წავიდეს, ასეთებს მწვრთნელებიც ზერელედ ვუყურებთო. დავიჯერო, „დინამოში“ ჩატარებული მშვენიერი ევროსეზონის შემდეგ, გამზადებულ კონტრაქტს რომელიმე ნორმალური გუნდი არ გთავაზობდა?

- საქართველოდან ეგრევე ძლიერ გუნდში არავინ აგიყვანს. თუმცა კონტრაქტი როგორ არ შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ შევცდი. „ზაპოროჟიე“ და დონეცკის „მეტალურგი“ მიწვევდნენ. მე „დინამო“ ვამჯობინე, სახელს მაინც თავისებური მიმზიდველობა გააჩნია და ასეცაა, ამბიციები რომ გაქვს, უკეთესზე უარს როგორ იტყვი? დრომ მაჩვენა, რომ აჯობებდა, ჯერ სხვა დონის კლუბებში მეთამაშა. რას წარმოვიდგენდი, ასე ცუდად თუ წავიდოდა საქმე.

იმასაც ვფიქრობდი, რომ კიევიდან სხვა გუნდში მოხვედრის გაცილებით მეტი შანსი მქონდა.



კახა ალადაშვილი საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში

- უჟგოროდში ჩატარებულ პერიოდს როგორ შეაფასებდი?

- ჩემთვისაც სასარგებლო იყო და მარცვალაძისთვისაც. როგორც იქნა, შემადგენლობაში სტაბილური თამაში მაღირსეს და ჩემთვის ეს დიდი სტიმული იყო. ორჯერ სიმბოლურ ნაკრებში დამასახელეს, სამჯერ კი თამაშის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადმომცეს. ფორმა აღვიდგინე და მეტიც, თავს მართლა კარგად ვგრძნობ.

- სხვათაშორის, კარგად მახსოვს, ზედიზედ ორჯერ მოხვდი სიმბოლურში და მაშინ ველოდით, რომ ტოპმიოლერი ისევ გამოგიძახებდა. ეტყობა, ჯერ კიდევ გაკვირდება, ან აღარ გიპირებს მიწვევას. შენ რას ფიქრობ?

- ეტყობა, მაშინ მიწვევის ღირსად არ ჩამთვალა. კარგად მესმის, რომ საფრანგეთთან თბილისური შეხვედრა ჩავაგდე და მართლა ცუდად ვითამაშე, მაგრამ ანრისთან ვის არ შეშლია, მარტო ამით წყდება ფეხბურთელის ბედი? მაშინ კიევის „დინამოს“ დუბლებში ვთამაშობდი, ახლა უმაღლეს ლიგაში გამომცადეს და თავი არ შემირცხვენია.

მაინც იმედიანად ვარ, ტოპმიოლერი შანსი ისევ მომცემს.

მერაბ მამულაშვილი

ოლიმპი უკრაინაში სახეცვლილი გაემგზავრება

მიხეილ ალავიძე

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ მალე მეორე წრისთვის მზადებას დაიწყებს. წინდაწინ შეიძლება ითქვას, რომ გუნდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

როგორც შევიტყვეთ, მეკარე **მიხეილ ალავიძე** გუნდიდან წავიდა. ის საჩემპიონო სეზონში გუნდის კარს საიმედოდ იცავდა, მაგრამ გამოცდილი **მირზა მერლანის** მისვლის შემდეგ, მისთვის ძირითადში ადგილი ვერ გამოიძებნა. 21 წლის ალავიძეს უთამაშებლობა არ აწყობს და „ოლიმპის“ ხელმძღვანელობას გათავისუფლება სთხოვა, თავად კი ახალი ნავსაყუდელის ძებნას შეუდგა.

მართალია, ჯერ ეს საკითხი ოფიციალურად არ გადაწყვეტილა, რუსთაველებს პერსპექტიული მეკარის გაშვება არ სურდათ, მაგრამ ეტყობა, მის გადაწყვეტილებასთან შეგუებული არიან. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მეორე მეკრედ „ბორჯომიდან“ **ბექა შეყრილაძე** აიყვანეს. სიახლე თავად ბექამ დაგვიდასტურა.

ალავიძე კი, თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს. საქართველოს პირობების გათვალისწინებითაც კი, რუსთაველები ალავიძის საფასურად მხოლოდ მცირე კომპენსაციას ითხოვენ. მიშას თქმით, კლუბი ხელის შეშლას არ აპირებს და თუნდაც, იჯარაზე თანხმობის იმედი გააჩნია. ამჟამად მიშას ორი ვარიანტი გააჩნია და ფიქრობს, სად გადავიდეს, მაგრამ კლუბების სახელები არ დაუკონკრეტებია.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპს“ რუსთავის საფეხბურთო სკოლის გაზრდილის, თბილისის დინამოელის, **გიორგი ფეიქრიშვილის** დამატება სურს. სხვა საკითხია, „დინამო“ ახალგაზრდა ფეხბურთელს როგორ გაუშვებს.

ახალ წლამდე გუნდი თბილისში შეიკრიბება, დასვენებული მოთამაშეები მსუბუქად ივარჯიშებენ და რამდენიმე დღეში მოსამზადებელ ეტაპს უკრაინის ქალაქ მარიუპოლში გააგრძელებს.

იქ რამდენიმე საკონტროლო მატჩია დაგეგმილი. მარიუპოლში გუნდს გამოცდილი უკრაინელი ფეხბურთელები დაემატებიან. როგორც შევიტყვეთ, ქვემო ქართლელთა მთავარ მწვრთნელ **ანატოლი პისკოვეცს** მათთან ან უმუშავია, ან საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვს. გასასინჯებს უკრაინის და რუსეთის პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება გააჩნიათ. ახალწვეულთა გვარებს კლუბში არ გვიკონკრეტებენ.

უკრაინელთაგან საუკეთესო სამ-ოთხ მოთამაშეს „ოლიმპი“ ნახევარწლიან კონტრაქტებს გაუფორმებს. საქართველოს ჩემპიონის დელეგაცია პეტერბურგში მარიუპოლიდან გაემგზავრება, სადაც რუსთაველებს თანამეგობრობის ტურნირზე გამოსვლა ელით.

მერაბ მამულაშვილი

გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია. ტრანსფერები

კუმანს კანისარესი და ალბელდა არ სჭირდება

მორიენტესი ერთი თვე ვერ ითამაშებს, ღამურების უმთავრესი სამიზნე რიისე იქნებაო...



სანტიაგო კანისარესი

სანტიაგო კანისარესისა და **დავიდ ალბელდას** ვალენსიური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ამგვარი მინიშნება „ღამურების" მთავარმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა** გააკეთა. დღეს ვალენსიელები ესპანეთის სამეფო თასის მატჩს გამართავენ. მათი მეტოქე მოკრძალებული „რეალ უნიონი" იქნება. კუმანმა გამოცდილი მეკარე და ნახევარმცველი განაცხადში არ შეიყვანა. კანისარესი 38 წლისაა. ის „ვალენსიაში" 1998 წლიდან ასპარეზობს. 30 წლის ალბელდას მთელი კარიერა ვალენსიაში აქვს გატარებული. ის კლუბის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. ამ ფეხბურთელებმა „მესტალიაზე" უთვალავ წარმატებას მიაღწიეს. 2000 და 2001 წლებში ისინი ზედიზედ ორჯერ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, 2004 წელს უეფას თასს დაეუფლნენ, ხოლოდ 2002 და 2004 წლებში - ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს.

აი, კუმანის კომენტარი: *„ფეხბურთელებს პირადად ვესაუბრე. ორივე შეხვედრა მეგობრული და გულწრფელი გამოვიდა. ისინი ახალგაზრდები აღარ არიან. კანისარესი და ალბელდა არც პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურში ითამაშებენ. მომდევნო მატჩებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებთ. მათ ვუთხარი, რომ საფეხბურთო კლუბი გემია. თუ ვინმეს ბორტზე ყოფნა არ სურს, უნდა წავიდეს. ეს საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებაა. ჩანაფიქრის განხორციელებისათვის დირექტორატის მხარდაჭერა მჭირდება. პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი ჩემს მოსაზრებებს იზიარებს. ის მეთანხმება, რომ კლუბისათვის საკადრო ცვლილებები აუცილებელია."*

კუმანი „ვალენსიაში" ნოემბრის დასაწყისში, **კიკე სანჩეს ფლორესის** ნაცვლად მივიდა. მისი კარიერის პირველი ეტაპი უმძიმესი გამოდგა. კლუბი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. უფრო მეტიც, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და უეფას თასზეც კი ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. ვალენსიელებმა კუმანის ხელმძღვანელობით რვა მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ერთი მოიგეს. გუნდს, რომელიც ყოველთვის მრისხანე თავდასხმით გამოირჩეოდა ხოლმე, ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო ექვს შეხვედრაში გოლი არ გაუტანია. „ღამურები" პრიმერა დივიზიონში მეშვიდე ადგილადმე დაქვეითდნენ. ისინი გათამაშების ლიდერ მადრიდის „რეალს" 13 ქულით ჩამორჩებიან. კუმანი არ მალავს, რომ მდგომარეობა სერიოზულია. ცვლილებების გადადება აღარ შეიძლება. მწვრთნელმა დაუყოვნებლივ რადიკალური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს: *„ვაპირებ, შემადგენლობა რამდენადმე გადავახალისო. მინდა, ახალგაზრდებსაც მივცე თავის გამოჩენის შანსი. დარწმუნებული ვარ, ერთი პოზიტიური შედეგი კარდინალურად შეცვლიდა ვითარებას. სათასო მატჩს დიდი იმედით ვუყურებ. ვფიქრობ, სწორედ ეს შეხდერა იქნება გარდამტეხი."*

სადაცაა, იანვრის სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება. გუნდი, რომელსაც კრიზისი აქვს, შემადგენლობის გაძლიერების შანსს მაქსიმალურად გამოიყენებს. ჯერჯერობით ვალენსიელთა სატრანსფერო ამბიციების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ინგლისური სააგენტოების ცნობით, „ღამურები" „ლივერპულის" განაპირა მცველით, **ჯონ არნე რიისეთი** დაინტერესდნენ. უახლოეს დღეებში მოლაპარაკებებიც დაიწყება. 27 წლის ნორვეგიელი ლეგიონერი 4 მილიონი გირვანქა ღირს. მას გამოცდილება არ აკლია. „სანის" ცნობით, ვალენსიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე კუმანის პირველი შენაძენი სწორედ ის იქნება. რიისეს თანაბარი წარმატებით შეუძლია მარცხენა მცველისა და ნახევარმცველის პოზიციაზე ასპარეზობა.

„ვალენსიაზე" საუბარს **ფერნანდო მორიენტესით** დავასრულებთ. ესპანეთიხ ნაკრების თავდამსხმელს დაახლოებით ერთი თვე გაუცდება. 31 წლის მორიენტესი „ბარსელონასთან" ბოლო ტურის მატჩში (0:3) დაშავდა. მან მარცხენა ბარძაყის კუნთი გაინყვიტა. მდგომარეობა შემაშფოთებელი არ არის. მოროს ოპერაცია არ სჭირდება. შედარებით ხანმოკლე შეუულებაც ამითაა გამოწვეული.



ფილიპ ლამი

ცა მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ფილიპს მიუნხენური კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად ზაფხულში ფეხბურთელმა ან სამსახური უნდა შეიცვალოს, ან ბავარიელებთან ახალ კონტრაქტზე მოაწეროს ხელი.

აქვე გეტყვით, რომ „იუნაიტედი" ბორდოელი თავდამსხმელით, **გაბრიელ ობერტანითაც** დაინტერესდა. ეს ბიჭი მხოლოდ 18 წლისაა და 5 მილიონი გირვანქა ღირს. ფერგიმ ბორდოელებს ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ შესთავაზა ობერტანის დათმობა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ამჯერად აუცილებლად მიაწევს საწადელს.



ლუჩანო მოჯი

იუვენტუსი

მოჯის აჩრდილი ჭურჭინში

საუბრობს თუ არა ქალბატონის გენერალური მენეჯერი თავის წინამორბედთან სატრანსფერო საკითხებზე...

ორშაბათს „იუვენტუსის" დირექტორთა საბჭო შეიკრიბა. კლუბის ხელმძღვანელებმა სამომავლო გეგმები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იანვრის ტრანსფერებისათვის თანხის გამოყოფის საკითხს, აგრეთვე „დელე ალპის" რეკონსტრუქციის თემას. საუბრის დეტალები არ გაუხმაურებულა. იტალიურ სააგენტოებს, „ქალბატონის" გეგმებზე მეტად, ერთ სკანდალურ საქმეში სურს გარკვევა: არღვევს თუ არა „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას და აქვს თუ არა საქმიანი ურთიერთობა კლუბის ყოფილ გენერალურ მენეჯერ **ლუჩანო მოჯისთან**? ნეაპოლის პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული უკანასკნელი მასალებით ირკვევა, რომ აქვს. კლუბის მინიმუმ ერთი მაღალჩინოსანი, „იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი **ალესიო სეკო** ლუჩანოეს ხშირად უკავშირდება. მათი საუბრის საგანი ფეხბურთია. სეკო სიამოვნებით ისმენს რჩევებს ოდესღაც ძლევამოსილი საფეხბურთო ჩინოვნიკისაგან. რა არის ამაში უკანონო, იკითხავს მკითხველი. თანაც სეკო და მოჯი ხომ ძველი მეგობრები არიან. სინიორ ალესიოს არასოდეს დაუმალავს, რომ მისი და სინიორ ლუჩანოს ურთიერთობა სცილდება სამსახურებრივ ჩარჩოებს. ისინი ძმაკაცები არიან და ოჯახებით მეგობრობენ. ამდენად, ტელეფონითაც ხშირად საუბრობენ ხოლმე. მაგრამ უკანონოა არა ის, რომ საუბრობენ, არამედ ის, თუ რაზე საუბრობენ. ნეაპოლის პროკურატურის მიერ გაშიფრული ფარული მიყურადების ტექსტიდან ვიგებთ, რომ მოჯი სეკოს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით აძლევს რჩევებს. მაგალითად, ის დაბეჯითებით არწმუნებს ტურინელ ჩინოვნიკს, არ გაყიდონ ახალგაზრდა ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო**, რომლის შეძენა „ფიორენტინას" სურს. და აი, მივადექით მთავარ საქმელს. გახმაურებულ სკანდალში მონაწილეობისათვის, მოჯი ფეხბურთიდან ხუთი წლითაა მოკვეთილი. მას „იუვენტუსთან" საქმიანი ურთიერთობა აკრძალული აქვს. აქ კი რა ხდება? ზოგიერთ იტალიელ მიმომხილველს რომ ჰკითხოთ, სეკო მოჯის გარეშე ნაბიჯსაც კი არ დგამს. თუ ასეა, ტურინელებმა შეიძლება მორიგ სკანდალში გაჰყონ თავი. სეკოსაგან განსხვავებით, „იუვენტუსის" სხვა ხელმძღვანელები, და პირველ რიგში, პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** მოჯისთან ურთიერთობას კატეგორიულად უარყოფს. *„მას არცკი შეეხვედრივარ. ამ პიროვნებას მხოლოდ გაზეთებიდან ვიცნობ,"* - ამბობს კობოლი ჯილი. როგორც ჩანს, სეკოს დირექტორატის დანარჩენი წევრებისათვის ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწევს.

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

ლამი ოლდ ტრეფორდზე

რა მოხდა მანჩესტერის სასტუმროში?

მანჩესტერის პოლიცია იძიებს ინციდენტს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა. სპეკულაციების თანახმად, იმ სასტუმროში „იუნაიტედის" ფეხბურთელები ხმაურიან წვეულებას მართავდნენ. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ახალგაზრდა მანდილოსანმა დახმარებისათვის სამართალდამცველებს მიმართა. მან პოლიციას განუცხადა, რომ გააუპატიურეს. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. პოლიცია იუწყება, რომ გამოძიება მიმდინარეობს. ამიტომ მის დასრულებამდე რაიმე სახის ინფორმაცია არ გავრცელდება. „მირორმა" საკუთარი არხებით აი, ეს ცნობები შეაგროვა: „იუნაიტედის" მთელი შემადგენლობა „გრეით ჯონ სტრიტ ოტელში" შეიკრიბა. ფეხბურთელებმა დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე ერთმანეთს შობა მიულოცეს. რატომ დღეს და რატომ არა ერთი კვირის შემდეგ? ინგლისურ ფეხბურთში კარგად ჩახედული გულშემატკივარი ამ გულუბრყვილო შეკითხვას არ დასვამს. მოგეხსენებათ, ინგლისის პრემიერლიგა ერთადერთი საფეხბურთო ტურნირია, რომელიც შობისა და ახალი წლის დღეებში არათუ არ ისვენებს, მომეტებული ინტენსივობით ატარებს მატჩებს. გამონაკლისი არც წვანდელი შობა-ახალი წელი იქნება. ამიტომ ფეხბურთელებმა დღესასწაულები დროულად უნდა მოითავონ. ასე მოხდა ორშაბათ საჯამოსაც. „მენიუს" ვარსკვლავებმა სასტუმროდან პოპუულარულ პაბ „ოლდ გრეიფსს" მიაშურეს. შემდეგ ისევ სასტუმროში დაბრუნდნენ და ის სკანდალური ინციდენტიც, როგორც ამბობენ, იქ მოხდა. დაზარალებული ქალბატონი 26 წლისაა. მისი ვინაობას, რა თქმა უნდა, არ ამხელენ. ყოვლისშემძლე ინგლისური ტაბლოიდებმა ვარაუდის დონეზეც კი არ იციან, თუ რომელი ფეხბურთელია გარეულია ამ საქმეში. და საერთოდ, ნამდვილად მოხდა თუ არა დანაშაული. ხომ შეიძლება, მავანი გოგონა მოთამაშეების დაშანტაჟების გზით, მათთვის ფულის გამოძალვას ცდილობდეს? ასეა თუ ისე, ჩვენ ინტერესით დაველოდებით მოვლენების განვითარებას. იქამდე კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკიდან მიღებული სხვა ინფორმაციებს გაეცანით:

„იუნაიტედმა" დაადასტურა, რომ ბაიერნელი **ფილიპ ლამის** ტრანსფერზე ფიქრობს. **სერ ალექს ფერგიუსონი** ამ ბიჭს იდეალურ კანდიდატად მიიჩნევს. ლამი უნივერსალური ფეხბურთელია. ის ნომინალური მარცხენა მცველია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მარჯვნივაც წარმატებით თამაშობს. „მენიუს" დაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერება უნდა. ამ პოზიციაზე გუნდს მხოლოდ პატრის ევრა ჰყავს. 24 წლის ლამს მთხოვნელები არ აკლია. სპეკულაციების თანახმად, მას სარფიან კონტრაქტს უმზადებს „ბარსელონაც". „იუნაიტედს" „ბაიერთან" ჩინებული ურთიერთობა აქვს. გასულ ზაფხულს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ამ კლუბებმა ოუენ ჰარგრივსის ტრანსფერი გაჩარხეს. დიდი ხნის განმალვობაში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ „იუნაიტედს" კიდევ ერთი ბაიერნელი მცველის, **ვილი სანიოლის** შეძენა სურდა. „მენიუმ" სანიოლის ვარიანტი არ დაადასტურა. ვილის გეზი იტალიისკენ აქვს აღებული, ლამი კი... თუმ-

რაიკაარდის ორი მატჩი

უეფამ **ფრანკ რაიკაარდს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ის ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. ამ განაჩენს საფუძვლად დაედო წითელი ბარათი, რომელიც ჰოლანდიელ მწვრთნელს „ლიონთან" გასვლითი შეხვედრისას (2:2) აუფრიალეს. ეს ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა ტურში მოხდა. რაიკაარდმა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილება ხმაურიანად გააპროტესტა. შემდეგ ტექნიკურ ზონას გასცდა და დიდხანს ეკამათა მეოთხე მსაჯს. ის მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ტრიბუნაზე მიაბრძანეს. გაძევების გამო რაიკაარდმა ავტომატურად გამოტოვა „შტუტგარტთან" ბოლო შეხვედრა. მერვედფინალური რაუნდის კენჭისყრა პარასკევს გაიმართება. ფლეი ოფში გასული 16 კლუბი მეტოქეთა ვინაობას ამ დღეს შეიტყობს.

ლაკომბს რენი ჩააბარეს

„პარი სენ ჟერმანის" ყოფილი დამრიგებელი **გი ლაკომბი** „რენში" დაინიშნა. მან ამ კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე **პიერ დრეოსი** შეცვალა. „რენი" უმწვავეს კრიზისშია. კლუბმა ქვეყნის ჩემპიონატში ზედიზედ ექვსი მატჩი წააგო. ის მე-13 ადგილზე იმყოფება. გასაკვირი არ არის, რომ მოსიე დრეოსის კარისკენ მიუთითეს. 52 წლის ლაკომბი იანვრის შემდეგ უმუშევარი იყო. 52 წლის სპეციალისტს სხვა და სხვა დროს „ტულუზში", „გინგამსა" და „სოშოში" უმუშავია. მან პარიზში წელიწადზე ოდნავ მეტი დრო გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ერთი ტიტულის დაუფლება მოასწრო. 2006 წელს „პარი სენ ჟერმენი" საფრანგეთის თასს დაეუფლა. ლაკომბმა ფეხბურთელობისას „რენში" ერთი სეზონი გაატარა (1985-86). ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ მოსიე გი ის საფრანგეთის ნაკრების წევრი იყო, რომელმაც 1984 წელს ოლიმპიადის ოქროს მედლები მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კაკასთან

არასოდეს დამიმალავს სურვილი, რომ ინგლისში ან ესპანეთში მეთამაშა

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის მოტივაცია ამოუწურავია: ტიტულები, ტიტულები და კიდევ ტიტულები...

„მილანის“ თითოეული მატჩი, ეს არის ერთგვარი მიპატიჟება განსაკუთრებული ტალანტის მქონე ფეხბურთელის სანახავად, იმ ფეხბურთელისა, რომლის თამაშმაც, არ შეიძლება, გულგრილი დატოვოს რა გინდა რა გემოვნების მქონე გულშემატკივარი. „როსონერის“ მიმართ ყველაზე ანტაგონისტურად განწყობილი ფანებიც კი აღიარებენ, რომ კაკა გენიალურია. ეს აღიარა „ფრანს ფუტბოლმაც“ და ბოლოს ფიფამაც, როცა 17 დეკემბერს მას მსოფლიოს 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიანიჭა. გთავაზობთ ინტერვიუს რიკარდო იზეკსონ ლეიტესთან (ასე ულერს სრულად კაკას გვარ-სახელი), რომელსაც ესპანური გამოცემა „მარკას“ კორესპონდენტი ესაუბრება...

- იცით, ახლა რა ბედნიერი ადამიანი ვარ?

- რატომ?

- იმიტომ, რომ მაქვს პატივი, ვესაუბრებოდე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს...

- არ გინდათ... მე არ ვარ საუკეთესო და ეს ძალიან კარგად ვიცი. შემიძლია ერთი რამეში დაგეთანხმოთ, რომ სამეულში ვარ, მაგრამ მხოლოდ სამეულში და მეტი არა. ვამაყობ, რომ „მილანსა“ და ბრაზილიის ნაკრებში ვთამაშობ. ბედნიერი კი იმით ვარ, რომ ამ გუნდებს წარმატებების მიღწევაში ვეხმარები. სულ ეს არის ჩემი მისია.

- ფიგუ, რონალდო, ზიდანი, რონალდინიო... მათ ყველამ მიიღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო. რომელ მათგანს ჰგავხართ ყველაზე მეტად?

- ალბათ, ზიდანს. არა, ჩვენ ერთნაირები არ ვართ, მაგრამ რაღაცით მაინც ვგავართ ერთმანეთს. მეორე მხრივ, განსხვავებაც ბევრია. მაგალითად, მე უფრო ხშირად ვარ მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ მთავარი მსგავსება ისაა, რომ ორივეს ძალიან მოგვწონს პარტნიორებზე თამაში. ზიდანი უდიდესი მოთამაშე იყო. როგორც იტალიელები იტყვიან ხოლმე, „ყოველგვარი შეფასების გარეშე“.

- როგორ მიაღწიეთ ამხელა წარმატებებს?

- შრომით, რომელსაც ვერაფრით ჩაანაცვლებ. შეიძლება, უდიდესი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ოფლისღრის გარეშე არაფერი გამოვა, ვერაფერს მიაღწევ. წარმატება კი ერთგვარი ნაზავია შრომის, ნიჭისა და ნებისყოფის.

- რა განსხვავებაა დღევანდელ და იმ კაკას შორის, რომელმაც ხუთი წლის წინ „მილანის“ მაისურა მოირგო?

- გავიზარდე, გამოცდილება დავაგროვე... თავიდანვე ვიცოდი, რისთვის მინდოდა, რომ მიმეღწია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკვე ყველაფერი მაქვს. მუდმივი სრულყოფაა საჭირო და ამიტომ, საკუთარ თავზე მუშაობას ვაგრძელებ. დღეიდან, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვატარებ...

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდოები?

- მახსოვს, რივალდომ რომ მოიგო ეს პრიზი, მომიყვა, თუ რა გზა გაიარა აქამდე. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ უკვე შემეძლო იმის გაგება, რაოდენ მძიმეა ფეხბურთელის შრომა. უკვე ვფიქრობდი, რომ რივალდოს დონისთვის უნდა მიმეღწია და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას შევძლებდი კიდეც. დააკვირდით, ჯერ რივალდო, მერე რონალდო, მერე რონალდინიო, ახლა კი მეც. არ ჰგავს ეს ზღაპარს?! ყველაფერს, რასაც მივაღწიე, ღმერთს ვუმადლი, ღმერთს, რომელმაც ნიჭი მომცა. ამას გარდა, გამიმართლა კიდეც, რაკი ისეთ დიდ გუნდში მოვხვდი, როგორიც „მილანია“.

- თქვენი მთავარი კონკურენტები კრისტიანო რონალდო და მესი იყვნენ. ელოდით, რომ ასეთ შთამბეჭდავ გამარჯვებას მოიპოვებდით?

- არ დაგავიწყდეთ დიდიე დროგბაც! „ჩელსის“ რომელიმე მნიშვნელოვანი ტურნირი რომ მოეგო, დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილას დროგბა იქნებოდა. მესი და კრისტიანო რონალდო მოედანზე სასწაულებს აკეთებენ და დაუვიწყარი გოლებიც გააქვთ. დღეს მათ ბადალი არ ჰყავთ. მათგან განსხვავებით, მე ვცდილობ, უფრო მეტად შექმნელი ვიყო, ვიდრე გამტანი. სხვათა შორის, ორივე ერთნაირ სიამოვნებას მანიჭებს.

- მაგრამ რატომ თქვენ და არა ისინი?

- იმ სეზონში, როცა არც მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება და არც ევროპირველობა, განსაკუთრებულ როლს თამაშობს საკლუბო ტურნირებში მიღწეული წარმატებები. ცხადია, პირველ რიგში ეს ჩემპიონთა ლიგას ეხება. ასე რომ, ძირითადი სხვაობა ისაა, თუ რა გარემოში იმყოფები. გადახადეთ ბოლო წლებში გამარჯვებულებს და დარწმუნდებით, რომ წარმატება იმ ფეხბურთელებს ხვდათ წილად, რომელთა კლუბებმა ან ნაკრებებმა რაღაც მნიშვნელოვანი მოიგეს. სინამდვილეში კი ჩვენს შორის განსხვავება, ფაქტობრივად, არ არის.

- თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ვის მისცემდით ამ ჯილდოს?

- კრისტიანო რონალდოს. რა თქმა უნდა, მესიც დიდი მოთამაშეა, თუმცა კრისტიანომ „მანჩესტერს“ უკვე მოუტანა რამდენიმე ტიტული და ესაა სწორედ მთავარი. ლეოს კი წელს არაფერი მოუგია, უბრალოდ, მას არ გაუმართლა. მაგრამ მან გული არ უნდა გაიტეხოს, ის ჯერ კიდევ 20 წლისაა და დარწმუნებული ვარ, წინ დიდი გამარჯვებები ელოდება.

- როგორ ფიქრობთ, დადგება დღე, როცა ამ ჯილდოს მეკარე მოიგებს?

- არ ვიცი. თუმცა ერთი წლის წინ, კანავარომ დაამტკიცა, რომ მცველებსაც შეუძლიათ საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოგება. მაშინ, რატომ არ შეიძლება, რომ გამარჯვება მეკარემაც იზეიმოს?

- მაგალითად, ესპანეთში ფიქრობენ, რომ ტიტულს იკერ კასილიასი იმსახურებს...

- ეჭვგარეშეა, რომ „რეალის“ წარმატებებში კასილიასის როლი სულაც არ არის რაულის ან ვან ნისტელროიზე ნაკლები. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ისეთი მეკარეები, როგორებიც არიან კასილიასი და ბუფონი, არანაკლებ მისიას ასრულებენ თავიანთ გუნდებში, ვიდრე თავდამსხმელები. თუ კასილიასი „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ან ესპანეთის ნაკრები წარმატებას მიაღწევს ევროპის ჩემპიონატზე და თავად იკერიც გაიბრწყინებს, გარწმუნებთ, მის პირველ-ფეხბურთელობას წინ ვერაფერი დაუდგება. როცა წლების წინ „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგა დაიპყრო, მაშინ სამეფო კლუბში ზიდანი და ფიგუ თამაშობდნენ...

- უკვე გააფორმეთ ახალი კონტრაქტი?

- ვისთან?

- როგორ, ვისთან? რა თქმა უნდა, „მილანთან“. რატომ გაიკვირვეთ?

- არა, ჯერ არა. „მილანი“ ძალიან მიყვარს, მაგრამ რა მეჩქარება? ახლა მშვიდად ვარ და არანაირ სხვა პერსპექტივაზე არ ვფიქრობ. ახლა, ჩემთვის მთავარი „მილანია“. „მილანი“ და მხოლოდ „მილანი“!

- რას იტყოდით, „რეალმა“ რომ მოინდომოს თქვენი გადაბირება და გთხოვოთ, სილვიო ბერლუსკონის აზრი შეაცვლევინოთ. როგორი იქნებოდა თქვენი პასუხი?

- ფუჭი იქნება ეს მცდელობა. იცით, არც კი მომდის თავში აზრად, რომ ვინმეზე რაიმე სახის ზეწოლა მოვახდინო იმისთვის, რათა „მილანიდან“ ნავიდე. პირიქით, ჩემი მიზანია ბოლომდე მივიყვანო ეს კონტრაქტი და თუ შესაძლებლობა იქნა, ახალიც გავაფორმო. წავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას კლუბი გადაწყვეტს. არც უ იქნება პრობლემა. საერთოდ, ყველა ჩვენგანის ბედი და მომავალი ღმერთის ხელშია.

- „მილანთან“ ერთად ყველაფერი მოიგეთ. საიდანღა გაქვთ იმდენი მოტივაცია, რომ კვლავ „როსონერიში“ ითამაშოთ?

- რას ნიშნავს, საიდან მაქვს მოტივაცია? პროფესიონალ ფეხბურთელს ამის ძებნა არ უნდა ჭირდებოდეს. მოტივაციაა კიდევ ერთი ჩემპიონთა ლიგა, კიდევ ერთი სკუდეტო და ასე შემდეგ... ან თუნდაც ის, რომ მიღწევებით პაოლო მალდინის მივაუხლოვდე მაინც. განა ეს არ არის მოტივაცია? სხვათა შორის, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონობაც მინდა. აი, კიდევ ერთი მოტივაცია.

- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დღეს უფრო ხართ მოწადინებული „მილანში“ დარჩენით, ვიდრე გასულ წელს იყავით...

- შარშან რაღაც ეჭვები მქონდა... არ ვიცოდით, რა მოხდებოდა გუნდში... მაგრამ აი, მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა და ყველაფერი ადგილზე დადგა.

- რამდენად ძლიერია თქვენში სარწმუნოება?

- ეს ჩემი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. უზომოდ კმაყოფილი ვარ, როცა ხალხს ვეხმარები...

- რას იტყვით იმ კრიტიკაზე, რაც ბოლო ხანებში რონალდინიოს მისამართით ისმის?

- მას ახლა რთული პერიოდი აქვს. მისგან ახლა შორს ვარ, მაგრამ ვიცი, რომ რაღაც უჭირს. რონალდინიო საუკეთესოა მსოფლიოში, მას პერსონალურად შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა... გაიხსენეთ, როგორ თამაშობდა გასულ სეზონში, ყველა აღმერთებდა... ახლა სიტუაცია შეიცვალა, მართლაც ყველა აკრიტიკებს, და ეს იმ ფონზე, რაც მან კატალონიური კლუბისთვის გააკეთა. იცით, რაღაც ეტაპზე ყველას სჭირდება ამოსუნთქვა, სიტუაციის გააზრება, წარსულის გადახედვა... რაღაც მომენტში უნდა ჩათვალო, რომ დღეს არაფერს წარმოადგენ. ეს იმიტომ, რომ კვლავ ძველ სიმაღლეზე დარჩე. მაგრამ გესმით, რომ მას ამის დრო არ აქვს? სხვანაირად კი არ შეიძლება, რონალდინიო რომ მოდუნდეს, ამით ის უღალატებს თანაგუნდელებს, ფანებს... ფანები კი მას ამას არ აპატიებენ. ხანდახან კაცი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდები, რომ იქიდან გამოსავლის პოვნა ადვილი არ არის. ცხოვრება რთული რამაა, ის ყოველდღე ახალახალ გამოცდას გიწყობს. მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთში სიტყვა „გუშინ“ არ არსებობს.

- როგორ გიჯობ: იყოთ კარგი ფეხბურთელი თუ უბრალოდ, კარგი ადამიანი?

- მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია იყო კარგი ფეხბურთელი და ამავე დროს, არ იყო კარგი ადამიანი. ფეხბურთი ყველანაირ ნეგატივს იტევს, იმდენად ბევრს, რომ შეიძლება, ყველა პოზიტივი ერთი ხელის მოსმით დაფაროს. სპორტი კი მხოლოდ დადებითი ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

- რჩება შთაბეჭდილება, რომ იტალიური ფეხბურთის ქომაგთა გამონათქვამები და ქცევები ხშირად სიტუაციის არაადექვატურია...

- ...თან იმდენად, რომ უბრალოდ საშინელებაა. მაგრამ ეს თავად ფეხბურთისგან არ მოდის. სისასტიკის პრობლემა სახელმწიფო დონეზე უნდა აღმოიფხვრას, რადგან ეს ყველაფერი სოციალურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთი ქომაგი სტადიონზე მიდის მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი ბოღმა ამოანთხიოს. მე ვთვლი, რომ ამისთვის სხვა გზა არსებობს: მივმართოთ რწმენას და ღმერთს.

- მაგრამ ფეხბურთი თქვენთვის სხვა რამაა...

- ფეხბურთი ჩემთვის ზეიმია. უკეთესი იქნება, რომ სტადიონზე ხალხი ოჯახებით დადიოდეს, მაგრამ იტალიაში ეს შეუძლებელია, მეტიც - სიცოცხლისთვისაც კი სახიფათოა. იღუპებიან პოლიციელები, თავად გულშემატკივრებიც... მაგრამ ამავე გულშემატკივრების გამო, ხშირად თამაშებიც წყდება. მოკლედ, ყველამ რაღაც უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ სიტუაცია გამოსწორდეს.

- ის უფრო მოგწონთ, თავად რომ გაგაქვთ გოლი, თუ როცა ამაში პარტნიორებს ეხმარებით?

- მომწონს, როცა გოლები გამაქვს, მაგრამ „მილანში“ მე სხვა ამოცანა მაკისრია და ეს ყველამ იცის - თანაგუნდელები საგოლე პასებით უნდა მოვამარაგო. ესეც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. თუმცა როცა შენ გაგაქვს, რაღაც ენით აუწერელი გრძნობაა.

- როგორ გირჩევნიათ: ერთი ფორვარდი თუ ორი?

- მე ყოველთვის მოედნის ცენტრში თამაშს ვამჯობინებ, როცა წინ ორი ფორვარდია. მაგრამ ანჩელოტი ხშირად წინ მაყენებს ხოლმე. ნატურით ნახევარმცველი ვარ. ისე კი, წინ თამაშით გარკვეულ სარგებელსაც ვიღებ, რადგან ამ დროს, მეტი სივრცე მრჩება, სივრცე და მოქმედების თავისუფლება.

- გამოდის, რომ თქვენს საყვარელ პოზიციაზე ხშირად არ გინევთ თამაში...

- მე მესმის, რაც სჭირდება გუნდს. ტრავმები თუ სხვა მიზეზები აიძულებს მწვრთნელს, გარკვეულ გადაადგილებებს მიმართოს და დამაყენოს იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლის. ანუ, ყველაფერს გუნდური ინტერესები განაპირობებს და არა პირადი.

- ხომ არ შეიძლება, რომ ამ სიტუაციამ გაიძულოთ, კარი სხვა გუნდებსაც გაუღოთ?

- არა, მხოლოდ „მილანს“!

კაკა და მისი ლეგენდარული თანამემამულე პელე

- და „რეალი“? „ბარსელონა“? „ჩელსი“?

- არასოდეს დამიმალავს სურვილი, რომ ინგლისში ან ესპანეთში მეთამაშა. ამ ქვეყნების ჩემპიონატებს დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს. ძალიან მომწონს პრემიერლიგა, საოცარი, ფანტასტიკური ატმოსფეროა. ხალხით გაჭედილ სტადიონებზე თამაში ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაციაა. ესპანეთში კი სწორედ იმ ფეხბურთს თამაშობენ, რომელიც მე მომწონს - უფრო ტექნიკურს, უფრო შემტევს, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

- ნუთუ კიდევ იტყვით უარს წელიწადში 10 მილიონ ევროზე? ეს ხომ მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ გაქცევდათ?

- მე არ ვიცი, რამდენს იღებენ სხვა ფეხბურთელები. თქვენ იცით? არ გეგონოთ, რომ ახლა, როცა საკმაოდ ბევრს მიხდიან, უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მაშინ, როცა გაცილებით ნაკლებს ვიღებდი. ჩემი ინტერესები სულ სხვაა: ტიტულები და მხოლოდ ტიტულები. სწორედ ეს მამოძრავებს და არა ფული. მინდა, რომ ისტორიაში დავრჩე როგორც დიდი ფეხბურთელი, და არა, როგორც ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი.

- და როგორ ფიქრობთ, ვინ არის საუკეთესო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში?

- პელე მხოლოდ ვიდეოჩანაწერებში მინახავს, მაგრამ მისი მიღწევები თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. იმავეს ვიტყოდი გარინჩაზეც. მერე იყო დიდი გუნდი, რომელშიც ზიკო, სოკრატესი და ფალკაო თამაშობდნენ. შემდეგ მოვიდა რომარიო, რომელიც უბრალოდ ფენომენი იყო... სხვათა შორის, ძალიან ვწუხვარ, რომ მან „ოქროს ბურთი“ ვერ მოიგო. სამწუხარო და უცნაურია...

- შეიძლება, ძველი რონალდო დაბრუნდეს?

- იმედი მაქვს, მალე დაბრუნდება და როგორმე, ზედიზედ ექვსი-შვიდი მატჩის ჩატარებას შეძლებს. ეს სწორედ ისაა, რაც მას არ ჰყოფნის. ის უდიდეს ფეხბურთელად რჩება. ჩემი მხრიდან, ყველაფერს გავაკეთებ, რათა დავეხმარო მას ძველი დიდებისა და ბრწყინვალების დაბრუნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

ლიოვის არჩევანი: ლემანი, ჰილდებრანდი, ენკე!

მაგრამ ვინ იქნება პირველი, საკითხავი აი, ეს არის...

ევრო 2008-ზე ლიოვი ლემანს, ჰილდებრანდს და ენკეს წაიყვანს. რომელი მათგანი დაიცავს ბუნდესგუნდის კარს?

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოხიმ ლიოვს** ძალიან მობეზრდა ის დისკუსია, რომელიც ბოლო დროს ალემანიაში ყველაზე აქტუალურია – ვინ დაიცავს ბუნდესგუნდის კარს ევროპის ჩემპიონატზე? შესაბამისად, გუშინ ბუნდესმწვრთნელმა სათანადო ნაბიჯი გადადგა. იოგიმ საინფორმაციო სააგენტო sid-ს განუცხადა, რომ ავსტრია/შვეიცარიაში **იენს ლემანს, ტიმო ჰილდებრანდს** და **რობერტ ენკეს** წაიყვანს – თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე მათგანმა ტრავმა არ მიიღო. ბუნდესნაკრების დამრიგებლის თქმით, საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რომელი მათგანი იქნება ამ სამეულიდან პირველი მეკარე. ამასთან, ლიოვმა ისიც აღნიშნა, რომ ლემანისა და ჰილდებრანდის მდგომარეობა (სათამაშო პრაქტიკა არცერთს არა აქვს) საკმაოდ საგანგაშოა.

„გადაწყვეტილია, რომ ჩვენ უმთავრეს იმედებს ლემანზე და ჰილდებრანდზე ვამყარებთ,“ - აცხადებს ლიოვი ხსენებულ ინტერვიუში, - *„შესაბამისად, ისეთ კონკურენციას, როგორიც 2006 წლის მუნდიალის წინ ოლივერ კანსა და ლემანს შორის იყო, ადგილი არ ექნება.“*

ლიოვს ისღა დარჩენია, რომ ევროპის ჩემპიონატის მოახლოვებას დაელოდოს და იმედი იქონიოს, რომ ლემანს და ჰილდებრანდს სათამაშო პრაქტიკა ექნებათ. 38 წლის იენსი „არსენალის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ ლონდონურ კლუბს არ დატოვებს, ძირითადში არავინ დააბრუნებს. აი, ჰილდებრანდის მდგომარეობა კი ოდნავ გაუმჯობესდა – ტიმოს „ვალენსიის“ სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრების კარგი შანსი აქვს, რადგან „ღამურების“ მთავარმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა** განაცხადა, უახლოეს მატჩებში გერმანელს ვათამაშებ, რადგან **სანტიაგო კანისარესის** შეცდომები ყელში ამომივიდაო.

„შეიძლებოდა, მდგომარეობა ამაზე უკეთესიც ყოფილიყო,“ – აკონკრეტებს ლიოვი, - *„მაგრამ ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელ ფაქტს არ ჰქონდა ადგილი, ევროპის ჩემპიონატზე ლემანს, ჰილდებრანდს და ენკეს წავიყვან. იენსმა მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად ითამაშა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც შეუდარებელი იყო. შესაბამისად, თუ სათამაშო პრაქტიკა ექნება, მისი სასტარტოდან ამოგდების საფუძველი არ არსებობს. გარდა იმისა, რომ ლემანი გერმანიაში საუკეთესო მეკარეა, ის გუნდის ჩვენი ლიდერიცაა!“*

„ჰანოვერის“ დარაჯ რობერტ ენკეს ასეთი პრობლემები არ აწუხებს – ის „წითლების“ ძირითადი გოლკიპერია. ენკემ „ჰანოვერის“ შემადგენლობაში ბუნდესლიგის პირველი წრის 17-ვე შეხვედრაში იასპარეზა და კიკერის „საშუალო“ შეფასებით, ლევერკუზენელ **რენე ადლერთან** ერთად საუკეთესო კიპერია – ენკეს 2.82 ბალი აქვს. აქვე გეტყვით, რომ ლემანს გერმანიის ნაკრებში 51 თამაში აქვს, ჰილდებრანდს 7, ხოლო ენკეს კი მხოლოდ 1.

ამრიგად, დისკუსია ამ ეტაპზე ამონურულად უნდა ჩაითვალოს. როგორც იცით, ჩვენი გერმანელი კოლეგები მუდმივად სპეკულირებდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი **მანუელ ნოიერს** (შალკე), რენე ადლერს (ლევერკუზენი), **რომან ვაიდენფელერს** (დორტმუნდი) და **მიხაელ რენზინგსაც** (ბაიერნი) ჰქონდათ.

ამასთან ერთად, ლიოვმა sid-სთვის მიცემულ ინტერვიუში **ბასტიან შვაინშტაიგერსა** და **ლუკას პოდოლსკიზეც** ისაუბრა. როგორც იცით, ეს დუეტი „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. იოგის თქმით, შვაინის და პოლდის შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, რადგან ისინი ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად ითამაშებენ.

„მიუხედავად მათი ახალგაზრდული ასაკისა, პოლდიმ და შვაინიმ ბუნდესგუნდში 40-ზე მეტი მატჩი ჩაატარეს. ვფიქრობ, ეს სტატისტიკური მონაცემი საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ: პოდოლსკი და შვაინშტაიგერი გერმანიის ნაკრების განუყოფელი მოთამაშეები არიან. მათ, ისევე, როგორც მიხაელ ბალაკს, ბერნდ შნაიდერს ან ტორსტენ ფრინგსს, ავსტრიისა და შვეიცარიის სტადიონებზე თამაში განაღდებული აქვთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოეშვან.“ – ამბობს ლიოვი.

გოტფრიდ ლენცი



რობერტო მანჩინი

ინტერი. ახალი ამბები

მანჩინი განმარტავს

ამანტინო, რომიდან მილანში? ვიეირა ნავარაუდევზე ერთი თვით ადრე დაბრუნდება...

გასულ შაბათს იტალიურმა სააგენტოებმა **რობერტო მანჩინის** კომენტარები გაავრცელეს. „ინტერის“ მწვრთნელი საკლუბო მუნდიალზე საუბრობდა. მოგეხსენებათ, მეორე დღეს ტურნირის ფინალი უნდა გამართულიყო. ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ „მილანი“ და „ბოკა ხუნიორსი“. მანჩინის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მისთვის აბსოლუტურად სულერთია, ვინ დაეუფლება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს - მისი თანაქალაქელი კლუბი თუ ბაირესულ გრანდი. მანჩინი უფრო შორსაც წავიდა. მან საკლუბო მუნდიალს ამხანაგური გათამაშება უნოდა და განაცხადა, რომ ამ ტურნირის მოგებაში განსაკუთრებულ აზრს ვერ ხედავს. მიმომხილველებმა მანჩინის კომენტარში „მილანის“ მოსალოდნელი წარმატების დაკნინების სურვილი ამოიკითხეს. სხვა აზრის გამოტანა მართლაც შეუძლებელი იყო.

„მილანმა“ „ბოკა ხუნიორსი“ იოლად დაამარცხა, 4:2. „როსონერიმ“ ევროპის ჩემპიონობას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მიამატა. ჟურნალისტები ისევ მანჩინის დაუკავშირდნენ და მორიგი კომენტარის გაკეთება სთხოვეს. მანჩომ საუბარი ერთი განმარტებით დაიწყო. მან თქვა, რომ სიტყვები, რომელიც ერთი დღით ადრე მისი სახელით გამოქვეყნდა, სინამდვილეში მას არ ეკუთვნოდა და რომ ჟურნალისტებმა მისი ნათქვამი ტრადიციულად უკუღმა გაიგეს: *„პირველად არ ხდება, როცა ჩემს სიტყვებს ამახინჯებენ. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, განვაცხადო შემდეგი: ვულოცავ „მილანსა“ და კარლო ანჩელოტის შთამბეჭდავ გამარჯვებას. არავისთვის მითქვამს, რომ საკლუბო მუნდიალი სამოყვარულო ტურნირია. ჩემი კოლეგების განაწყენება აზრად არ მომსვლია. მხოლოდ ის ვთქვი, რომ ჩემი აზრით, საკონტინენტთაშორისო თასის ფორმატი უფრო მიმზიდველი იყო. როგორც ვიცი, ამ აზრს „მილანის“ ხელმძღვანელობაც იზიარებს. სამწუხაროა, რომ მიმომხილველებს უყვართ სხვისი აზრების თავდაყირა დაყენება, რათა იაფფასიანი სანსაციები გამოაცხონ.“*

ვფიქრობთ, მანჩინის განმარტება საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. ამ თემაზე საუბარს აქ დავასრულებთ და „ინტერის“ ბანაკიდან მიღებულ კიდევ ორ ინფორმაციაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** ტრანსფერების მენეჯერ **მარკო ბრანკას** „რომასთან“ მოლაპარაკებების დაწყება დაავალა. მორატიმ ასეთი მითითება გასცა: ბრანკამ ყველაფერი უნდა იღონოს **ამანტინო მანსინის** ტრანსფერის გასახორციელებლად. მილანელი ბოსი გადაიხდის ნებისმიერ დასაბუთებულ თანხას. „ინტერის“ დირექტორს სრული კარტბლანში აქვს მინიჭებული. მანჩინის ამ ფეხბურთელის შეძენა დიდი ხანია, სურს. ბრაზილიელს რომაური კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება აქვს. **ლუჩანო სპალეტი** საქმისადმი მისი დამოკიდებულებითაა უკმაყოფილო. იტალიური სააგენტოების ცნობით, „ინტერი“ ფეხბურთელს ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებს. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, თუ რა კომპენსაციას მოითხოვს დედაქალაქური კლუბი.

და კიდევ, „ინტერის“ ნახევარდაცვის ლიდერი **პატრიკ ვიეირა** მინდორს იანვარში დაუბრუნდება. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ფეხბურთელს თებერვლის შუა რიცხვებამდე მოუწევდა უსაქმოდ ყოფნა, მაგრამ სარეაბილიტაციო პერიოდი გართულებების გარეშე მიმდინარეობს. ვიეირას ბარძაყის კუნთი თითქმის აღრ აწუხებს. იანვრის შუა რიცხვებში „ინტერი“ ათი დღით დუბაიში გაემგზავრება. პატრიკი ამ შეკრებაზე წასვლას აპირებს.

ნერი კასტილიო შახტარიდან სიტიში?

„მანჩესტერ სიტის“ დონეცკიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენა სურს. **სვენ გორან ერიქსონის** ყურადღება მექსიკელმა ნახევარმცველმა **ნერი კასტილიომ** მიიპყრო. გასულ ზაფხულს კლუბებმა საინტერესო გარიგება გაჩარხეს: ინგლისში გაიყიდა „შახტარისა“ და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი **ელანო ბლუმერი**. ეს უკანასკნელი სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა. წარმატებული ტრანსფერის შთაგონებულმა მანჩესტერელებმა ისევ უკრაინისაკენ მიაპყრეს მზერა. მაგრამ ელანოსაგან განსხვავებით, კასტილიო ძალიან ძვირი ღირს. თავად განსაჯეთ: „შახტარმა“ ეს ფეხბურთელი ზაფხულში, უკრაინული ბაზრისათვის სარეკორდო თანხად, 20 მილიონ ევროდა შეიძინა. ნათელია, რომ კლუბი მოთამაშეს ამაზე იაფად არ დათმობს. მაგრამ არსებობს გარიგების კიდევ ერთი ხელსაყრელი ფორმა - იჯარა. კასტილიოს შემთხვევაში, საიჯარო თანხაც მეტისმეტად მაღალია: წელიწადში 5 მილიონი ევრო. თუ **სვენ გორან ერიქსონს** კასტილიო ძალიან სჭირდება სწორედ ამდენი უნდა მოიძიოს. ერთი წლის შემდეგ კი ისევ დონეცკში გაუშვას. კასტილიო „შახტარს“ ვერ შეეწყო. მან მხოლოდ რვა მატჩი ჩაატარა და მეტოქეთა დამწუხრება ერთხელაც ვერ მოახერხა.

ლარსონი შეიძლება სელტიკში დაბრუნდეს

ჰენრიკ ლარსონი, შეიძლება, „სელტიკში“ დაბრუნდეს. ამ სენსაციურ ინფორმაციას შვედური სააგენტოები ავრცელებენ. ლარსონს ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელოს თუ არა ხელშეკრულება „ჰელსინგბორგთან“. თუ ის ახალ კონტრაქტზე უარს იტყვის, იანვარში თავისუფალი აგენტი გახდება. ეს კი საშუალებას მისცემს, თავისუფალი აგენტის სტატუსით ყოფილ კლუბს მიაშუროს. გლაზგოელები მზად არიან, მას ოთხთვენახევრიანი ხელშეკრულება გაუფორმონ. ასეთ შემთხვევაში, ლარსონი შოტლანდიაში სეზონის ბოლომდე დარჩება და თვით ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ წლევანდელი წლის დასაწყისში ვეტერანმა კიდევ უფრო ხანმოკლე შეთანხმება დადო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და ინგლისში ორი თვის განმავლობაში ითამაშა. „ჰელსინგბორგმა“ ფეხბურთელის სურვილი გაითვალისწინა და ის დიდი სიამოვნებით გააანთხოვრა.

ლუკოილმა გოგენპემი გადაიფიქრა და ბირმინგემს უმიზნებს

„სანის“ ცნობით, უახლოეს მომავალში ინგლისის პრემიერლიგაში კიდევ ერთი რუსი ინვესტორი გამოჩნდება. ინგლისური ფეხბურთში ფულის დაბანდებას აპირებს „ლუკოილის“ პრეზიდენტი **ვაგიტ ალეკპეროვი**. ინფორმაცია, ალეკპეროვის საინვესტიციო პროექტის შესახებ, პირველად ორი კვირის წინ გავრცელდა. მასში საუბარი იყო რუსი მილიარდერის „ტოტენჰემით“ დაინტერესების თაობაზე. ამჯერად ინგლისური სააგენტოები გვაუწყებენ, რომ ალეკპეროვი არა „ტოტენჰემს“, არამედ „ბირმინგემს“ ყიდულობს. ის ჰონკონგელი მილიარდერის, **კარსონ იუნგის** პასუხს ელოდება. იუნგი ბირმინგემელთა ყველაზე მსხვილი აქციონერია. იუნგი „ბირმინგემის“ 30-პროცენტიან წილს ფლობს. მის ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების 21 მილიონი ევრო ღირს. იუნგი კიდევ 49 მილიონის გადახდას აპირებს, რათა კლუბი მთლიანად გამოისყიდოს, შემდეგ კი მოლაპარაკებები ალეკპეროვთან გამართოს. როგორც ხედავთ, „ბირმინგემ სიტი“ 70 მილიონ ევროდაა შეფასებული. მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ბენტლის ესპანეთში უხმეს

ესპანური კლუბები, „ატლეტიკო“ და „ვალენსია“ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **დევიდ ბენტლით** დაინტერესდნენ. ამ ინფორმაციას „მირორი“ ავრცელებს. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ვარდებს ტრანსფერის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. არჩევანი ფეხბურთელზეა. ბენტლის შეუძლია, ახალ სამსახურს იანვრის ტრანსფერებისას მიაშუროს. „ატლეტიკოსა“ და „ვალენსიის“ ემისრები არ მალავენ, რომ თუ გარიგება იანვარში არ შედგება. მოლაპარაკებებს ზაფხულში განაახლებენ. „ბლეტბერნი“ ბენტლის ტრანსფერთან დაკავშირებულ სპეკულაციებს არ გამოხმაურებია.

ლივერპული: სტენლი პარკზე 2011 წლიდან

„ლივერპულის“ ახალი სტადიონი, „სტენლი პარკი“ სულაც არ იქნება ისეთი ფუტურისტული, როგორსაც თავდაპირველად გეგმავდნენ. კლუბის ალმასრულებელმა დირექტორმა **რიკ პერიმ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ დირექტორები ორ ახალ პროექტს განიხილავენ. ძველ პროექტთან მათ მხოლოდ სტადიონის ტევადობა აქვთ საერთო. უკლებლივ ყველა გეგმაში წერია, რომ ახალმა ნაგებობამ 70 ათასი მაყურებელი უნდა დაიტიოს. პერიმ ისიც განაცხადა, რომ მშენებლობის შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია. კლუბის ხელმძღვანელობა შეფერხებებს არ ელოდება. „სტენლი პარკი“ 2011 წელს უნდა გაიხსნას. ის „ენფილდ როუდზე“ 25 ათასი მაყურებლით მეტს დაიტევს და ინგლისის მეორე უდიდესი საკლუბო სტადიონი იქნება. ამჟამად ყველაზე დიდი არენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ აქვს. ის 76 ათას კაცზეა გათვლილი. „არსენალის“ „ემირატს სთედიუმზე“ 60 ათასი გულშემატკივარი ეტევა. ყველაზე დიდი სტადიონი, რა თქმა უნდა, „უემბლია“. მსოფლიოს უძვირესი საფეხბურთო არენა 90 ათას ფანს იტევს.

ახლა უკვე რიბერი vs კანი!

ჰიტცფელდმა ქაოსი მაინც ვერ აიცილა...

„სასწრაფოდ რეაგირება უნდა მომეხდინა, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ სრული ქაოსი შეიქმნებოდა,“ – განაცხადა „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა ოლივერ კანის** დასჯის შემდეგ. გენერალი ქაოსს უფრთხოდა, რადგან რეკორდმაისტერს 2007 წლის მინურულს ქაოსი და არეულობა ისედაც არ აკლია. კანმა კი იმდენი მოახერხა, რომ **ლუკა ტონი** და **ფრანკ რიბერი** გააკრიტიკა, მაგათ „ბაიერნი“ მარსელის „ოლიმპიკი“ და ფლორენციის „ფიორენტინა“ ხომ არ ჰგონიათო, რითაც ფრანგული და იტალიური კლუბები შეურაცხყო. სწორედ ამის გამო დასაჯა ჰიტცფელდმა ოლი, მაგრამ მისმა ქმედებამ შედეგი არ გამოიღო, რადგან „ბაიერნში“ მაინც ქაოსი შეიქმნა.

გუშინ რიბერის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ფრანგი ნახევარმცველი კანს პასუხობს და მოუწოდებს, პატივი ეცი „მარსელსაც“ და „ფიორენტინასაცო“. *„ფანებმა დაინახეს, თუ როგორ ვითამაშე სეზონის პირველ ნახევარში და მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი, კანმა კი, რატომღაც ეს ვერ დაინახა,“* – ამბობს რიბერი ხსენებულ ინტერვიუში.

მეტიც, რიბერის აზრით, „ბაიერნში“ შეფი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ფრანგმა ეს მოსაზრება „სპოქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დააფიქსირა. ანუ, ისევ ძველი პრობლემა? ნლების მანძილზე იწერებოდა, რომ „ბაიერნს“ აღარ ჰყავს **შტეფან ეფენბერგის** დარი წინამძროლი. *„დღესდღეობით მე სამწუხაროდ ვერ ვხედავ ფეხბურთელს, რომელიც გუნდს დირიჟორობას გაუწევს და როცა საქმე ცუდად იქნება, მაგიდაზე მუშტს დაარტყამს. ასეთი მოთამაშეი აუცილებლად გვჭირდება, რადგან როცა მძიმე მდგომარეობაში ვართ, არ ვიცით ხოლმე, როგორ უნდა მოვიქცეთ!“* – აცხადებს რიბერი.

იქნებ ჰიტცფელდი ამის გამო რიბერის დასჯასაც აპირებს? ოტმარი: *„არა, ეს თემა ამოწურულია, რადგან კანმა რიბერის და ტონის მოუბოდიშა.“* ისე, „გენერალი“ რეგულარულად იმეორებს, ეს თემა ამოწურულიაო, მაგრამ მუდმივად უხდება კომენტარების გაკეთება. რიბერიმ კი ესეც არ იკმარა და კლუბის ხელმძღვანელებიც გააკრიტიკა: *„ძალიან არ მომწონს ის, რომ ყველა მხრიდან ზეწოლის ქვეშ ვექცევით. „ბაიერნში“ თურმე ძალიან ცოტა რამ ყოფილა საჭირო იმისთვის, რომ პანიკას ჰქონდეს ადგილი,“* – განუცხადა ფრანგმა „ბილდს“.

ინტერვიუ რაინერ კალმუნდთან

ბაიერნს არდადეგებმა სულზე მოუსწრო!

XXL რაინერი ლევერკუზენის გაჩემპიონებას არ გამორიცხავს

მართალია, ლევერკუზენის „ბაიერმა“ ბუნდესლიგის პირველი წრე სამარცხვინო წაგებით დაასრულა (2:5 ბრემენში), მაგრამ მანამდე ზედიზედ 5 თამაში ჰქონდა მოგებული, თანაც, უმეტესობა დიდი ანგარიშებით და ერთი სიტყვით, „ფარმაცევტები“ მე-4 ადგილზე გამოიზამთრებენ, რასაც სეზონის დასაწყისში არავინ ელოდა. არავინ, გარდა ამ გუნდის ყოფილი შეფისა – რაინერ კალმუნდი, რომელიც 2004 წლამდე „ლევერკუზენის“ მმართველი მენეჯერი გახლდათ, გამოცემა „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, ჯერ კიდევ ზაფხულში ვამბობდი, რომ „ლევერკუზენს“ ამ სეზონში დიდი პოტენციალი აქვსო. ცხადია, ეს ინტერვიუ მხოლოდ „ბაიერით“ არ შემოიფარგლება – კალმუნდი გერმანიის ჩემპიონატის პირველ წრეს აჯამებს და მომავლისკენაც იყურება.

- ჰერ კალმუნდ, არ გიკვირთ ის, რომ „ლევერკუზენმა“ ბუნდესლიგის პირველი წრე მე-4 ადგილზე დაასრულა?

- არა, ამაში გასაკვირი არაფერია! თუ გახსოვთ, სეზონის დაწყებამდე ვთქვი, „ლევერკუზენს“ აქვს იმის პოტენციალი, რომ მინიმუმ მე-5 ადგილი დაიკავოს-მეთქი. ისიც დავამატე, რომ არც უფრო მაღალი ადგილის დაკავებას გამოვრიცხავდი. როგორც ხედავთ, ჩემი პროგნოზი ჯერ-ჯერობით მართლდება.

- არც იმას გამორიცხავთ, რომ მიხაელ სკიბეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახდეს? 2002 წლის შემდეგ „ბაიერს“ „ვერცხლის სინისთვის“ აღარ უბრძოლია...

- მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ პირველი წრე კრიზისით დაასრულა და მეორე ადგილზე გასულ „ვერდერს“ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა, მაინც ვფიქრობ, რომ ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატი და ბუნდესლიგის მთავარი ფავორიტია. მაგრამ მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ „ლევერკუზენმა“ მართლაც იბრძოლოს პირველობისთვის. თუკი გასულ სეზონში ეს „შტუტგარტმა“ მოახერხა, „ბაიერმა“ რატომ ვერ უნდა შეძლოს? ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ შარშანდელი „შტუტგარტი“ წლევანდელ „ლევერკუზენზე“ ძლიერია. წინა სეზონში შვაბებმა იმით ისარგებლეს, რომ კონკურენტები სცოდავდნენ და ბოლოს ყველას გადაასწრეს. ეს „ლევერკუზენსაც“ შეუძლია.

- „ბაიერნთან“ მიმართებაში ისევ საუბრობენ ე.წ. „FC ჰოლივუდზე“...

- ეს არც ისე კარგია, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როცა ყველა გაქებს, სწორედ მაშინ ფუჭდები! თუმცა, საერთოდ ბუნდესლიგისთვის და გერმანული ფეხბურთისთვის კარგია ის, რომ „ბაიერნს“ პრობლემები აქვს. თავიდან მეც ვფიქრობდი, რო ული ჰონესი თავის ბრემენელ, გელზენკირხენელ და ჰამბურგელ კოლეგებს შობისთვის მხოლოდ მისალოც ბარათებს კი არა, დურბინდებსაც დაუგზავნიდა, მაგრამ ასე არ მოხდა. საერთოდ, ადამიანის ფსიქოლოგიაა ასე მოწყობილი: როცა ყველაფერი კარგადაა და მხარზე ხელის დამრტყმელებს ველარ აუდიხარ, აუცილებლად დადგება მომენტი, როცა კონცენტრაციას დაკარგავ და აი, მაშინ ხარ ცოდო. მეტსაც ვიტყვი: „ბაიერნს“ ზამთრის არდადეგებმა სულზე მოუსწრო!

- ამ ყველაფერთან ერთად, დაიწყო დისკუსიები იმის შესახებ, რომ ზაფხულში „ბაიერნი“ ახალ მწვრთნელს მიიყვანს...

- იცით, გერმანიაში ყველა მწვრთნელი „ბაიერნის“ გაწვრთნაზე ოცნებობს, რადგან ეს სამსახური ბუნდესლიგაში საუკეთესოა. დიახ, საუკეთესოა, მაგრამ ამავდროულად ჯოჯოხეთური პოსტია, რადგან სხვაგან არსად არ არის ისეთი მძიმე წნეხი, როგორიც რეკორდმაისტერშია. ამიტომაც, ნამდვილად არ გამიკვირდება, თუ იანვარში ჰიტცფელდი „ბაიერნის“ ბოსებს ეტყვის, მინიმუმ ორ ტიტულს მოვიგებ და მერე მშვიდ და წყნარ შვეიცარიაში წავალ და იქაურ ნაკრებს ჩავიბარებო.

- გასულ კვირას ჰიტცფელდმა თავისი სიმკაცრე გამოავლინა და შეფებთან შეთანხმების შემდეგ ოლივერ კანი დასაჯა...

- დარწმუნებული ვარ, რომ ოტმარს ამის საბაბი ჰქონდა, რადგან სხვა შემთხვევაში ასე არ მოიქცეოდა. თანაც, ჰიტცფელდი სიმკაცრით ნაღდად არ გამოირჩევა. ოტმარი გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე არასდროს იღებს.

- გუნდის მხრიდან ფეხბურთელების დისკვალიფიკაციის ფაქტები ძალიან მომრავლდა. „ვერდერში“ სანოგომ და კარლოს ალბერტომ იჩხუბეს, რისთვისაც დაისაჯნენ, შალკეში კი რაკიტიჩმა, ჯონსმა და კრსტაიჩმა გადაწყვიტეს თამაშამდე სამი დღით ადრე გამოთრომა...

- „ვერდერს“ და „შალკეს“ ძალიან გაუმართლათ, რომ ამ ფაქტების შემდეგ თავიანთი თამაშები მოიგეს. წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდა მირკო სლომკას, კრსტაიჩისა და რაკიტიჩის დისკვალიფიკაციის შემდეგ მის გუნდს „რუსენბორგისთვის“ რომ არ მოეგო. მაგრამ მე ცელქი ფეხბურთელის დასჯას, რა თქმა უნდა, ვეთანხმები. და ვინც ამბობს, რომ ეს ძალაუფლების გამოვლინებაა, ძალიან ცდება, რადგან მიზეზი მარტივი იდენტიფიკაცია, თანაგუნდლებისა და კლუბის მიმართ პატივისცემაა.

- რაც შეეხება პატივისცემას: „შალკემ“ და დორტმუნდის „ბორუსიამ“ თავის დროზე პრესას ბოიკოტი გამოუცხადეს, ახლა კი „დუისბურგმა“ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება...

- ეს ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები და გასაგები პოზიციაა. ჩემი მენეჯერობის დროს, ხშირი იყო შემთხვევები, როცა დგებოდა მომენტი, რომლის დროსაც ძალიან არ მინდოდა, რომ ჩემს ფეხბურთელებს ინტერვიუები ერიგებინათ. ეს არის მომენტი, როდესაც ამბობ: „მორჩა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“ და ამჯობინებ, რომ მოკეტო. მაგრამ ყველა, ვინც ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მედიის გარეშე არ იარსებებს ბუმი და თუ ბუმი არ იქნება, არ იქნება დაინტერესება, ეს კი იმას გამოიწვევს, რომ არ იქნება შემოსავალი!



რაინერ კალმუნდი

- გერმანიის ნაკრებში სერიოზული პრობლემაა: პირველი მეკარე იენს ლემანი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მეორე გოლკიპერი ტიმო ჰილდებრანდი კი, „ვალენსიის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ბუნდესგუნდის პირველ ორ მეკარეს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტდით ამ პრობლემას?

- ჩემთვის, დღესდღეობით, გერმანიაში იენს ლემანზე კარგი მეკარე არ არსებობს. იმედს ვიტოვებ, რომ სეზონის მეორე ნახევარში სათამაშო პრაქტიკა ექნება – მნიშვნელობა არა აქვს სად, „არსენალში“, თუ სადმე სხვაგან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლემანს სეზონის ბოლომდე პრაქტიკა არ ექნება, ცხადია, იოახიმ ლიოვი იძულებული გახდება, რომ ევროპის ჩემპიონატზე სხვა მეკარე ათამაშოს. ასეთ შემთხვევაში, მის ადგილზე რომ ვიყო, მე ბუნდესგუნდის კარს რენე ადლერს ვანდობდი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ლევერკუზენელი ვარ. არამედ იმის გამო, რომ პირველი წრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადლერი რობერტ ენკესთან ერთად ბუნდესლიგის საუკეთესო გოლკიპერია.

- უშუალოდ ბუნდესლიგის პირველ წრეზე უკვე ისაუბრეთ. ახლა, 2007/08 წლების სეზონის პირველი ნახევარი მთლიანად გერმანული ფეხბურთისთვის შეაფასეთ...

- ამ მხრივ, თითქმის არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ გერმანიის ნაკრებმა ყველაზე ადრე მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური. საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბუნდესგუნდი ძალიან გაძლიერდა. აი, საკლუბო ფეხბურთი კი ისევ კრიზისშია. ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „შალკეს“ გარდა კიდევ რომელიმე გერმანულ კლუბს რომ გაეღწია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უეფას თასზე „ვერდერის“, „ჰამბურგის“, „ლევერკუზენისა“ და ცხადია, „ბაიერნის“ სახით, ნამდვილი გრანდები გვყავს. იქნებ, „ნიურნბერგიც“ გავიდეს ჯგუფიდან. უეფას რეიტინგს თუ გადავხედავთ, ამ სეზონის პირველ ნახევარში მესამე ადგილი დავიკავეთ ესპანეთისა და ინგლისის შემდეგ და ისეთ ქვეყნებს გავასწარით, როგორიცაა იტალია ან საფრანგეთი. მართალია, საერთო რეიტინგში ეს ქვეყნები ჯერ კიდევ გვისწრებენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ასე გავაგრძელებთ და საბოლოოდ ჩვენს ადგილს დავიბრუნებთ.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

MLS. ლოს ანჯელეს გელაქსი

ცირკის ახალი დირექტორი

გელაქსის მცველმა გულიტის შესახებ პირველად ერთი თვის წინ გაიგო



ცირკი ჩამოვიდა. ასე განიხილავენ კალიფორნიაში MLS-ის კლუბ "ლოს ანჯელეს გელაქსის" თავგადასავლებს. დიახ, დევიდ ბექჰემის გუნდს სწორედ ცირკს ადარებენ. მართლაც სწორი შედარებაა იმის გათვალისწინებით, რომ ლედი ვიქტორიამ და მისმა ქმარმა ამ ქალაქში ნამდვილი ვარიეტე მოაწყვეს - გაგიჟებული პრესა, უამრავი გულშემატკივარი... და მოკრძალებული MLS-ისა და "გელაქსის" ფონზე, ეს ყველაფერი ისე კაშკაშა, ხმაურიანი და მასშტაბურია, რომ შეიძლება თავბრუ დაგეხვეს. ხელმძღვანელობაც არ არის წინააღმდეგი.

"დიახ, ბევრს არ მოსწონს ცირკი, - ამბობს ტიმ ლაივეკე (კლუბის მფლობელი კომპანიის, AEG-ის გენერალური მენეჯერი). - *მაგრამ პირადად მე მიყვარს ცირკი. თუ ყინმეს მოსწონს მოხუცთა თავშესაფარი, სხვა რამეს უყურონ, ეს მათი ნებაა. მაგრამ ლოს ანჯელესი - მოხუცთა კურორტი არ არის. აქ ყველანი ცირკში ვცხოვრობთ".*

ცოტა ხნის წინ, ამ ცირკს დირექტორად ლეგენდარული ჰოლანდიელი რუუდ გულიტი დაუნიშნეს. ხომ გახსოვთ ევრო 88-ის ერთ-ერთი გმირი - ულვაშებით, თავზე "თოკებით" და ჰოლანდიის ნარინჯისფერი მაისურით. ახლა რუუდი მოდურად არის გაკრეჭილი და აშკარად მოსუქებულია. პრეზენტაციაზე გულიტს მეორე მწვრთნელად დანიშნული ამერიკელი კობი ჯონსი ედგა გვერდით. ამერიკაში რუუდს ნაკლებად იცნობენ და აშშ-ის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ამ დეფიციტის კომპენსაცია უნდა უზრუნველყოს. სურინამელი ჰოლანდიელის სახელი ამერიკელებს ბევრს არაფერს ეუბნება, განსხვავებით ბექჰემისგან: რაც არ უნდა იყოს, ინგლისელს დიდი რეკლამა გაუწიეს, მისი ორი ბიოგრაფია ამერიკაშიც დაიბეჭდა, ცოლი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავია...

ჰოლანდია კი, ამერიკისთვის ევროპის ერთ-ერთი ნაკლებად საინტერესო ქვეყანაა, რომელშიც ადამიანები შესაძლოა ხის ფეხსაცმელებით დადიან. აღარაფერს ვამბობთ სურინამზე, რომელიც ასეთი სახელწოდების სიაში იკავებს ადგილს - "ქვეყანა, რომელზეც ფიქრობდით, რომ ის აფრიკაში მდებარეობს".

ამერიკაში "მილანის" ვარსკვლავის წარსულ დამსახურებებზე თითქმის არაფერი იციან. ეს ჩვენთვის არის ევრო-88 და ჩემპიონთა თასის ფინალში "სტიაუას" განადგურება ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები, თორემ აშშ-ში ეს ნაკლებად აღელვებთ.

ჩვეულებრივ გულშემატკვირებზე რა უნდა ვთქვათ, როცა "გელაქსის" მცველმა მაიკ რენდოლფმა, ერთი თვის წინ პირველად გაიგონა რუუდ გულიტის გვარი! ინტერნეტში ქექვა მომიწია, რათა გამეგო, ვინ მოდიოდა ჩვენთან, youtube.com-ზეც შევედი, ქრონიკა ვნახე. ნორმალური (!!!) ფეხბურთელი ყოფილაო - ამბობს "თავხედი" რენდოლფი. აი ასეთი გახლავთ ამერიკაში საფეხბურთო კულტურა.

საერთო ჯამში, ცხადია, რომ გულიტი ლოს ანჯელესში პიარის თვალსაზრისით ჩაიყვანეს, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს პიარი, ჯერ გაუგებარია. მაგრამ მაინც... გულიტის პრესკონფერენციამდე სამი დღით ადრე, "სან ხოსე ერსკუეიკსში" მთავარ მწვრთნელად ბრიტანო-კანადელი ფრენკ იალოპი დაინიშნა. მისთვის კითხვების დასასმელად სულ ოთხი რეპორტიორი მივიდა, გულიტის შემთხვევაში კი, ტელესტუდიაში ადგილები არასაკმარისი აღმოჩნდა. ე.ი. აბორიგენები მიხვდნენ, ვინ უფრო ცნობილია.

გულიტის ლოს ანჯელესში ჩასვლით, ერთგვარად მეორე პლანზე გადადის ის ფაქტი, რომ დღეს "გელაქსი" ძალიან სუსტი გუნდია. მის შემადგენლობაში დღემდე არ არის ნორმალური ფორვარდი. ვინ დაუხვედრებს თავს დევიდ ბექჰემის საფირმო ჩაწოდებებს, ვინ მიიღებს დისპეტჩერ ლენდონ დონოვანის პასებს? ეს წვრილმანებია - სამაგიეროდ, ნახეთ როგორი მწვრთნელი გვყავს!

ჰოლანდიელს კი, ამ პრობლემების მოგვარება მოუწევს. თუ მას საქმე გამოუვა, ქვეყანაში უფრო წინ წაიწევს ფეხბურთის განვითარების საქმე. მანამდე კი, გულიტის ინტერიუს გთავაზობთ.

- როგორია ამერიკული ლიგის დონე?

- ვფიქრობ, რომ ის ჰოლანდიის ჩემპიონატის საშუალო დონის გუნდებს შეესაბამება.

- რითი მოგხიბლათ ამერიკამ?

- ამერიკული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა და ჩემთვის საინტერესოა ამ პროცესში მონაწილეობა. ბექჰემის ჩასვლა მოვლენა იყო, რომელსაც შეუძლია ამ პროცესს დამატებითი იმპულსი მისცეს.

- როგორ შეეგუა "გელაქსის" ბექჰემი?

- ფეხბურთში ასეთი დიდი ფიგურები, როგორც წესი, ის ადამიანები არიან, რომელთანაც იოლია საერთო ენის გამონახვა, რადგან მათ იციან გარშემომყოფებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება. გაცილებით რთულია იმათთან საერთო ენის გამონახვა, რომლებმაც ვარსკვლავურ სტატუსამდე ვერ მიაღწიეს.

- ვიქტორია ბექჰემს იცნობთ?

- დიახ, ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს.

- ის საწვრთნელ პროცესში არ ერევა?

- ვიქტორიას ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს. აი შოუ-ბიზნესში მას ყველაფერი კარგად გამოსდის.

- რაში მდგომარეობს სურინამელი წარმოშობის მოთამაშეთა წარმატება?

- ერთის მხრივ, ჩვენ კარგად მოვერგეთ ჰოლანდიურ ტაქტიკას, მეორეს მხრივ კი, შევინარჩუნეთ ფეხბურთის თამაშისგან მიღებული სიხარული. სწორედ ეს ანიჭებდა ჩვენს გუნდს გარკვეულ შარმს.

- ჰოლანდიას ბევრი დიადი ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ თქვენი ქვეყნის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატი არასოდეს მოუგია. რა არის ამის მიზეზი?

- ჰოლანდია პატარა ქვეყანაა, მაგრამ ის ევროპის ჩემპიონიც ყოფილა და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში უთამაშია. ამით ძალიან ვამაყობთ.

- ვინ არის დღეს ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი?

- ძნელი სათქმელია. ჩვენს ქვეყანაში ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია, მაგრამ მათგან გამოჩენილს ვერავის უწოდებ.

- ჰოლანდიაში ახალგაზრდა ფეხბურთელები ასევე "გაფუჭებულები" არიან მაღალი ხელფასებით?

- ეს პრობლემა ყველგან არის. უკვე 15-16 წელია ფეხბურთელებს დიდი ხელფასები აქვთ. დიდი ფულის საფასურად მათ უცხოურ კლუბებში ეპატიჟებიან და რაღაც მომენტში, ისინი შემდეგ აზრამდე მიდიან: რატომ უნდა მოვიკლათ თავი, თუ ფული ისედაც ბევრია?!

- არ დადგა დრო, შეწყდეს საფეხბურთო ხელფასების რბოლა?

- დიახ, მაგრამ როგორ? კანონია საჭირო. მანამდე კი, სხვადასხვა ჩემპიონატების გუნდები არათანაბარ პირობებში არიან. ერთი ქვეყნიდან ჩემპიონთა ლიგაზე ოთხი გუნდი თამაშობს, მეორედან - ერთი. ამ მხრივ, მე მივესალმები პლატინის რეფორმას: ის უფრო მეტ შანსს აძლევს აღმოსავლეთი ევროპის გუნდებს, ჰოლანდიას, ბელგიას, ფინეთსა და სხვებს, სადაც ფეხბურთში ნაკლები თანხები იხარჯება, ვიდრე ინგლისში, იტალიასა თუ ესპანეთში.

- როგორ აფასებთ ჰოლანდიის ნაკრების შანსებს მომავალ ევროპის ჩემპიონატზე?

- ჰოლანდიამ იოლად მოიპოვა ევროს საგზური, თუმცა ვერ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორსაც მისგან ელიან. ჩემპიონატზე მან მაქსიმალურად უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და ასეთი შემთხვევაში, ნახევარფინალს მივაღწევთ.

- ჰოლანდია "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდა იტალიასთან, საფრანგეთთან და რუმინეთთან. როგორ აღიქვით წილისყრის შედეგები?

- ჩვენი გუნდისთვის ეს ცუდი არ არის, რადგან ჰოლანდია ძლიერების წინააღმდეგ უკეთ თამაშობს, მაგრამ შეიძლება მოდუნდეს ავსტრიის ან შვეიცარიის წინააღმდეგ.

- თქვენი პროგნოზი: ვინ იქნება ამ ჯგუფში ზედმეტი?

- ჩემი აზრით, საფრანგეთი. იტალია და ჰოლანდია გავლენ. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს.

- ტურნირის ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნიათ?

- ფავორიტებად ის გუნდები უნდა ჩავთვალოთ, რომლებმაც იციან, როგორ მიაღწიონ ასეთი დონის ჩემპიონატებში შედეგს. ასეთები არიან, მაგალითად იტალია, გერმანია...

- ჰოლანდიაში ბევრს მიაჩნია, რომ ვან ბასტენმა უნდა დატოვოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი.

- მე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ვინ უნდა მივიყვანოთ მის ადგილას? ასეთი ქარიზმატული პიროვნების პოვნა ძნელია. მარკომ მიიღო ნაკრებიდან წასვლის პრინციპული გადაწყვეტილება, ოღონდ ევრო 2008-ის შემდეგ.

- არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ევროპაში ხალხი არა ნაკრებებს, არამედ უფრო კლუბებს გულშემატკივრობენ...

- კლუბს ყველა ჩვენთაგანი ბავშვობაში ირჩევს და შემდეგ მას მთელი ცხოვრება გულშემატკივრობს. როცა ნაკრები აგებს, მთელი ქვეყანა დამწუხრებულია. სამხრეთ ქვეყნებში, მაგალითად იტალიაში, ხალხი ნაგების შემდეგ სამსახურში არ მიდის. მაგრამ თუ კლუბმა წააგო, უსიამოვნო გრძნობა მთელი კვირა გაგყვება. ასე რომ, მგონია კლუბების წარუმატებლობას უფრო მძიმედ აღიქვამენ.

- რაიკაარდი "ბარსელონას" უდგას სათავეში, ვან ბასტენი ნაკრებს, თქვენ კი, ამერიკულ გუნდს. თქვენი ყოფილი პარტნიორებისა არ გშურთ?

- პირიქით, მიხარია. მე "ჩელსისთან" ერთად ინგლისის თასი მოვიგე (გულიტი პირველი არაბრიტანელი მწვრთნელია, ვინც ამას მიაღწია - რედ.). ჩემი გზა მაქვს და ამით ვამაყობ.

- "ჩელსიში" განხორციელებულ ცვლილებებზე რას ფიქრობთ?

- როც მე იქ ვმუშაობდი, გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილში იყო. შევძელი მისი ზემოთ ამოყვანა და ევროპაში დაწინაურება. მოგვიანებით, აბრამოვიჩმა "ჩელსი" ახალ, უფრო მაღალ დონეზე გაიყვანა. და ეს კარგია.

- არ ნანობთ იმას, რომ თქვენ არ გქონდათ ასეთი შესაძლებლობები?

- როცა ფული არ გაქვს, სხვა შესაძლებლობებს ეძებთ. მე ვახერხებდი დიდი ფულის გარეშეც შედეგის მიღწევას.

- ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე პრეტენზია არ გქონიათ?

- არა, ეს უდიდესი ამოცანა და პასუხისმგებლობაა. ინგლისში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მათგან რთულია გუნდის შექმნა.

- როგორ ახერხებთ ფიზიკური ფორმის შენარჩუნებას?

- ბოლო დროს მაინც მოვახერხე ზედმეტი წონის აკრეფა, მუცელიც გამეზარდა. ყველაზე კარგი ვარჯიში - კიკბოქსინგია. გარდა ამისა, კარგი სტიმული მაქვს: ცოლი ჩემზე 16 წლით უმცროსია.

- ვის ხილვას ისურვებდით წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალში?

- "ჩელსის" და "ბარსელონასი".

- "მილანი" დაგავინყდათ, რომელსაც ექვსი წელი შესწირეთ და რომელთან ერთადაც ორი ჩემპიონთა თასი მოიგეთ?

- "მილანმა" შარშან გაიმარჯვა, ასე რომ, დროა ჩემპიონთა კომპანია გადავახალისოთ.

- წლევანდელ ლიგაში რომელმა გუნდმა გაგიცრუათ იმედები და პირიქით, რომელმა გაგაოცათ თავისი თამაშით?

- არ მომეწონა "ვალენსია" და პირველ წრეში "ლივერპული". სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა "ოლიმპიაკოსმა".

- არ ფიქრობთ, რომ მსაჯები გრანდების მიმართ სიმპათიებს გამოხატავენ?

- არა. ხომ შეძლო "პორტუმ" ჩემპიონთა ლიგის მოგება?! უნდა გვჯეროდეს მსაჯების ობიექტურობის.

- ტელეკომენტატორად მუშაობისას, თქვენ შემოიღეთ ცნება "სექსუალური ფეხბურთი" (ასე დაახასიათა გულიტმა პორტუგალიის ნაკრების თამაში 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე - რედ.). დღეს რომელი გუნდები შეესაბამებიან ამ სტილს?

- "ბარსელონა", "არსენალი" და ხანდახან ბრაზილიის ნაკრები.

- რა ფიქრობს "ოქროს ბურთის" ყოფილი მფლობელი წლევანდელ ლაურეატზე?

- კაკა სამართლიანად აირჩიეს. ეს არის ჩემპიონთა ლიგის მომგები გუნდის ფეხბურთელი, რომელიც თავისი ტექნიკით ხალხს სიამოვნებას ანიჭებს.

- თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი?

- სწორედ კაკა, ასევე რონალდინიო. მაგრამ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მარადონა რჩება.

- თანამედროვე ფეხბურთის მთავარი სიმულიანტი ვინ არის?

- საბედნიეროდ, ასეთი ნომინაცია არ არსებობს. სიმულიანტები ძირითადად სამხრეთამერიკულ და საერთოდ, სამხრეთული ქვეყნებიდან არიან. მატერაციმ მსოფლიო ჩემპიონატზე ნამდვილ მსახიობად წარმოაჩინა თავი - თითქოს სპეციალურად გადიოდა რეპეტიციას.

- სხვათა შორის, რას ფიქრობთ ზიდანის საქციელზე?

- რა თქმა უნდა, არაპროფესიონალურად მოიქცა. მაგრამ ასეთ დიდ ფეხბურთელს შეიძლება ვაპატიოთ. ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება მისი ბრწყინვალე თამაში და გოლები.

ჰაღათბურთი

NBA-ს ქართული ამგეები

ჯაზი ატლანტის შესრულებით

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა“ შინ, „პეპსი არენაზე“ „იუტა ჯაზს“ უმასპინძლა და ქულაუხვ მატჩში 116:111 აჯობა. ეფექტურად ითამაშა **კარლოს ბუზერმა** - 39 ქულა ჩააგდო და 12 მოხსნა მიაყოლა, მაგრამ ერთ კაცს მატჩის მოგება რომ არ შეუძლია ატლანტურმა მატჩმაც დაგვარწმუნა. გუნდურად მოთამშე „ჰოქსის“ კალათბურთელებმა ფუნქციები თანაბრად გადაინაწილეს, **ანტუან ჯონსონმა** 14 პასი ჩაინერა, **ჯოშ სმიტმა** - 12 მოხსნა, **ჯო ჯონსონმა** 24 ქულა და „სოფელიც აშენდა“. ამ „მშენებლობაში“ წვლილი **ზაზა ფაჩულიამაც** შეიტანა. მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ქართველი ცენტრი მატჩის ყველაზე ცხელ მომენტში ათამაშა და ზაზამაც იმედები არ გაუცრუა. „როგორც ჩანს, ფაჩულია ტრავმიანობის შემდეგ ფორმას სწრაფად იდგენს. მან „იუტასთან“ მატჩის ბოლო მეოთხედი თითქმის შეუცვლელად ჩაატარა, თანაგუნდელებს ქულებითაც დაეხმარა და ერთი-ორი ვადამწყვეტი მოხსნაც მითვალა. ატლანტელთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი სწორედ დიდ Z-ს ჰქონდა(+13).“ - ვკითხულობთ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში“. ქართველი ცენტრის ანგარიშზე 8 ქულა და 5 მოხსნაა.

„ჰოქსს“ 24 მატჩიდან 12 აქვს მოგებული და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეშვიდე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებიდან 8-8 გუნდი გადის.

ატლანტა-იუტა 116:111

25:31, 26:22, 35:33, 30:25

ატლანტა: ე. ჯონსონი (17ქ, 14პ), ჯ. ჯონსონი (26ქ, 5პ), ჯ. სმიტი (18ქ, 12მ, 5დ), მ. უილიამსი (21ქ), ჰორფორდი (17ქ, 7მ), უესტი (7ქ), ზაზა ფაჩულია (25 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 5 ფოლი), შ. უილიამსი (2ქ)

იუტა: დ.უილიამსი (14ქ, 10პ), ბრეუერი (19ქ), კოლინსი (6ქ), ბუზერი (39ქ, 12მ), კირილენკო (16ქ), მილსაპი (7ქ), მაილზი (10ქ)

I პერიოდი

3:05	ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა

II პერიოდი

11:17	შეცდომა: 1
10:35	ფოლი: 1
8:29	საჯარიმოები: 2\0
7:53	ფაჩულია სმიტმა შეცვალა
1:42	ფაჩულიამ სმიტი შეცვალა
1:25	შეცდომა: 2
1:25	ფოლი: 2
1:14	ფოლი: 3
1:14	ფაჩულია სმიტმა შეცვალა

III პერიოდი

5:18	ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა
4:55	ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (71:73)
4:43	მოხსნა: 1 (შეტ:0, დაც:1)
4:17	ფოლი: 4
4:17	შეცდომა: 3
2:04	ჩაჭრა: 1 (ფესენკოს ჩაუჭრა)
4:43	მოხსნა: 2 (შეტ:0, დაც:2)
0:29	საჯარიმოები: 2\2, 4ქ (84:83)

IV პერიოდი

11:02	ორქულიანი ტყორცნა: 6ქ (89:88)
10:06	მოხსნა: 3 (შეტ:0, დაც:3)
8:13	მოხსნა: 4 (შეტ:0, დაც:4)
4:48	მოხსნა: 5 (შეტ:0, დაც:5)
3:56	საჯარიმოები: 2\1, 7ქ (105:99)
3:27	ფოლი: 5
3:27	შეცდომა: 4
0:16	ფაჩულია უესტმა შეცვალა
0:14	ფაჩულიამ უესტი შეცვალა
0:03	საჯარიმოები: 2\1, 8ქ (115:111)
0:03	ფაჩულია უესტმა შეცვალა

ატლანტა: 12 მოგება, 12 წაგება. მე-3 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ტური

თბილისი – ნიკე	103:67
მართვე – მეგა	73:54
მაკაბი – ქუთაისი	87:54
ნაკრები 92 – დინამო	48:68
ენერჯი ინვ. – სოხუმი	104:77

II ტური

დინამო – თბილისი	76:99
ნიკე – მართვე	72:82
სოხუმი – ქუთაისი	90:79
მაკაბი – ნაკრები 92	63:56
ენერჯი – მეგა	71:53

III ტური

ნიკე - ენერჯი	65:96
მაკაბი – მართვე	86:97
ნაკრები 92 – ქუთაისი	66:39
დინამო – მეგა	73:81
სოხუმი – თბილისი	50:94

IV ტური

მართვე – სოხუმი	93:57
მეგა – მაკაბი	102:107
თბილისი – ქუთაისი	101:86
ნიკე – დინამო	68:65
ენერჯი – ნაკრები 92	82:48

V ტური

სოხუმი – მეგა	49:76
მაკაბი – ნიკე	74:72
მართვე – ქუთაისი	70:46
დინამო – ენერჯი	75:77
ნაკრები 92 – თბილისი	62:80

VI ტური

თბილისი – ენერჯი 20:0 (წაგება ჩაეთვ.)	
მეგა – ქუთაისი	78:48
ნიკე – სოხუმი	92:81
დინამო – მაკაბი	60:86

1. თბილისი 6/0-12 ქულა; 2. მაკაბი 5/1-11; 3. მართვე 5/0-10; 4. ენერჯი ინვესტი 5/1-10 (ქულა დაკლებული აქვს); 5. მეგა 3/3-9; 6. ნიკე 2/4-8; 7. დინამო 1/5-7; 8. სოხუმი 1/5-7; 9. ნაკრები 92 1/4-6; 10. ქუთაისი 0/6-6

ნითელს ლურჯი არ სჯობს?

გუშინ „ატლანტას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჯონ კუპერმა გამოაქვეყნა ვრცელი პუბლიკაცია, რომელიც მთლიანად ზაზა ფაჩულიას ეძღვნება. გთავაზობთ სტატიის სრულ თარგმანს.

ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულია** ყველა საქმეს ხალისით, იუმორით უდგება და შეიძლება სწორედ ამიტომ სეზონის დასაწყისში მიღებულ სამ ტრავმას იოლად გაუმკლავდა და ჩვეულ ფორმას იბრუნებს.

პირველი ტრავმა მან 18 ოქტომბერს „შარლოტთან“ მატჩში მიიღო - კოჭისა და მუხლის დაზიანების გამო ზაზას სეზონის საწყისი ხუთი შეხვედრა გაუცდა. როცა ფორმაში შევიდა, „ფილადელფიასთან“ მატჩის პირველ მეოთხედში სამუელ დალამბერის ხელი სახეში მოხვდა და ტვინის შერყევის ნიშნების გამო კვლავ ხუთი მატჩით დასვენება მოუწია.

„ტრავმებმა უკან დამხია, მაგრამ ცხვირის ჩამოშვებას არ ვაპირებ, კარგად მესმის, რომ ასეთია ყველა სპორტსმენის კარიერა - ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა. აქამდე ამდენი მატჩი და ვარჯიში ერთად არ გამიცდენია, მაგრამ ამ სახის პრობლემამ დიდი გამოცდილება შემძინა, ამის შემდეგ კიდევ უფრო მონდომებით ვვარჯიშობ,.რათა ფორმაში შევიდე და მალე ვუჩვენო „ზაზას თამაში“, რომელსაც ქომაგი ჩემგან ელის.“ - აცხადებს ზაზა ფაჩულია, რომელიც 13 მატჩში საშუალოდ 16.3 წუთს თამაშობს, 6.1 ქულასა და 4.1 მოხსნას აგროვებს.

ფაჩულია 2007-08 წლების სეზონისთვის კარგად მოემზადა, ამ ზაფხულს ინდივიდუალურად აქტიურად ივარჯიშა, საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის მცდელობაც ჰქონდა და მონაწილეობა მიიღო **ზო მურნინგის** მიერ მონყობილ საქველმოქმედო მატჩში (კარლოს ბუზერთან, რაჯა ბელთან, დეიმონ სტაუდმაიერთან და დეიმონ ჯონსთან ერთად).

ფაჩულია იხსენებს: „ეს იყო ყველაზე საინტერესო ზაფხული NBA-ში გადასვლის შემდეგ. ჯერ სათანადოდ დავისვენე და გავერთე, გარკვეული დრო მიაამიში გავატარე. შემდეგ აქტიურად ვარჯიშს შევუდექი, რათა საქართველოს ნაკრების მატჩებისთვის მზად ვყოფილიყავი. შესარჩევი მატჩების შემდეგ ამერიკაში ჩამოვედი და ვარჯიში აქ გავაგრძელე, მაგრამ NBA-ს ახალი სეზონის დაწყების წინ ტრავმები მივიღე და თითქმის ერთი თვე გამიცდა.“

ზაზა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სეზონის სტარტს: „ყოველი სეზონის დაწყებისთვის სერიოზულად ვემზადები. ზოგი კალათბურთელი ფორმაში თამაშ-თამაშ შედის. მე ასე არ ვიქცევი - ჩემპიონტის დაწყებისას დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვარ, რათა ჩავარდნა თავიდან ავიცილო.“

„ატლანტას“ მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** კარგად მოეხსენება, რა შეუძლია ფაჩულიას და ყველანაირად ხელს უწყობს, რათა ცენტრმა მალე მიაღწიოს სასურველ კონდიციებს.

„სეზონის დასაწყისშიც და ახლაც ზაზას დიდი ადგილი უკავია „ჰოქსის“ სათამაშო სქემებში. ჩვენი მხრივ ხელს ვუწყობთ, რომ ისეთი თამაში უჩვენოს როგორიც გასულ წლებში - შავი სამუშაოც კარგად შეასრულოს, მეტოქის ფარზეც იმუშაოს და მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში ეფექტური იყოს დაცვისასაც და შეტევისასაც. აი, რას ველით Z-სგან.“ - ამბობს მწვრთნელი მაიკ ვუდსონი.

ზაზას ტრავმების „წყალობით“ „ატლანტას“ ძირითად შემადგენლობაში გამოთავისუფლდა ადგილი დრაფტზე ახლადაყვანილი ელ **ჰორფორდისთვის**. მან თავი დადებითი კუთხით წარმოაჩინა და ამიერიდან ვეღარავინ იტყვის, რომ „ჰოქსის“ ერთ-ერთი სუსტი ნერტილი წინა ხაზია.

ისევ ფაჩულიას მოვუსმიოთ: „ორი წლის წინ „ჰოქსში“ სამი ტანმაღალი კალათბურთელი ძლივს მოიძებნებოდა. ახლა ორჯერ მეტი მაღლები ვართ: სოლომონ ჯონსი, ელ ჰორფორდი, ჯოშ სმიტი, შელდენ უილიამსი, ლორენცენ რაითი და მე. ყველა კარგად თამაშობს და მეც თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. აქამდე შეზღუდული ვიყავი - ფოლების მიღებისა მეშინოდა, რადგან ჩემი შემცვლელი არ იყო და მოედნიდან გავარდნა გუნდის ღალატის ტოლფასი იყო. ახლა შედარებით თავისუფლად ვთამაშობ და მეტი მუშაობაც მიწევს, რადგან „ატლანტაში“ სერიოზული კონკურენციაა.“

ზაზა დაგვპირდა, რომ ქულათა საშუალო და ტყორცნების რეალიზაციის მაჩვენებელს მალე გააუმჯობესებს და „ჰოქსს“ ფლეი ოფისკენ გაუძღვება. მანამდე კი იგი მოდასა და ჩაცმის სტილზე საუბრობს. შეგახსენებთ, რომ ახლახან ჯურნალმა „ჰუმა“ ფაჩულია თავის სახედ აირჩია.

„სამი წლის წინ „ჰოქსის“ ვებ-საიტის ხელმძღვანელმა მიკა ჰარტმა მკითხა რომელი ფერი მოგწონსო. ლურჯი-მეთქი რომ ვუთხარი გულიანად გადაიხარხარა. წელს „ატლანტას“ ახალი დიზაინის ფორმა აქვს და იგი ლურჯი ფერისაა. ეს ეკიპირება გაცილებით უკეთესია, ვიდრე შარშანდელი. გასულ სეზონში წითელი და ყვითელი ფორმებით ვთამაშობდით, რაც მაინცდამაინც არ მომწონდა. ვიმედოვნებ ლურჯი მაისურით უფრო მეტს მივაღწევ, ვიდრე წითლით...“

მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

წყალბურთი

წყალბურთელებს ვკარგავთ!

ბალათურიას ყაზახეთის ნაკრებში იწვევენ



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინის ღია პირველობის ახალ სეზონში ჩაერთო. ნაკრების პრობლემებზე აქამდე არაერთხელ დაგვიწერია. სამწუხაროდ, მდგომარეობა უცვლელია - ქართულ წყალბურთს არ აქვს ერთი ხეირიანი ბაზაც კი, კვლავ ამაოა ნაკრების საბაზო კლუბის ჩამოყალიბება, კითხვის ნიშნის ქვეშაა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა და რაც ყველაზე ცუდია, საწყლისნო სახეობათა ფედერაცია უკვე რამდენიმე თვეა, უპრეზიდენტოდაა...

ყოველივე ამან კი ის გამოიწვია, რომ მეორდება ძველი ისტორია, როდესაც ცუდი პირობების მიუხედავად, სოკოსავით მომრავლებულ ნიჭიერ წყალბურთელებს პანტაპუნტით ვკარგავდით. სხვადასხვა შეჯიბრებებზე თავგამოჩენილ ჩვენს პერსპექტიულ მოთამაშეებს თვალი უცხოელებმა დაადგეს...

უკრაინის ღია პირველობის პერიპეტიებსა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სოსო მაისურაძე**.

- უკრაინის ღია პირველობაზე ეროვნული ნაკრების სტატუსით კი წარვდექით, მაგრამ ძირითადად, ახალგაზრდები ვათამაშეთ. ლეგიონერებიდან მხოლოდ გერმანული „ჰანოვერის" წყალბურთელ პავლე ჯაფარიძის ჩამოყვანა მოვახერხეთ. ისე გამოვიდა, რომ ტურნირის სიმძიმემ ძირითადად 4 წამყვანი მოთამაშის ზურგზე გადაიარა.

მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, პირველი სამი შეხვედრა მოვიგეთ - კიევის „დინამოსთან" (12:10), „ხარკოვთან" (12:8) და მარიუპოლის მეორე გუნდთან (8:1). ამის შემდეგ, ჯაფარიძე გერმანიაში დაბრუნდა, რადგან თავის კლუბში ჰქონდა სათამაშო. ასე რომ არ ყოფილიყო ან კიდევ ერთი ძლიერი ლეგიონერი გვყოლოდა, ბოლო ორ მატჩს არ წავაგებდით. მოლდოვის ნაკრებთან 8:9 დავმარცხდით, ხოლო ლვოვის „დინამომ" 9:7 გვძლია.

მთლიანობაში, ჩვენი გუნდიდან ყველაზე შედეგიანი ზურაბ რურუა იყო, რომელმაც 15 გოლი გაიტანა და მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. იგი საზღვარგარეთ თამაშობდა, მაგრამ დაბრუნდა, რადგან იმედი გვქონდა, რომ საქართველოში ნაკრების საბაზო კლუბს ჩამოვაყალიბებდით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ რაიმე სასიკეთო ძვრა არ არის.

- „ლაგუნა ვერე" ცნობილმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა. სწორედ იქ აპირებდით კლუბის ჩამოყალიბებას და რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

- კლუბის ჩამოყალიბების იმედი კი გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით, „ლაგუნა ვერეში" ვერ შევდივართ. არადა, ეს ძალიან გვჭირდება. ახლა სხვა გზა რომ არ გვაქვს, „ქარიშხალას" არასტანდარტულ აუზში ვარჯიშით გავდივართ ფონს. დღეს ამ აუზში ვუმასპინძლეთ აზერბაიჯანის ნაკრებს, რომელთანაც სანვრთნელი ვარჯიში ჩავატარეთ.

- საინტერესოა, ასეთ პირობებში როგორ ახერხებთ წყალბურთელების შენარჩუნებას?

- თუ ასე გაგრძელდა, არსებობს რეალური საშიშროება, რომ სხვა ქვეყნებმა წაგვართვან წამყვანი მოთამაშეები. აგერ, ხარკოვის გუნდს აქვს სოლიდური თანხები და უკრაინის ღია პირველობის მეორე წრისთვის აპირებს საუდის არაბეთში მოთამაშე გალაკტიონ ლაითაძის დამატებას. ჰოდა, შესაძლოა, აქამდე ჩვენი ნაკრების ყველაზე გამოცდილი ლიდერი ხარკოველთა შემადგენლობაში დაგვიპირისპირდეს. აღანიშნავია, რომ ხარკოველებს ქართველი ბიზნესმენი დავით ჯიმშიაშვილი აფინანსებს. ხარკოველებს და ჯიმშიაშვილს ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ძალიან გულდასაწყვეტია, როდესაც შენი თანამემამულე უცხოელებს ასპონსორებს და ამ დროს, საქართველოში არავინაა ჩვენი პატრონი...

ამას კიდევ არა უშავს, უფრო უარესი საფრთხის წინაშეც ვდგევართ. ყაზახეთის ნაკრებში იწვევენ მიხეილ ბაღათურიას. ყაზახებს დიდი დაფინანსება აქვთ და მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე გასასვლელად იბრძვიან. ეს კი დიდი ცდუნებაა ჩვენნაირი ქვეყნის წყალბურთელისთვის, რომელიც აქ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს. როგორია, უარი თქვა უცხოელთა ზღაპრულ შემოთავაზებაზე, დარჩე აქ, არაფერი შეიცვალოს და ისე დაამთავრო კარიერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე კი არა, ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც ოცნებად დაგრჩეს?

არადა, ახლა რომ შევკრიბოთ უძლიერესი შემადგენლობა, რეალურად ყაზახებზე ძლიერი გუნდი გვყავს. ანდა ბელარუსი და უკრაინა ავიღოთ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის მესამე ეტაპზე თამაშობენ. მათზე კარგი გუნდიც გვყავს, მაგრამ უფულობისა და უპატრონობის გამო, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში ნლების განმავლობაში გვენატრება.

აგერ, სანდრო რუსიშვილსაც დაადგეს თვალი უცხოელებმა, რომელიც დიდი ტალანტია, ძალიან პერსპექტიულია ზურაბ რურუა, კიდევ გვყავს არაერთი ნიჭიერი მოთამაშე და ისე ნუ ვიზამთ, რომ ისინი უცხოელებმა გადაბირონ და მერე გვიანლა ვიცეთ სინანულით თავში ხელები - ეს რა წყალბურთელები დავკარგეთო...

კობა ხატისაშვილი

ჭადრაკი

ნანა ძაგნიძე

ნონას თასი ნანამ მოიგო

თბილისის ჭადრაკის სასახლემ გუშინ ნონას თასის გათამაშებას უმასპინძლა ქალთა შორის. ჭადრაკის ქართველ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ ნონას თასი უკვე ხუთი წელია, რაც იმართება.

ტურნირზე თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭადრაკემ ითამაშა: აქ იყვნენ საქართველოს ნაკრების წევრები: **ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე** და **ნანა ძაგნიძე**. გვაკლდნენ მხოლოდ **მაია ჩიბურდანიძე** და **მაია ლომინეიშვილი**. ახალი თაობის ნიჭიერი გოგონების მთელი კოჰორტა ვიხილეთ საქმეში - მათ შორის იყვნენ 16-წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონი **ქეთი ნაწალაშვილი**. რეიტინგით უპირველესი ლელა ჯავახიშვილი იყო - 2474 ქულა. მეორე ნინო ხურციძე ბრძანდებოდა - 2450, ნანა ძაგნიძეს 2416 ქულით მესამე პოზიცია ეჭირა.

სულ 30 მონაწილე შეიკრიბა და შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. სათამაშო დრო 5 წუთი იყო, ყოველგვარი წამების დამატების გარეშე. ცხადია, 9 ტური გუშინვე მორჩა და 2007 წლის „ნონას თასის" გამარჯვებულის ვინაობაც გუშინვე გაირკვა - 8,5 ქულით პირველი ადგილი **ნანა ძაგნიძემ** მოიპოვა. მეორე ადგილზე 7,5 ქულით **ნინო ბაციაშვილი** გავიდა, 6 ქულით მესამე-მეექვსე ადგილები გაიყვეს: **ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ხურციძემ, მაკა ფურცელაძემ** და **სალომე მელიამ**. დამატებითმა მაჩვენებლებმა ცხრილში აღნიშნული კვარტეტი ამავე რიგითობით დაალაგა.

ტურნირის მოთავე, ტრადიციულად, საჭადრაკო კლუბი „ნტნ"იყო, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად. ამ ეგიდით ასაკობრივი ტურნირები კვლავ გაგრძელდება, თუმც უახლოეს მომავალი, 24 დეკემბერს ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრს გამართავენ: **ტიგრან პეტროსიანის** სახელობის ტურნირში გაეჯიბრებიან ერთმანეთს საუკეთესო ქართველი მოჭადრაკეები. მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის, ტიგრან პეტროსიანის სახელობის ტურნირიც ტრადიციულია და მასში მონაწილეობა ყოველთვის პრესტიჟულად მიიჩნეოდა ჩვენში; საპრიზო ფონდიც მეტია, ვიდრე ნონას თასზე, თუმც არც იმდენად, რომ უცხოელთა ყურადღება მიეპყრო. არადა, ტიგრან პეტროსიანის ტურნირზე გასულ წლებში სხვა ეროვნების - ძირითადად სომეხი მოჭადრაკეებიც იღებდნენ მონაწილეობას. კარგი იქნება, თუკი გამოინახება საშუალება და არათუ უახლოსი მეზობელი ქვეყნებიდან გვეწვევიან გასაჯიბრებლად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებიც დიდი სიამოვნებიც ჩამოვიდოდნენ ჩვენთან.

„ნონას თასის" წლევანდელი ათეული ასე გამოიყურება: **1. ნანა ძაგნიძე (2416) - 8,5; 2. ნინო ბაციაშვილი (2330) - 7,5; 3. ბელა ხოტენაშვილი (2307) - 6; 4. ნინო ხურციძე (2450) - 6; 5. მაკა ფურცელაძე (2278) - 6; 6. სალომე მელია (2364) - 6; 7. სოფიკო გურამიშვილი (2305) - 5,5; 8. სოფიკო ხუხაშვილი (2387) - 5,5; 9. ლელა ჯავახიშვილი (2474) - 4; 10. ქეთი ნაწალაშვილი (2161) - 5.** ქალთა ტურნირის საპრიზო ფონდი 800 ლარი იყო; აქედან გამარჯვებულს 250 ლარი ერგებოდა, მეორეადგილოსანს - 200; მესამეზე გასული 150 ლარს იღებდა, მეოთხეზე გასული - 120 ლარს, ხოლო მეხუთეადგილოსანს - 80.

ზვიად შათირიშვილი

ავტოსპორტი

მოყვარულთა რალი, ბოლო ეტაპი



16 დეკემბერს საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციამ მოყვარულთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მეექვსე ეტაპი ჩაატარა. დასკვნითი ეტაპი, ისე, როგორც პირველი ორი, სამოყვარულო რალიში გაიმართა. როგორც ავტოსპორტის გულშემატკივართათვის არის ცნობილი, მსგავს შეჯიბრში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მართვის უფლებისმქონე მსურველს შეუძლია. სამოყვარულო რალიში ჩქაროსნული მონაკვეთები არ არსებობს, მაგრამ პროფესიონალური რალისაგან განსხვავებით, სადაც მონაწილეებს რამდენიმე დღით ადრე აქვთ საშუალება გაეცნონ საასპარეზო მარშრუტს და წინასწარ გაითვალისწინონ ტრასის ყველა თავისებურება, მოყვარულებს ყოველივე ზემოთჩამოთვლილისათვის თავის გართმევა უშუალოდ შეჯიბრის დროს უწევთ და ამასთან ყველა მინიშნებულ ადგილას, წინასწარ განსაზღვრულ დროს უნდა აღმოჩნდნენ, რადგან საჯარიმო ქულით ისჯება ადრე მისვლაც და დაგვიანებაც. შეჯიბრის ტრასა, სამოყვარულო რალის შინაარსიდან გამომდინარე, ასპარეზობის დასრულებამდე უცნობი რჩება არა მარტო მოასპარეზეთათვის, არამედ თვით Fფედერაციის ხელმძღვანელობისთვისაც Mმისი ზუსტი მიმართულება და მდებარეობა, 16 დეკემბრამდე, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის, ამ ასპარეზობის მთავარი მსაჯისათვის იყო ცნობილი. სწორედ მის მიერ შედგენილი ლეგენდები დაურიგდათ სტარტის წინ მონაწილეებს, რომლის მიხედვითაც მოყვარული კოპილოტები ცდილობდნენ სწორად ორიენტირებას დროსა და სივრცეში და თავიანთ პილოტების სწორი მიმართულებით წაიყვანას.A

ტრასა ძირითადად Qქვემო ქართლის ტერიტორიაზე გადიოდა. ასპარეზობას გულშემატკივართათვის უფრო საინტერესო სანახავს ხდიდა შეჯიბრის დროს მანგლისში, თეთრწყაროში, რუსთავსა და რიყეზე გამართული ჩქაროსნული სლალომები, სადაც მონაწილეები, რომლებიც სხვადასხვა კლასის მანქანებით ასპარეზობდნენ, მართვის უმაღლესი პილოტაჟის ელემენტებს ასრულებდნენ. შეჯიბრი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. სატურნირორო ცხრილს ხუთი ეტაპის შედეგების მიხედვით **გიორგი არჯევანიძე** ლიდერობდა. ქულათა რაოდენობის მიხედვით ის პრაქტიკულად უკვე ამ ჩემპიონატის გამარჯვებულადაც მოიაზრებოდა, მიუხედავად ამისა თითოეული მონაწილე ასპარეზობისას ბოლომდე ხარჯავდა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს. ამ საინტერესო პაექრობაში პირველობა არავის დაუთმეს **არჩილ** და **გიგა ბიძინაშვილმა**, რომლებიც ,,აჯიპის" სამარკო ნიშნით დამშვენებული ,,ჰონდა,ინტეგრით" ასპარეზობდნენ. მეორე ადგილზე **გიორგი არჯევანიძისა** და **ქეთი ბოჭოიძის** ეკიპაჟი გავიდა, ,,ტოიოტა ლენდ კრუიზერით." მესამე ადგილი კი წილად ხვდა ,,რენო მეგანით" მოასპარეზე **დავით თუმანიშვილისა** და **გიორგი ნოდიას** წყვილს.

ამ ეტაპით დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი მოყვარულთა შორის, რომლის საბოლოო გამარჯვებულების დაჯილდოება, ქულათა დაჯამების შემდეგ, რამდენიმე დღეში მოეწყობა.

აზმაიფარაშვილის მაქსიმუმი

ზურაბ აზმაიფარაშვილი

სინგაპურში მიმდინარეობს ჭადრაკში მასტერსის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (2606) მონაწილეობს. ოთხი რაუნდის შემდეგ ქართველი ლიდერი ოთხი ქულით ერთპიროვნული ლიდერია. პირველ ტურში აზმაიფარაშვილმა შავი ფიგურებით **ლიმ იე ვენგი** დაამარცხა, შემდეგ მან თეთრებით სინგაპურელ **ლი რუოფანს** მოუგო. მესამე ტურში აზმაიფარაშვილმა კვლავ მასპინძელი დაამარცხა, შავი ფიგურებით **ენრიკე პასიენსიას** მოუგო. მეოტხე ტურში ქართველი დიდოსტატი მეტოქე ფილიპინელი **ოლივერ დიმაკილინგს** შეხვდა და კვლავ იოლად გაიმარჯვა. დღეს აზმაიფარაშვილის მეტოქე 3,5-ქულიანი ვიეტნამელი დიდოსტატი **დაო ტიენ ჰაი** იქნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თეატრი

ავთანდილ შოშიაშვილი. კრივი. დაიბადა XII. 1958 წ. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. სპორტის ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ღირსების ორდენის კავალერი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიოს ჩემპიონის გიორგი კანდელაკის და არაერთ სხვა ტიტულოვან მოკრივეთა პირადი მწვრთნელი. გორის კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი. შიდა ქართლის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი.

ჩაბები

LOYALCAPITAL group

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

BTA Silk Road Bank

დომონი-მასი. მარგველაშვილი, დადუნაშვილი, ჩხაიძე

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

თითქმის ყველამ ითამაშა

საშრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონებში მორიგი მე-9 ტური იმითაა გამორჩეული, რომ ტრავმირებული ვიქტორ დიდებულიძის, დიმა პავლოვის **და რატი ურუშაძის გარდა ყველა ქართველმა მორაგბემ ითამაშა.**

ფედერალ 1-ის A ჯგუფში კვლავ აგრძელებენ გამარჯვებების სერიას ქართველ მორაგბეთა გუნდები, „ბობინი“ და „ორლეანი“. **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** „ბობინიმ“, რომელიც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, სტუმრად დაამარცხა **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი“ 37:13. ხოჭოლავამ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა 28-ე წუთზე ლელო გაიტანა, 50-ე წუთზე კი მატჩის არბიტრმა ათი წუთით გაასინბინა. სუთიაშვილი თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. გასვიანი განაცხადში ისევ არ იყო.

შინ გაიმარჯვა **სოსო ნიკოლაენკოს** „რუანთან“ შეხვედრაში **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა“ 30:3. აბუ თამაშში 76-ე წუთიდან ჩაერთო. ნიკოლაენკო ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს. სტუმრად დამარცხდა „ვანთან“ **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერი“ 3:15. ესაკია თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚ 1.ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ.1. ბობინი - 33 ქულა, 2. ორლეანი - 31, 3. ტური - 27, 4. ვანი - 23, 5. რუანი - 21, 6. სენ ნაზერი - 15, 7. სერჟი პონტუაზი - 12, 8. პუატიე - 10.

B ჯგუფში საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „მასიმ“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი“ 17:14. მარსელთა შორის ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 57-ე წუთზე შეცვალეს. „დომონში“ სამივე ქართველმა ითამაშა. მარგველაშვილი 56-ე წუთზე შეცვალეს, ნემსაძე თამაშში 41-ე წუთზე ჩაერთო, ვეტერანი მჭედლიშვილი კი თავიდან ბოლომდე იბრძოდა.

საკუთარ მოედანზე **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერის“ სძლია **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანმა“ 19:10. ჯიმშელაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და თითო საჯარიმო და გარდასახვა მიითვალა (5 ქულა). ყუფარაძე 48-ე წუთზე შეცვალეს. სტუმრად დამარცხდა „ბურგ ან ბრესთან“ **რატი ურუშაძის** „ლონსი“ 8:31. ურუშაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

BᲯᲒᲣᲤᲘ.1. ბურგ ან ბრესი - 31 ქულა, 2. შალონი - 27, 3. დიჟონი - 22, 4. მასი - 19, 5. ვილერბანი - 19, 6. ლონსი - 18, 7. დომონი - 17, 8. შამბერი - 13.

C ჯგუფში **დიმა პავლოვის** „ნიცა“ სტუმრად დამარცხდა „ობენასთან“ 15:21 და ახლა 15 ქულით ბოლოსწინა მე-7 ადგილზეა. ისევ წააგო **ირაკლი გუნდიშვილის** „მიომ “, ამჯერად სტუმრად „ორგელესთან“ 19:25. გუნდიშვილი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო.

F ჯგუფში 31 ქულით მეორე ადგილზეა თედო ზიბზიბაძის „პერიგო“, რომელმაც შინ დაამარცხა „ლურდი“ 33:9. ზიბზიბაძეს ტრავმა მიიღო და მე-9 წუთზე შეავალეს. „პერიგოს“ გათამაშების ლიდერი „მარმანდი“ ერთი ქულით უსწრებს.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚ 2-ᲨᲘ A ჯგუფის ლიდერობა იგდო ხელთ **დავით ბოლღაშვილის** „ლიმა“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ტური“ 40:3. „ლილი“ მეორეადგილოსან „სორესენს“ ორი ქულით უსწრებს.

C ჯგუფში **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა“ სტუმრად დაამარცხა „კლერმონ-კურნონი“ 26:11. „მონლუსონი“ 24 ქულით მე-3 ადგილზეა და ლიდერ „მონმელიანს“ ორი ქულით ჩამორჩება.

თავისი მორიგი შეხვედრა მოიგო H ჯგუფში მოასპარეზე **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკმაც“. ამჯერად სტუმრად „ბაზასთან“ 16:8. „კონიაკს“ 20 ქულა დაუგროვდა და მე-4 ადგილზეა.

ბესიკ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲛᲝᲗᲘᲑᲠᲘᲫᲝᲚᲔᲑᲘ



თენგიზ თედორაძე

თედორაძე წლეულს დაუმარცხებელია

თენგიზ თედორაძე წესებგარეშე ბრძოლის ევროპაში აღიარებული ვარსკვლავია. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში „გლადიატორად“ წოდებული მებრძოლი უკვე 40 წლის გახდა, ის მაინც აქტიურად ჩაბმულია წესებგარეშე ბრძოლაში და კვლავ გამარჯვებული გამოდის რინგიდან. თედორაძე ახალგაზრდობაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იყო ჩაბმული, 20 წლის ასაკიდან კი წესების გარეშე ბრძოლამ გაიტაცა. დღეისათვის, მას 30 ბრძოლა აქვს გამართული, საიდანც 22 მოიგო (14 ნოკაუტით), თედორაძემ 7-ჯერ წააგო და ერთი ორთაბრძოლა გამარჯვებულის გამოვლენის გარეშე დაასრულა.

შარშანდელ სეზონში თენგიზ თედორაძემ 3 ორთაბრძოლა მოიგო, 2 წააგო და 1 ფრით დაასრულა. წლეულს კი ქართველი „გლადიატორი“ სამჯერ გავიდა საბრძოლველად და სამჯერვე გამარჯვებული გამოვიდა. პირველად „ბორნ 2 ფაითის“ ეგიდით თედორაძე „უემბლიზე“ **რობ ბრაუტონთან** გავიდა საბრძოლველად და უკვე მეორე რაუნდის დასრულებამდე 58 წამით ადრე ნოკაუტით მოიგო.

ზაფხულში ინგლისში „ჰარდ ეზ ჰელის“ ეგიდით ბრძოლაში თენგიზ თედორაძემ **ერიკ ეში** პირველივე რაუნდში მოსასულიერებელი გახადა. შემოდგომით კი ქართველმა „ანბილივიბლის“ ეგიდით **მუსტაფა ალ თურქი** დაამარცხა სამ რაუნდში ქულებით.

ნიკოლოზ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲘ

კარგი სეზონი და მესამე ლიცენზიის იმედი

ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲘᲗᲐ გუნდების შემდეგ, მშვილდოსანთა ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი აღმოჩნდა - ორი ლიცენზიაც მოიპოვეს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსოფლიო პირველობის მეხუთე ადგილიც მიითვალეს აქტივში. მოლოდინისამებრ, გერმანულ ლეიფციგში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე ლიცენზიები **ხათუნა ნარიმანიძემ** და **ქრისტინე ესებუამ** დაისაკუთრეს, ჩვენთვის საპატიო მეხუთე ადგილი კი ნარიმანიძის ნაყოჩაღარია. სამწუხაროდ, წინა სეზონების დარად, წლეულსაც საუბარი ძირითადად ქალთა ნაკრებზე გვიწევს, რადგან ვაჟთა შედეგებში არც ამჯერადაა ისეთი პროგრესი, საერთაშორისო მაჩვენებებს ცოტათი მაინც რომ მიუახლოვდნენ. შედეგად, ისინი თითქმის არც დაჰყავთ ტურნირებზე.

სამწუხაროდ, მშვილდოსნობის ფედერაცია ეკონომიკურად შეძლებული არაა, რაც მათ კალენდარს ყოველწლიურად ეტყობა. გამონაკლისი არც წლევანდელი ყოფილა - სწორედ ფინანსური პრობლემების გამო ფედერაციამ ნაკრების გაგზავნა სეზონის უპირველეს მსოფლიო თასზე, კორეულ ულსანში იმთავითვე იუარა. იგივე მიზეზით გუნდმა ვერც სეზონის დასკვნით მსოფლიო თასზე ისროლა ბრიტანულ დოვერში. თუმცა ეს კიდევ გასაგებია - სეზონი უკვე დამთავრებული იყო და მზადების თვალსაზრისით, ამ ტურნირს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აი, ულსანში წასვლა ნაკრებს ძალიანაც სურდა - აქეთ სეზონის დასაწყისი და მსოფლიო პირველობისთვის მზადება, იქით - მშვილდოსნობის განთქმულ კორეულ სკოლაში სტუმრობა და მათი გამოცდილების ადგილზე გაცნობა. სამწუხაროდ, სურვილები ხშირად არ ემთხვევა შესაძლებლობებს.

არადა, სეზონში სულ 4 მსოფლიო თასი ტარდება, მათი მაჩვენებლებით კი საერთო რეიტინგი იქმნება და ციკლის ბოლოს მოწინავენი საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემიებისთვის იბრძვიან. ფინანსური პრობლემების გამო, ჩვენებმა მხოლოდ 2 მსოფლიო თასზე ისროლეს - იტალიურ ვარეზეში და თურქულ ანთალიაში. სამწუხაროდ, ამ ეტაპებზე რაიმე გამორჩეული წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ. გუნდის ლიდერები - ნარიმანიძე, ესებუა და ასმათ დიასამიძე ორივეგან ფლეი ოფში ანუ 64 საუკეთესოში კი შევიდნენ, მაგრამ ერთი ნრის მეტი არსად გაუვლიათ. ფლეი ოფში გუნდურშიც ორივეგან გავიდნენ, მაგრამ აქედანაც ერთხელ გავიდნენ მეორე წრეში -ანტალიაში. თუმცა ის ერთი მოგებაც ღირს აღსანიშნავად - გერმანელებს აჯობეს.

მსოფლიო ჩემპიონატი 7-15 ივლისს ჩატარდა. იქ პეკინის ოლიმპიადის საგზურებიც გაიცემოდა, რომელთა მოპოვების პრეტენდენტები ნარიმანიძე და ესებუაც იყვნენ. მართალია, გამართლების შემთხვევაში საგზურს დიასამიძესაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ეს უფრო სურვილი იყო, ვიდრე - რეალობა. საბოლოოდ ზემოხსენებულმა დუეტმა მართლაც მოიპოვა ლიცენზიები, მაგრამ ნარიმანიძის მეხუთეზე გასვლას ცოტა ვინმე თუ ელოდა.

ჩვენებურთაგან საკვალიფიკაციოში ყველაზე უკეთ კვლავაც ნარიმანიძე გაისარჯა, რომელიც 1309 ქულით 36-ზე გავიდა. მას ცოტათი ჩამორჩა ესებუა - 1307 ქულით 37-ზე, დიასამიძე კი 1276-ით 68-ზე დამკვიდრდა.

ნარიმანიძემ ფლეი ოფში რამდენიმე ძლიერი მეტოქე ჩამოიცილა - ბელგიელი სილვია გეისკენსი, თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად, ამასთან მოსაგებად დამატებითი სერია დასჭირდა; მოუგო იტალიელ პია კარმენ ლიონეტის, ვისთანაც მანამ ვარეზეში წააგო; საკვალიფიკაციოში მეოთხეზე გასულ იაპონელ ნამი ჰაიაკავას, ფრანგ სოფი დედომონტს და მეოთხედფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე ამერიკელი ჯენიფერ მიკლოში აღმოჩნდა, რომელმაც შეაჩერა კიდეც ქართველის წინსვლა მედლისკენ. ნარიმანიძე მედგარ ბრძოლაში დამარცხდა მცირე სხვაობით - 103:107, თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე დამარცხებულთაგან ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, მეხუთეზეც გავიდა.

ორი წრე გაიარა და საბოლოოდ 30-ზე დარჩა ესებუა, დიასამიძე კი პირველივე წრიდან გავარდა და 110-ზე გავიდა.

გუნდურში ჩვენებისგან განსაკუთრებულ წარმატებებს არც ველოდით, თუმცა ერთ ხმაურიან გამარჯვებამდე აქაც ცოტა დააკლდათ. შესარჩევი ეტაპი მათ 14-ე ადგილზე დაასრულეს და ფლეი ოფის პირველ წრეში პოლონელთა ძლიერ გუნდს დაუპირისპირდნენ. მართლაც რომ დაუპირისპირდნენ და არაფერი დაუთმეს - ძირითადი სერია 198:198 დამთავრდა, დამატებითში კი უფრო ცივსისხლიანმა პოლონელებმა 25:23 იმარჯვეს.

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო და ევროპულ რეიტინგებში მხოლოდ ამ ორი ტურნირის შედეგები ეთვლებათ (სხვებს - ოთხისა), საამაყო მაინც მოეპოვებათ. მაგალითად, ნარიმანიძე მსოფლიო რეიტინგში 20-ეა, ევროპულში - 14-ე. ევროპულში ესებუაც მეტ-ნაკლებად საპატიო 39-ე ადგილზეა. გუნდურში ევროპულ რეიტინგში ნაკრები მეცხრეა.

იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიურ დისციპლინებში მედლები ვერ მოიპოვეს, სეზონი მშვილდოსნებისთვის მაინც წარმატებულია ზემოჩამოთვლილი შედეგების გამო. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ერთადერთია, რომელიც ოლიმპიადაზე გამოსულა. ვინძლო, ეს პეკინშიც გააკეთონ, თუ გაისად, ევროპის პირველობაზე რომელიმე მესამე ლიცენზიასაც მოიპოვებს.

ირაკლი ᲗᲐᲕᲐᲫᲔ



NHL რეგულარული ჩემპიონატი

დეტროიტი-ვაშინგტონი 4:3

1:2, 1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ჰოლმსტრიომი-15 (ლიდსტრიომი-25, დაციუკი-26), 1:1 ოვეჩკინი-24 (ნიულანდერი-21), 1:2 შულტეი-5 (ბრედლი-4, ლეინგი-1), 2:2 ზეტერბერგი-24 (დაციუკი-27, ლიდსტრიომი-26), 3:2 ჰოლმსტრიომი-16 (დაციუკი-28, ზეტერბერგი-26), 3:3 სიომინი-3 (პოტი-11).

ბულიტები გაიტანეს: დაციუკი (დეტროიტი), ზეტერბერგი (დეტროიტი), სიომინი (ვაშინგტონი).

ლოს ანჯელესი-კოლორადო 2:4

0:3, 0:0, 2:1

გოლები: 0:1 რ. სმიტი-11 (ბ. კლარკი-7, ლაილსი-11), 0:2 ჰლინკა-5 (ბ. კლარკი-8), 0:3 შჩასტნი-15 (ჰეიდუკი-15, ლაილსი-12), 1:3 დ. ბრაუნი-15 (რ. ბლეიკი-11, კოპიტარი-18), 2:3 ჰანძუში-5 (ო'სალივანი-9), 2:4 გიტი-3.

კვირის საკი ეარსკვლავი

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ „კალგარი ფლეიმზის" მარჯვენა გარემარი **ჯერომ იგინლა** დასახელდა.

ვეტერანმა ფორვარდმა ყველაზე მეტი, 7 გოლი გაიტანა. იგინლამ ჰეთთრიკი შეასრულა „ტამპა ბეისთან" 9:6 მოგებულ მატჩში, შემდეგ კი, „სენტ ლუისთან" შეხვედრაში (5:3) ოთხი ქულა მიითვალა თავის ანგარიშზე.

იგინლას და მისი პარტნიორების კარგი თამაშის წყალობით, „კალგარიმ" ზედიზედ ოთხი გასვლითი მატჩი მოიგო.

კვირის მეორე ვარსკვლავი „დალას სტარზის" რუსი მცველი **სერგეი ზუბოვი**. ამ ჰოკეისტმა თავი იმით გამოიჩინა, რომ ყველაზე მეტი (7) შედეგიანი პასი შეასრულა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი კი, „ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდ **ჯეფრი ლუპულს** ერგო, რომელმაც ოთხ მატჩში 10 ქულა დააგროვა. ლუპულმა განსაკუთრებით შედეგიანად „პიტსბურგთან" შეხვედრაში (8:2) ითამაშა - 3 გოლი და 3 შედეგიანი პასი მიითვალა).

აღმოსავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. ოტავა*	31	21	7	3	45
2. ნიუ ჯერსი*	33	18	12	3	39
3. კაროლინა*	34	17	14	3	37
4. ბოსტონი	32	18	11	3	39
5. მონრეალი	32	16	11	5	37
6. ფილადელფია	31	16	12	3	35
7. რენჯერსი	32	16	13	3	35
8. პიტსბურგი	32	16	14	2	34
9. ტორონტო	33	14	13	6	34
10. ბაფალო	31	16	14	1	33
11. აილენდერსი	31	15	14	2	32
12. ფლორიდა	33	15	16	2	32
13. ტამპა ბეი	33	14	16	3	31
14. ატლანტა	32	14	17	1	29
15. ვაშინგტონი	34	13	18	3	29

დასავლეთი

	თ	მ	ნ	ოწ	ქ
1. დეტროიტი*	33	24	6	3	51
2. სან ხოსე*	32	18	10	4	40
3. მინესოტა*	32	18	12	2	38
4. დალასი	33	18	11	4	40
5. კოლორადო	33	19	13	1	39
6. ვანკუვერი	33	17	12	4	38
7. კალგარი	34	16	13	5	37
8. ანაჰაიმი	35	15	15	5	35
9. სტ. ლუისი	30	16	12	2	34
10. კოლამბუსი	32	14	12	6	34
11. ედმონტონი	34	16	16	2	34
12. ჩიკაგო	32	15	15	2	32
13. ნეშვილი	30	14	14	2	30
14. ფინიქსი	31	15	16	0	30
15. ლოს ანჯელესი	34	12	20	2	26

* - დივიზიონის ლიდერი

გოლი+პასი

ლეკავალიე (ტ-ბეი)	51 (22+29)
იგინლა (კალ)	48 (23+25)
ზეტერბერგი (დეტ)	47 (24+23)
ალფრედსონი (ოტა)	43 (19+24)
კროსბი (პიტ)	43 (15+28)
კოვალჩუკი (ატლ)	43 (26+17)
ჰიტლი (ოტა)	41 (20+21)
შჩასტნი (კოლორ)	41 (15+26)
დაციუკი (დეტ)	41 (13+28)
სუნდინი (ტორ)	40 (16+24)

გოლეადორები

კოვალჩუკი (ატლ)	26
ზეტერბერგი (დეტ)	24
ოვეჩკინი (ვაშ)	24
იგინლა (კალ)	23
ლეკავალიე (ტ-ბეი)	22
ჰიტლი (ოტა)	20
ალფრედსონი (ოტა)	19
ბოიესი (ს-ლუი)	19
ნეში (კოლამბ)	18
პერი (ანა)	17
ო. იოკინენი (ფლო)	17

ასისტენტები

სპეცა (ოტა)	30
სავარი (ბოს)	29
ლეკავალიე (ტ-ბეი)	29
კროსბი (პიტ)	28
ზუბოვი (დალ)	28
დაციუკი (დეტ)	28
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	27
შჩასტნი (კოლორ)	26
მალკინი (პიტ)	26
კულენი (კარ)	26
ლიდსტრიომი (დეტ)	26
ჯ. ტორანტონი (ს-ხოს)	26

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ნიუ იორკი როჯერს და პიგს ელის

ATP-ის სერიის საუკეთესო ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** შესაძლოა კიდევ ერთხელ შეხვდეს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ამერიკელ **პიტ სამპრასს**. სავარაუდოდ, ორი ტიტანის მორიგი მატჩი მომავალი წლის 10 მარტს, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება. ბილეთების რეალიზაციის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი - მათი ფასი დაახლოებით 50-1000 დოლარის ფარგლებში იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამ ჩოგბურთელების აზიური ტურნეს დროს, ფედერერი და სამპრასი სამჯერ (სეულში, კუალა-ლუმპურში და მაკაოში) შეხვდნენ ერთმანეთს. ორი მატჩი ფედერერმა მოიგო და ერთიც - სამპრასმა.

ივანოვიჩის ახალი ჩოგანი

სერბული ჩოგბურთის ვარსკვლავი **ანა ივანოვიჩი** ავსტრალიაში ჩავიდა, სადაც მალე ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს. ამასთან დაკავშირებით, კლასიფიკაციის მეოთხე ნომერმა პრესკონფერენციაც გამართა, სადაც ჩოგნების მწარმოებელ ფირმასთან - Yonex-თან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ აუწყა საზოგადოებას.

ადრე ივანოვიჩი Wilson-ის ჩოგნებით თამაშობდა, მაგრამ იაპონურმა ფირმამ ანას ისეთი პირობები შეათავაზა, *„რომელზეც უარის თქმა არ შეიძლებოდა"*. Yonex-მა ივანოვიჩს ჩოგნის 36 ვარიანტი გაასინჯა, რომელთაგანაც სერბმა თავისთვის ოპტიმალური ვარიანტი შეარჩია.

ასე რომ, Yonex კვლავ დაბრუნდა WTA-ს საუკეთესო ათეულში. ადრე ამ ფირმის ჩოგნებით თამაშობდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარტინა ჰინგისი**. ასევე სხვადასხვა წლებში, Yonex სარგებლობდნენ **ლეიტონ ჰიუიტი, დავიდ ნალბანდიანი, ნიკოლ ვაიდიშოვა**...

ფილიპუსისს ისევ არ გაუმართლა

ამ დღეებში, ავსტრალიაში ქვეყნის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც უნდა გაირკვეს იმ ჩოგბურთელთა ვინაობა, რომლებიც გაისად იანვარში, „დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის - ავსტრალიის ღიას ძირითად ბადეში მოხვდებიან.

ამ ტურნირისადმი ინტერესს აძლიერებდა ის, რომ მასში მონაწილეობას იღებდა უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი **მარკ ფილიპუსისი**.

„სკადმა" ჯგუფის პირველ ტურში **ბრაიდან კლეინი** დაამარცხა, შემდეგ 341-ე ჩოგან **სამუელ გროტთან** დამარცხდა, გუშინ კი, მესამე მატჩი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ტრავმის გამო არ გავიდა **მარკ ვერიტის** წინააღმდეგ სათამაშოდ.

ასე რომ, სავარაუდოდ ფილიპუსისი ვერ ითამაშებს ავსტრალიის ღია პირველობაზე, თუ რა თქმა უნდა, მას ორგანიზატორები უაილდ-ქარდს არ მიანიჭებს.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ტორონტო მეორე მეკარეს გაუშვებს

„ტორონტო მეიპლ ლიეზის" მეორე გოლკიპერმა **ენდრიუ რეიკროფტმა** უახლოეს დღეებში შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს.

სააგენტო „როიტერის" ცნობით, 27 წლის ჰოკეისტის თაობაზე „ტორონტოს" უკვე დაუკავშირდა სამი კლუბი - „პიტსბურგი", „ტამპა ბეი" და „ლოს ანჯელესი".

ამ სეზონში რეიკროფტმა მხოლოდ 10 მატჩში (1 შათაუტი) ითამაშა და საშუალოდ 3.5 შაიბას უშვებდა (საიმედოობის კოეფიციენტი - 88.2 პროცენტი).

ვანკუვერმა მორისონი დაკარგა

სერიოზული დანაკლისი განიცადა „ვანკუვერ კანაქსმა". კანადური გუნდის რიგებს, დაახლოებით სამი თვით გამოაკლდა თავდამსხმელი **ბრენდან მორისონი** - ასეთია გუნდის ექიმების წინასწარი ვარაუდი.

გუშინ, მორისონმა მაჯის ოპერაცია გაიკეთა და მისი უთამაშებლობის მიზეზიც ეს გახლავთ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ლებრონის ახალი რეკორდი

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, „კლივლენდ კავალიერზის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** კარიერაში თავისი მონაგარი 9000 ქულამდე აიყვანა. შესაბამისად, 21 წლის კალათბურთელი NBA-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვინც ამ ზღვარის გადალახვა შეძლო.

ჯეიმსმა „მილუოკისთან" მატჩში (104:99) 31 ქულა დააგროვა და ახლა მის ანგარიშზე 9028 ქულა მოდის. მანამდე ეს რეკორდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტს** ეკუთვნოდა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

შუმი ისევ კონსულტანტი იქნება

„უემბლიზე" გამართული „ჩემპიონთა რბოლის" შემდეგ, ლეგენდარულმა გერმანელმა პილოტმა **მიხაელ შუმახერმა** ჟურნალისტებს სამომავლო გეგმები გაანდო.

„შორეულ მომავალზე რაიმეს თქმა გამიჭირდება, სამაგიეროდ შემიძლია გითხრათ, რომ გაისადაც „ფერარის" კონსულტანტი ვიქნები. ეს სამუშაო ძალიან მომწონს. ის მე თავისუფლებას მანიჭებს: პირადი და ოჯახური ცხოვრების მსხვერპლად შეწირვის გარეშე შემიძლია „ფერარისთვის" დახმარების გაწევა. დიდ სპორტში დაბრუნებას რაც შეეხება, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს გამორიცხულია", - განაცხადა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა.

ᲓᲝᲠᲘᲜᲒᲘ

იტალიელი ექიმი სპორტს ჩამოაშორეს

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ექიმ **კარლო სანკტუჩიონეს** სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალა სპორტის ნებისმიერ სახეობაში მონაწილეობა - იუწყება „გაძეტა დელო სპორტი".

კარლო სანკტუჩიონე მთავარი ფიგურა იყო იტალიელი სპორტსმენების მიერ დოპინგის მიღების გახმაურებულ საქმეებში. კერძოდ, სხვადასხვა დროს, ამ ექიმის კლიენტები იყვნენ ჯირო დ'იტალიას გამარჯვებული **დანილო დი ლუკა** და ჭოკით ხტომაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი **ჯუზეპე ჯიბილისკო**.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

სან ანტონიო-ფინიქსი 95:100

20:26, 30:25, 17:23, 28:26

სან ანტონიო: დანკანი (36 ქ. 17 მ. 4 დ), ჯინობილი (18 ქ. 5 პ. 4 მ), ფინლი (15 ქ. 6 მ. 3 პ), ვონი (14 ქ. 4 პ).

ფინიქსი: გ. ჰილი (22 ქ. 7 მ. 3 პ. 3 ჩ), ბარბოსა (18 ქ), ა. სტაუდმაიერი (17 ქ. 6 მ. 3 დ), დიაო (11 ქ. 6 პ. 5 მ), ნეში (10 ქ. 10 პ. 8 მ).

დალასი-ორლანდო 111:108

29:27, 28:27, 27:25, 27:29

დალასი: ნოვიცკი (31 ქ. 11 მ. 4 პ), სტეკჰაუზი (21 ქ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 6 მ), დ. ჰარისი (15 ქ. 9 პ).

ორლანდო: თურქოღლუ (26 ქ. 6 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (22 ქ. 13 მ. 5 პ. 2 დ), რ. ლიუისი (15 ქ. 8 მ), ნელსონი (13 ქ. 5 პ), დულინგი (10 ქ).

კლივლენდ-მილუოკ 104:99 (2ო)

26:24, 20:20, 14:19, 25:22, 8:8, 11:6

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (31 ქ. 8 მ. 5 პ), ილგაუსკასი (24 ქ. 11 მ. 3 დ. 2 ჩ), გიბსონი (12 ქ. 5 პ), დ. ბრაუნი (11 ქ. 9 მ. 6 პ).

მილუოკი: რედი (22 ქ. 9 პ. 7 მ. 4 ჩ), მოუილიამსი (18 ქ. 8 პ. 7 მ), დ. მეისონი (15 ქ. 11 მ. 2 პ. 2 დ), ვილიანოვა (13 ქ. 9 მ), ქსიანლიანი (13 ქ. 6 მ), ვოსკული (10 ქ. 5 მ).

ატლანტა-იუტა 116:111

25:31, 26:22, 35:33, 30:25

ატლანტა: ჯო ჯონსონი (26 ქ. 5 პ), მერვინ უილიამსი (21 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ჯოშ სმიტი (18 ქ. 12 მ. 5 დ), ჰორფორდი (17 ქ. 7 მ. 2 ჩ), ე. ჯონსონი (17 ქ. 14 პ), **ზაზა ფაჩულია (8 ქ. 5 მ. 1 ჩ).**

იუტა: ბუზერი (39 ქ. 12 მ. 2 ჩ), რ. ბრიუერი (19 ქ. 4 მ. 4 ჩ), კირილენკო (15 ქ. 5 მ. 4 პ), დ. უილიამსი (14 ქ. 10 პ), სი. ჯეი. მაილზი (10 ქ).

მაიამი-მინესოტა 91:87

27:24, 14:23, 19:17, 31:23

მაიამი: უეიდი (30 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), ჰასლემი (18 ქ. 16 მ. 3 ჩ), შ. ონილი (15 ქ. 8 მ. 3 დ), მურნინგი (10 ქ. 10 მ. 3 დ).

მინესოტა: ე. ჯეფერსონი (22 ქ. 20 მ. 2 პ), მაკკენტსი (19 ქ), ტელფეირი (17 ქ. 6 პ), კ. სმიტი (11 ქ), გომესი (10 ქ).

ნიუ იორკი-ინდიანა 92:117

27:26, 19:27, 26:31, 20:35

ნიუ იორკი: ზ. რენდოლფი (26 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), კარი (16 ქ), მარბერი (16 ქ), ჯ. კროუფორდი (13 ქ. 5 პ. 4 ჩ), ლი (12 ქ. 5 მ).

ინდიანა: მ. დანლივი-უმროსი (36 ქ. 7 მ. 4 პ), ჯ. ონილი (22 ქ. 4 მ. 2 დ), მერფი (17 ქ. 9 მ), გრეინჯერი (16 ქ. 9 მ. 2 დ), მ. დენიელსი (14 ქ. 4 მ. 3 პ), ტინსლი (2 ქ. 12 პ).

მემფისი-გოლდ. სტ 117:125

32:34, 22:34, 21:29, 40:30

მემფისი: გეი (32 ქ. 4 მ), მ. მილერი (20 ქ. 7 პ. 6 მ), ლოური (18 ქ. 5 მ. 3 პ), ნავარო (17 ქ), ს. სვიფტი (13 ქ. 8 მ).

გოლდენ სტეიტი: ს. ჯეკსონი (28 ქ. 12 მ. 5 პ. 3 ჩ), მ. ელისონ (23 ქ. 5 მ. 3 პ), ბ. დეგასი (22 ქ. 8 პ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (17 ქ. 6 მ), აზუბუიკე (15 ქ. 7 მ), ბიედრინსი (12 ქ. 7 მ).

პორტლენდი-ნ. ორლეანი 88:76

20:20, 17:19, 27:21, 24:16

პორტლენდი: როი (24 ქ. 8 პ. 2 ჩ), უებსტერი (13 ქ), ს. ბლეიკი (10 ქ. 2 ჩ).

ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (21 ქ. 6 მ. 2 დ), ჩენდლერი (16 ქ. 19 მ), პოლი (11 ქ. 8 პ. 4 ჩ. 3 მ), რ. ბატლერი (10 ქ. 4 მ).

კვირის მოთამაშეები

გასული კვირის შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო მოთამაშედ „ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **პოლ პირსი** დასახელდა. ის საშუალოდ მატჩში 25.3 ქულას და 5.0 მოხსნას აგროვებდა. პირსმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „მილუოკისთან" მატჩში, როცა 32 ქულა ჩაუგდო მეტოქეს.

დასავლეთში ზედიზედ მეორედ გახდა კვირის ლაურეატი „პორტლენ თრეილ ბლეიზერსის" ახალგაზრდა მცველი **ბრენდონ როი**. გასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა ამჯერად 23.0 ქულას, 6.3 პასს და 4.5 მოხსნას მოუყარა თავი. „პორტლენდმა" კი, ამ ორი კვირის განმავლობაში, 2002 წლის შემდეგ პირველად მოახერხა ზედიზედ 7 მატჩის მოგება.



ბრენდონ როი

შერიგება

ჟუსტინმა მამას აპატია

გუშინ, მსოფლიოს პირველ ჩოგანს **ჟუსტინ ანენს** მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა - ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ის პირველად შეხვდა საკუთარ მამას. **პიერ-ივ არდენთან** განქორწინებისა და თავისი ძმის - **დევიდის** ავტოავარიის შემდეგ, ჟუსტინმა მშობელ მამასთან ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტა.

ადრე, ანენი მამამისს კატეგორიულად უკრძალავდა მისი თამაშების დროს სტადიონზე მისვლას, ბოლო შვიდი წელი კი, საერთოდ საერთოდ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა. ჩოგბურთელი ამას იმით ხსნიდა, რომ **ჟოზე ანენმა** მას ბავშვობა წაართვა, იყო ძალიან უხეში და აიძულებდა შვილს მაშინაც ევარჯიშა, როცა ჟუსტინს ამის თავი არ ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, ჟუსტინმა აღიარა, რომ სწორედ მამის წყალობით გახდა მსოფლიო ვარსკვლავი.

მამა-შვილს შორის მცირეხნიანი საუბრის შემდეგ, ანენმა განაცხადა, რომ შესაძლოა ჟოზეს 2008 წლის უიმბლდონზე დასწრების ნება მისცეს.

ჟუსტინ და ჟოზე ანენები

გრანჟმა ვარსკვლავები დაჩრდილა

ფრანგი **ჟან-ბაპტისტ გრანჟის** გამარჯვებით დასრულდა მამაკაცს სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი, სლალომის ეტაპი, რომელსაც იტალიის ჩრდილოეთში მდებარე სამთო კურორტმა ალტა ბადიამ უმასპინძლა.

გრანჟისთვის, ვინც წინა სეზონში, სლალომში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ეს კარიერაში მსოფლიოს თასზე მოპოვებული პირველი გამარჯვებაა. უფრო მეტიც, აქამდე მან კვარცხლბეკზე ასვლა ერთადერთხელ, აშშ-ის ბივერ კრიკში, კომბინაციის რბოლის შემდეგ შეძლო.

23 წლის ფრანგი პირველივე ცდის შემდეგ დაწინაურდა, მეორეზეც საუკეთესო შედეგი აჩვენა და საბოლოოდ, 0.74 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ გერმანელ **ფელიქს ნოიროიტერს,** ვისაც თავის მხრივ, ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩა ამერიკელი **ტედ ლიგეტი.**

"ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ პირველი ცდის შემდეგ, ლიდერი მე ვიყავი. ამის შემდეგ გადავწყვიტე, გამარჯვებისთვის მებრძოლა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამას შევძლებდი და ძალიან მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე", - განაცხადა გრანჟმა, ვინც მიმდინარე სეზონში, მსოფლიო თასის ეტაპის პირველი ფრანგი გამარჯვებულია.

გრანჟი კუარიერაში პირველ გამარჯვებას ზეიმობს

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ მოგებით გრანჟი სლალომის კლასიფიკაციას სათავეში მოექცა. ყოფილი ლიდერი, ავსტრიელი **ბენიამინ რაიხი** კი მესამე ადგილამდე ჩამოქვეიდა, რადგან პირველივე ცდაზე ასპარეზობას გამოეთიშა. მისი ბედი მოგვიანებით ამერიკელმა **ბოდე მილერმაც** გაიზიარა.

რბოლის შედეგი სულ სხვაგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, მეორე ცდაზე ასპარეზობას შვიდი მოთხილამურე რომ არ გამოთიშოდა. ხელმოცარულთა შორის არიან შვედი **მარკუს ლარსონი,** ვისაც პირველი ცდის შემდეგ მესამე საუკეთესო დრო ჰქონდა და მისი თანამემამულე **ანდრე მირერი,** რომელსაც პირველი ცდის შემდეგ მეორე საუკეთესო დრო ჰქონდა. ამან მეორე ცდაზე სერიოზული შეცდომა დაუშვა და მიუხედავად იმისა, რომ მოგების შანსი აღარ ჰქონდა, მაინც ფინიშამდე მისვლა ამჯობინა. საბოლოოდ, ის 22-ე ადგილს დასჯერდა.

თავისი მესამე ადგილით კმაყოფილი დარჩა ლიგეტი, ვისაც წინა დღეს არ გაუმართლა – გიგანტური სლალომის წინ, ნომრების დარიგებაზე დააგვიანა, რის გამოც სასტარტო რიგში ბოლო ადგილზე გაამწესეს. ამან კი მის გამოსვლაზე უარყოფითად იმოქმედა. გიგანტზე ლიგეტიმ მეხუთე ადგილი დაიკავა, სლალომზე კი ორი ადგილით წინ წაიწია.

ალტა ბადიაში, კარგა ხნის პაუზის შემდეგ, პირველად იასპარეზა სლალომში მსოფლიო თასის ყოფილმა მფლობელმა, იტალიელმა **ჯორჯო როკამ,** ვისაც ნაოპერაციები მუხლი ჯხერაც ბოლომდე არ მოუშუშებია და ამის გამო, რბოლა მე-17 ადგილზე დაასრულა.

საერთოდ, ბოლო ოთხი დღე იტალიელი მოთხილამურეებისთვის წარუმატებელი გამოდგა. იტალიის ჩრდილოეთში (ალტა ბადიასა და ვალ გარდენაში) ჩატარებული ოთხი რბოლიდან მათ კვარცხლბეკზე ასვლა ერთხელაც ვერ მოახერხეს, რითაც განბილებული დატოვეს თავიანთი ქომაგი. შეგახსენებთ, რომ ვალ გარდენაში სუპერგიგანტი შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ** მოიგო, დაშვება – ავსტრიელმა **მიხაელ ვალხჰოფერმა,** ალტა ბადიაში კი გიგანტურ სლალომში საუკეთესო ფინელი **კალე პალანდერი** იყო.

მერაბ ლორთქიფანიძე

ალტა ბადია (იტალია). კაცები. სლალომი

1. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:36.12 (47.47, 48.65); 2. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) 1:36.86 (48.14, 48.72); 3. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:37.52 (48.63, 48.89); 4. რაინფრიდ ჰერშსტი (ავსტრია) 1:38.04 (48.35, 49.69); 5. ბერნარდ ვაიდიჩი (სლოვენია) 1:38.14 (48.55, 49.59); 6. კალე პალანდერი (ფინეთი) 1:38.37 (48.95, 49.42); 7. მარკ ჯინი (შვეიცარია) 1:38.45 (48.88, 49.57); 8. ჯიმი კოხრენი (აშშ) 1:38.49 (48.53, 49.96); 9. ჟულიან ლიზერუ (საფრანგეთი) 1:38.54 (49.40, 49.14); 10. აკირა სასაკი (იაპონია) 1:38.73 (48.78, 49.95)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 521; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 453; 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 366; 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 335; 5. კალე პალანდერი (ფინეთი) 320; 6. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 313; 7. ბოდე მილერი (აშშ) 306; 8. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 286; 9. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 256; 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 237...

ფედერერი და ანენი ჩემპიონებად გამოაცხადეს

ჟუსტინ ანენი



როჯერ ფედერერი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF), გასული სეზონის მსოფლიო ჩემპიონებად (სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელებად) მსოფლიოს პირველი ჩოგნები, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** გამოაცხადა, რომლებმაც შესაბამისად, კაცთა და ქალთა ჩემპიონთა რბოლაში, სეზონი რეიტინგის მოწინავე პოზიციაზე დაასრულეს.

შვეიცარიელი მაესტროსთვის, რომელმაც გასულ სეზონში რვა ტურნირი (მათ შორის სამი დიდი სლემისა) მოიგო, ეს ზედიზედ მეოთხე აღიარებაა. მანამდე მსგავსი მიღწევა მხოლოდ ამერიკელ **პიტ სამპრასს** ჰქონდა, ვისთან ერთადაც, ფედერერმა სეზონის შემდეგ, აზიური ტურნე ჩაატარა.

26 წლის ფედერერმა გასულ სეზონში დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ფინალში ითამაშა და მათგან სამი (ავსტრალიის ღია, უიმბლდონი და აშშ-ის ღია) მოიგო. ერთში კი – საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში, ის ესპანელ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ იმავე ტურნირის ფინალში მან შარშანაც ნადალთან წააგო.

ფედერერისთვის გასული სეზონი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მისმა საპრიზო შემოსავალმა ათ მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. ცნობისათვის, ამდენი თანხა ერთ სეზონში ადრე არავის დაუმსახურებია.

"ყოველი ახალი სეზონი ჩემთვის ახალი გამოწვევაა და მიხარია, რომ ყოველთვის ვახერხებ ჩემი სათამაშო დონის ამაღლებას. განსაკუთრებით კი ეს მაშინ ხდება, როცა ყველაზე მეტად მიჭირს. გასულ სეზონში დიდი სლემის კიდევ სამი ტურნირი მოვიგე და რეიტინგში პირველი ჩოგნის პოზიციაც განვიმტკიცე", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც კარიერაში უკვე დიდი სლემის 12 ტიტული აქვს მოპოვებული, ორით ნაკლები, ვიდრე სამპრასს.

მართალია, ფედერერი ხმამაღლა არ ლაპარაკობს იმაზე, რომ სამპრასის სასლემო მიღწევის გაუმჯობესება სურს, მაგრამ ამის შესახებ მინიშნებას მაინც აკეთებს. ახლახანს კი, მას შემდეგ, რაც შვეიცარიის საუკეთესო სპორტსმენის წოდება ზედიზედ მეოთხედ დაიმახურა, სამპრასისგან მიიღო მილოცვის წერილი, რომელშიც ამერიკელი აღიარებს, ძალიან გამიხარდება, თუ ჩემს მიღწევას გაიმეორებო.

გარდა ამისა, შვეიცარიელ მაესტროს ჯერაც არ მოუგია საფრანგეთის ღია პირველობა – დიდი სლემის ერთადერთი, სათიხნარო ტურნირი, რომელზეც მან ზედიზედ ორჯერ მიაღწია ფინალს, მაგრამ ნადალის დამარცხება ვერცერთხელ შეძლო.

25 წლის ჟუსტინმა გასულ სეზონში ათი ტურნირი, მათ შორის ორი დიდი სლემისა (საფრანგეთის და აშშ-ის ღია პირველობები), მოიგო. მან სულ 67 შეხვედრა ჩაატარა და მათგან მხოლოდ ოთხი წააგო. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისმა საპრიზო შემოსავალმა 5 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. ცნობისათვის, ერთ სეზონში ამდენი წლიური შემოსავალი აქამდე არცერთ ქალ მეჩოგნეს არ ჰქონია.

"თქმა არ უნდა, ეს ჩემი კარიერის საუკეთესო სეზონია და მიხარია, რომ მისი დასრულების შემდეგ, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის ჩემპიონად გამომაცხადა. არადა, ჩემთვის ეს სეზონი სირთულეებით დაიწყო. მაგრამ ამის მიუხედავად, ყოველთვის მობილიზებული ვიყავი და კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ თუ ძალიან მოინდომებ და თავს არ დაზოგავ, მიუღწეველი არაფერია. მე კი მჯერა, რომ მაქსიმუმისთვის ჯერაც არ მიმიღწევია", - განაცხადა ჟუსტინმა, ვინც ოჯახური პრობლემების გამო (მეუღლეს დაშორდა), ავსტრალიის ღია პირველობაზე არ ითამაშა.

მამაკაცთა წყვილებში ჩემპიონად ამერიკელი ტყუპების, **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** დუეტი გამოცხადდა, ქალთა წყვილების ჩემპიონის წოდება კი ზიმბაბველი **კარა ბლეკისა** და სამხრეთაფრიკელი **ლაიზელ ჰუბერის** დუეტს მიენიჭა.

19 დეკემბერი. ოთხშაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:45 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
21:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
23:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:35 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

08:30 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:13 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:16 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
11:47 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-კოლორადო.
13:34 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-რომა.
15:17 ფეხბურთი. Barca TV.
15:26 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ნიუკასლი.
17:14 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
18:57 ფეხბურთი. Barca TV.
19:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
20:52 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ოტავა.
22:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მონტეპასკი-ცსკა (LIVE).
01:20 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი-ლევერკუზენი.
03:11 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
03:14 სპორტული ისტორიები.
03:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია. მიმოხილვა.
04:19 ფეხბურთი. Barca TV.
04:27 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
04:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნეშვილი (LIVE).

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
13:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
14:45 ჩოგბურთი. ტატიანა გოლოვინი.
15:15 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი.
16:30 მულტისპორტი.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
19:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. კამერუნი.
20:25 ფეხბურთი. ევრო 2008.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:45 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
22:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
23:00 მულტისპორტი.
23:05 ცხენოსნობა. მსოფლიოს პირველი ათეული. ჟენევა. შვეიცარია.
00:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:10 მულტისპორტი.
00:15 გოლფ-კლუბი.
00:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:25 პოლო. ბუენოს აირესი. არგენტინა.
00:55 მულტისპორტი.
01:00 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
02:30 სპორტული სამეჯლისო ცეკვები. კრემლის თასი. მოსკოვი. რუსეთი.
03:30 სუმო.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ტრევიზო (იტალია)-პო ორტეზი (საფრანგეთი).
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ნიმბურკი (ჩეხეთი)-ბოლონია (იტალია).
15:00 ახალი ამბები.
17:00 რალი. ახალი სერია ICR. სეზონის მიმოხილვა.
17:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ტრევიზო (იტალია)-პო ორტეზი (საფრანგეთი).
19:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ნიმბურკი (ჩეხეთი)-ბოლონია (იტალია).
20:30 მულტისპორტი.
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ალმერია (ესპანეთი) (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ყაზანი (რუსეთი) (LIVE).
01:15 რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ლიგის თასი

მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი	0:2
ბლეკბერნი-არსენალი	2:2 დ.დ. 2:3

შოტლანდია

III დივიზიონი

დამბარტონი-ისტ სტირლინგი	3:1

კალათბურთი

ULEB-ის თასი

უნიკსი-სტრასბური	94:57
ხიმკი-აზოვმაში	100:102 (ო.ტ.)
შიაულაი-ალბა	71:51
ანვილი-სასილანერსი	87:64
ასესოფტი-შარლეროა	80:71
გალათასარაი-პანზეეასტი	101:6
ჟელეზნიკი-ბალონი	60:72
ალეეი-ვილერბანი	63:91
ნიმბურკი-კლიმამიო	82:70
პემოფარმი-ხირონა	97:93
ხუენტეტი-ბილდფორდი	116:53
პანელენიოსი-ცრ. ზეეზდა	81:83
დინამო (მ)-ოსტენდე	104:84
ტეროვი-ზადარი	77:72 (ო.ტ)
ვენტსპილსი-ოპარენსე	92:67
პაპელი (ი)-ეიფელ ტაუერსი	112:97
პაპელი (ბ)-ლიუბერსტი	73:82
ჰიოლნი-ბეშიკთაში	62:73
შლიონსკი-პანიონიოსი	92:94
ფრიბურგი-ბეუნდენი	66:88
ერგლანდი-ლუკოილი	76:91
ლუდვიგსბურგი-ბრან კანარია	71:90
ბოსნა-ტურკ ტელეკომი	80:85
ბენეტონი-პო ორტეზი	88:60
ბუდუჩნოსტი-ანტვერპენი	76:65
ვალენსია-ნანსი	93:92

პოლო

სლოვაკეთი

ჟილინა-ბრატისლავა	4:2
კეჟმაროკი-ტრენჩინი	3:5
ნიტრა-პოპრადი	4:3
სალიცა-ზეოლენი	4:2
სლოვანი-მარტინი	5:2

ფინეთი

ილვესი-ესპოი	2:0
კერეპეტი-საიპა	6:1
პელიკანი-კაიპა	2:2 ო.ტ. 0:1
ტპს-კიეკო	1:2
პიფა-პპკ	4:3
იუვასკილა-ტაპპარა	3:5

შვეიცარია

ციურიხი-ამბრი	3:5 ო.ტ.0:1

შვედეთი

ლულეა-სკელეფტე	1:3
მოლო-ლინჩოპინგი	0:5
მორა-ბიმრე	4:4 ო.ტ.0:1
ფრიოლუნდა-ფერეესტადი	4:0
პე 71-ბრუნანა	2:2 ო.ტ.0:1
იუგორდენი-სიოდერტალე	2:5

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲠᲕᲘᲓᲐᲡ ᲡᲐᲑᲝᲜᲘᲡᲗᲐᲜ

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ



90-ᲘᲐᲜᲘ წლების მიწურულს „პორტლენდს“ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო, ბრწყინვალე მოთამაშეებით დაკომპლექტებელი შემადგენლობა ჰყავდა. ორეგონელებს არ გაუმართლათ - როცა მათ ჩემპიონობის მოპოვების ურეალურესი შანსი ჰქონდათ, ორივეჯერ მომავალ გამარჯვებულთან დამარცხდნენ. ასე იყო 1999-ში, როდესაც რაშიდ უოლასის გუნდი „სან ანტონიოს“ ბარიერს ვერ გასცდა და იგივე განმეორდა მომდევნო სეზონში – „პორტლენდი“ დასავლეთის ფინალში გავიდა, „ლეიკერსს“ ექვსიდან სამი მატჩი მოუგო და საბოლოოდ, მაინც დამარცხდა.

იმ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ალბათ, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი (NBA-ს თუ არ ჩავთვლით), ლიტველი არვიდას საბონისი. ტრავმებს „შეჩვეული“, ბევრჯერ ნაოპერაციევი და პრაქტიკულად, ცალი ფეხით მოთამაშე საბასმა თავისი წვლილი შეიტანა იმ გუნდის წამოწევასა და ლიგის ლიდერებს შორის დაბრუნებაში, რომელიც კლაიდ დრექსლერისა და ტერი პორტერის გაცვლების მერე, სპეციალისტთა უმეტესობამ აუთსაიდერებში გადაისროლა.

საბონისთან ნებისმიერი ინტერვიუ საკალათბურთო ალმანახად შეიძლება იქცეს, თუმცა ამჯერად ჩვენი ამერიკელი კოლეგები ლეგენდარული ლიტველს უშუალოდ მაშინდელ „პორტლენდზე“, დღევანდელ თანაამპლუელებსა და ბევრ სხვა საინტერესო საკითხებზეც ესაუბრებიან.

- არვიდას, რეგულარულად ადევნებთ თუ არა თვალს NBA-ის თამაშებს?

- არა, ძალიან იშვიათად. დაკავებული ვარ, ვცდილობ „ულალგირისის“ აკადემიას, ამ კლუბსა და ჩემს ქვეყანაში კალათბურთის განვითარებას მაქსიმალურად დიდი დრო დავუთმო, ხოლო როდესაც თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მთლიანად ოჯახის განკარგულებაში ვარ. ოჯახურ გარემოში ვმშვიდდები და კალათბურთის ყურების დიდი სურვილი ნამდვილად არ მიჩნდება.

- დაიღალეთ კალათბურთისგან?

- არა, უბრალოდ გამთენიისას თამაშის ნახვის სურვილი არ მაქვს. NBA-ს ლიტვაში მრავალი ათასი გულშემატკივარი ჰყავს და არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი გუნდის თამაშს აჩვენებს ესა თუ ის არხი. მიუხედავად იმისა, არის თუ არა იმ ორი გუნდის შემადგენლობაში ლიტველი კალათბურთელი, შეხვედრა მაინც რეიტინგული და ყურებადია. ალბათ, მთელს მსოფლიოში ასეა, თუმცა გამონაკლისი შესაძლოა, ჩინეთი იყოს, სადაც იაო მინი ღმერთივითაა.

- დღევანდელ საუბარში გვსურს თქვენთან ერთად გავიხსენოთ ის „პორტლენდი“, რომელიც რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან, ანუ ჩემპიონობასთან. თავდაპირველად გკითხავთ, იყავით თუ არა კმაყოფილი გუნდში თქვენი როლითა და სათამაშო დროით?

- კი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველი შეხვედრის დაწყებამდე ორივე მუხლს და მარჯვენა კოჭს, „პორტლენდის“ ექიმები საგულდაგულოდ მიმოწმებდნენ და რომ ყოველი მატჩის შემდეგ სპეციალური ვარჯიშებით მუხლებზე შეშუპებას მიქრობდნენ. ასე რომ, ნახევრად ხეიბარი მოთამაშისთვის საშუალოდ 25 წუთი სავსებით მისაღები იყო.

- 1999-ში თქვენი გუნდი მთელი რეგულარულის განმავლობაში ლიდერობდა, ბოლო კვირას კი, თქვენც და „იუტამაც“ რამდენიმე დაუგეგმავი მარცხით რეგულარული „სპურს“ მოაგებინეთ.

- დამიჯერეთ, იმ სეზონში ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. შეკვეცილი რეგულარული (გაფიცვის გამო, ჩემპიონატი გვიან დაიწყო და 82 მატჩის ნაცვლად, გუნდებს მხოლოდ 50 შეხვედრის ჩატარება მოუხდათ - რედ.) შესაძლებლობების სრულად გამოვლენისა და ძალების რაციონალურად გადანაწილების შანსს არ გიტოვებდა. ფორსირებული გრაფიკით ვარჯიში უარყოფითად მოქმედებდა ბევრ გუნდზე და საბოლოოდ, „სპურსი“ კი გახდა ჩემპიონი, მაგრამ იმ სეზონის საუკეთესო გუნდებად მაინც „პორტლენდი“ და „ლეიკერსი“ მიმაჩნია.

- რატომ?

- შემადგენლობის სიღრმითა და მოთამაშეებზე ფუნქციების გადანაწილების მხრივ, „ლეიკერსზე“ უკედაც გამოვიყურებოდით, მაგრამ დამიჯერეთ, ნამდვილად არ გაგვიმართლა. ნავაგეთ დასავლეთის სერია „სპურსთან“ 0:4, თუმცა შეიძლებოდა, ამავე ანგარიშით ჩვენც კი მოგვეგო. ყველაფერი ერთადერთმა სროლამ გადაწყვიტა, რომლის მერეც მეტოქეს ენერგია გაუათმაგდა, ჩვენ კი საკუთარი თავის რწმენა დავკარგეთ.

- შონ ელიოტის სროლას გულისხმობთ?

- დიახ. „სპურსთან“ პირველი გასვლითი წაგების მერე, მეორე შეხვედრაში წინ 20 ქულითაც კი ვიყავით, მაგრამ ნელ-ნელა მოვიახლოვეთ ოპონენტი და ბოლო ორ წუთში 8-ქულიანი უპირატესობა გავუშვით ხელიდან. სიმართლე გითხრათ, ახლაც ვერ ვხვდები, თუ რატომ გამომცვალა ბოლო წამებზე მთავარმა მწვრთნელმა. ორ ქულას ვიგებდით, „სპურს“ კი შეტევისთვის 5 წამი რჩებოდა და თან მარიო ელი, ანუ მათი ყველაზე სახიფათო სნაიპერი მოედანზე აღარ იყო. ბურთი რობინსონმა მიიღო, რომელსაც შიდი (რაშიდ უოლასი - რედ.) იყვანდა, „ადმირალმა“ ჯანის ხარჯზე აჯობა უოლასს და ზუსტი პასის გაკეთებაც მოასწრო ელიოტის მისამართით, რომელიც გვერდით ხაზზე წაბარბაცდა, მაგრამ შეიკავა წონასწორობა და აიზია რაიდერის მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სადღაც 8 მეტრიდან ჩაუშვა ბურთი კალათში. „სპურსი“ სერიაში 2:0 გავიდა წინ და მომდევნო ორი საშინაო მატჩი უემოციოდ ჩავატარეთ. თავი დავიღუპეთ. არადა, ჩემპიონობისთვის მზად ვიყავით. ფინალში „ნიუ იორკს“ ან ნებისმიერ სხვა აღმოსავლელს შანსს არ დავუტოვებდით. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ „პორტლენდს“ ჩემპიონობა მინიმუმ ორჯერ უნდა მოეპოვებინა.

- უოლასი კი მიიჩნევს, რომ „პორტლენდს“ ჩემპიონობის საუკეთესო შანსი შემდეგ სეზონში ჰქონდა.

- შემადგენლობით 2000-ში უფრო სოლიდურად გამოვიყურებოდით. მარტო ის რად ღირდა, რომ „პორტლენდში“ სკოტი პიპენი გადმოვიდა, მის გარდა კი შემადგენლობა დეტლეფ შრემფითაც გავაძლიერეთ.

- თუმცა თქვენმა შედეგიანობამ იკლო...

- იმ გუნდში ქულების გაკეთება ყველას შეეძლო, მწვრთნელები კი მაქსიმალურად მიფრთხილდებოდნენ. მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის გუნდის ყველა წამყვანი მოთამაშე დასვენებული უნდა ყოფილიყო. ჩემი შედეგიანობისა და დროის შემცირების მთავარი მიზეზიც ეს გახდა.

- მოდით, იმ წლის ფლეი ოფი გავიხსენოთ.

- პირველ წრეში, თუ არ ვცდები 3:1 მოვუგეთ გარნეტის „მინესოტას“, მერე კი უპრობლემოდ დავამარცხეთ „იუტა“, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ჰყავდა მელოუნი, სტოქტონი და ჰორნაჩეკი. აი, ამის მერე იყო ჩემს კარიერაში ყველაზე დაძაბული საფლეიოფო სერია, რომელიც მთელმა გუნდმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, თუმცა სუპერფინალში მაინც ვერ გავედით.

- დარწმუნებულნი იყავით, რომ იმ „ლეიკერსის“ გავლა რეალური იყო?

- რეალური არ იყო? აბა სხვა რა ჰქვია იმას, როცა სერიაში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ანგარიში გავათანაბრეთ და მეშვიდე, გადამწყვეტი შეხვედრის ძირითადის დასრულებამდე 9 წუთით ადრე, 16 თუ 17 ქულას ვიგებდით?!

- არსებობდა ფაქტორი, რომელიც ვერ თქვენ და ვერც სხვა გუნდმა ვერ გადაჭრა და ეს ფაქტორი „ლეიკერსის“ ცენტრი შაკილ ონილი იყო.

- შაკის წინააღმდეგ ჭკვიანური თამაშით მისი განეიტრალებაც შეიძლებოდა, თუმცა თუ „ლეიკერსის“ მაშინდელ შემადგენლობას გადახედავთ, დამეთანხმებით, რომ მარტო შაკის თამაშიდან გამოთიშვა, საბოლოო წარმატებისთვის არ იქნებოდა საკმაირისი. კობი ბრაიანტი მაშინაც ძალიან სახიფათო იყო და ამას დაამატეთ გლენ რაისი, რონ ჰარპერი და რიკ ფოქსი. ამ სამი მოთამაშის მეორეხარისხოვნად მოხსენიება არასწორი იქნებოდა, რადგან არცერთი მათგანი იმ ასაკში არ იყო, როდესაც მწვრთნელები მოთამაშეებს ლიმიტირებულ დროს აძლევენ. რაისს 5-6 სამიანის ჩაგდება მაშინაც თავისუფლად შეეძლო, თუმცა მას დაცვაში სკოტი ეთამაშებოდა და რაისი ჩვენთან სერიაში ნულის ტოლი იყო. რობერტ ორი, დერეკ ფიშერი, ტაი ლიუ... ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ.

- რამ გამოიწვია ბოლო მეოთხედში ყურადღების მოდუნება?

- ნამდვილად ვერ გეტყვით. მაშინდელი „პორტლენდი“ გამოუცდელი ნამდვილად არ იყო და დღესაც ვერ ვხვდები, თუ როგორ შეიძლებოდა წაგვეგო მატჩი, რომლის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში „ლეიკერსი“ მხოლოდ ერთხელ - 2:0 დაწინაურდა, დანარჩენი დრო კი, ბოლო შვიდი წუთის გამოკლებით, ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო.

- იყო თუ არა შაკი თქვენთვის ყველაზე უხერხული ოპონენტი?

- ასე არ ვიტყოდი, თუმცა შაკი „პორტლენდთან“ ყოველთვის სტაბილურად ასრულებდა ორმაგი დუბლს. შაკის წინააღმდეგ ყოველთვის უნდა გეცადა, რომ მაქსიმალურად შორს გაგეყვანა სამწამიანიდან, რადგან 3-4 მეტრიდან ონილი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა. გაცილებით რთული იყო ჰაკიმ ოლაჯუონის და „ადმირალის“ წინააღმდეგ თამაში. მოძრავი, სწრაფი ცენტრი უფრო მეტს ვარირებს, უპრობლემოდ ასწრებს სამწამიანიდან გასვლასა და მერე უკან მიბრუნებას, შაკი კი იდგა ფარქვეშეთში და ბურთის მიღებისთანავე ეგრევე გაწვებოდა, ცდილობდა ორ წამში მოტრიალებულიყო და თავზე გადაეტენა ბურთი.

- ზო მურნინგი?

- მურნინგიც ძლიერი იყო. მომწონდა რიკ სმიტსის თამაშიც, რომელიც არასოდეს ყოფილა ძლიერი მომხსნელი, მაგრამ ძალიან ჭკვიანური თამაშით მაინც ყველას დიდ პრობლემებს უქმნიდა. პატრიკ იუინგიც ჭკვიანი, „მიმწოლი“ ცენტრი იყო, რომელსაც თამაშისადმი უდიდესი ლტოლვა გააჩნდა. საწყენია, რომ მან კარიერა ჩემპიონის ტიტულის გარეშე დაასრულა.

- რა აზრის ხართ იაო მინზე?

- ბევრად მაღალი დონის მოთამაშე გახდება და მისი შეჩერება შეუძლებელი იქნება. აქვს რბილი მაჯა და სიმაღლის მიუხედავად, ძალიან კარგი კოორდინაციაც გააჩნია.

- უიდრუნას ილგაუსკასი?

- ტრავმებმა შეუშალა ხელი ჩამოყალიბებულიყო იმაზე გაცილებით მაღალი დონის მოთამაშედ, ვიდრე ახლაა.

- დუაიტ ჰოვარდი და ამარე სტაუდმაიერი.

- პირველი ცენტრისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტშია ძლიერი, სტაუდმაიერი კი ცენტრი საერთოდ არ არის.

- მარკუს კემბი.

- კარგი, მოძრავი ცენტრია, თუმცა სტაუდმაიერის არ იყოს, ისიც უფრო ფორვარდია, ვიდრე ცენტრი. კემბი გუნდისთვის უდიდესი სარგებლის მომტანი მოთამაშეა.

- რაშო ნესტეროვიჩი.

- ძალიან ცოტას თამაშობს ამერიკაში, თუმცა სლოვენიის ნაკრებში დიდი ძალა და ავტორიტეტია.

- შაკი ვახსენეთ. თქვენი კარიერის მანძილზე, კიდევ იყო სხვა ისეთი მეტოქე, რომლის წინააღმდეგაც თამაში არ გსიამოვნებდათ?

- საშინელება იყო ვლადეს (დივაცის - რედ.) წინააღმდეგ თამაში. დივაცი მსაჯს ნებისმიერ წამს დასტყუებდა პერსონალურს, სიმულანტობით ნებისმიერს გამოიყვანდა მოთმინებიდან. ხშირად არ მითამაშია, მაგრამ ვიცი, რომ უაღრესად რთულია დეიან ტომაშევიჩის წინააღმდეგ თამაშიც, ძლიერია ბერძენი პაპადოპულოსი. არასოდეს მხიბლავდა ისეთი ცენტრების გაღმერთება, რომლებსაც მთელი მატჩის განმავლობაში ქულების დაგროვების სურვილიც კი არ უჩნდებოდათ. ძალიან კარგია დაცვაში ბენ უოლასი, მაგრამ მე მას ყოველთვის იაო მინს ვამჯობინებ.

ზურაბ თალაკვაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲨᲐᲠᲘᲫᲔ
ᲙᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲭᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲑᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲩᲐ ᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲖᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲟᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (დირექტორის მოადგილე), ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ �გᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10ᲐᲡ, 0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(დილიდან, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ᲤᲐᲥᲡᲘ +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲡᲐ